

ნატო სოლიდაშვილი

საქართველო და ლასავლეთი
ურთიერთობის ძირითადი შტრიხები
1991-2000



გამომცემლობა „ანიკასატი“
თბილისი 2014

NATO SONGULASHVILI

GEORGIA AND THE WEST
THE MAIN FEATURES OF THEIR
RELATIONSHIP
1991-2000



Publishing House “**UNIVERSAL**”
Tbilisi 2014

UDC (უაკ) 327+339.9](479.22:4:73)

ნაშრომში შესწავლილია ქართულ-დასავლური ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში. სხვადასხვა სახის წყაროთა ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია რა ფორმით ვითარდებოდა ურთიერთობები საქართველოსა და დასავლეთს შორის, პოლიტიკური, ეკონომიკური და იდენტობრივი კუთხით.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, აგრეთვე სტუდენტების და საკითხით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზურაბ გამგზარდაშვილი

რევენზენტები: ისტორიის დოქტორი, პროფესორი
ედიშერ გვენეტაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ქეთი ჯიჯეიშვილი

აღნიშნული წიგნი დაიწერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (52/24) მეშვეობით

© 6. სონცულაშვილი, 2014

გამომცემლობა „ანისის 2014“

თბილისი, 0179, ი. ვაჟავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-452-2

შინაარსი

შესავალი	5-6
თავი პირველი. ქართულ-ევროპული	
იდენტობის ასპექტები	7-35
თავი მეორე. ქართულ-დასავლური	
ურთიერთობები	36-98
თავი მესამე. ქართულ-დასავლური	
ეკონომიკური ურთიერთობები	99-121
დასკვნა	122-125
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	126-127

შესავალი

XX საუკუნის 90-იანი წლები ერთ-ერთი როგორი და მრავალმხრივი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ დღის წესრიგში მრავალი კარდინალური მნიშვნელობის საკითხის მოგვარება დააყენა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველო გახდა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა და სახელმწიფოს პირველი პირი გახდა – პრეზიდენტი. შეიცვალა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოებრიობის მოდელი. საქართველო ახალი ნაბიჯების გადადგმას იწყებდა და ახალ გამოწვევებს პასუხობდა. ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დადგა. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენას პრობლემები უცებ არ გადაუწყვეტია, პირიქით, საქართველო ახალ გარემოში, განსხვავებული ფორმით უნდა დამკვიდრებულიყო. ბუნებრივია, ის ისტორიული სირთულეები, რაც მუდმივად თან სდევდა ქვეყანას, არც აღნიშნული დროის მონაკვეთში იყო უცხო და ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, კიდევ მეტად გამოკვეთილი და ქაოსური. როგორი იყო დროის მცირე მონაკვეთში ცხოვრების თავიდან დაწყება, საუკუნეების განმავლობაში შეცვლილი საზოგადოების მენტალიტეტის, ცნობიერების ფორმირება, რასაც თან ერთვოდა გაუთავებელი ბრძოლები.

ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს წლები, რომელიც სრული ანარქიით, დაპირისპირებით, დაძაბულობით და ქართული ნაციის ფორმირებისთვის ბრძოლით გამოირჩევა. აქ გამოიყოფა შემდეგი საკითხები: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, პირველი პრეზიდენტის არჩე-

ვა, სამოქალაქო ომი, ედუარდ შევარდნაძის ხელი-სუფლებაში მოსკლა და მისი მმართველობა. ფაქტობრივად ათი წლის მანძილზე საქართველოში საუკუნის მნიშვნელობის მოვლენები ხდება.

საქართველო უძველესი პერიოდიდან მოყოლებული პრეტენზიას აცხადებდა და ჰქონდა მცდელობა ეპროპულ ოჯახში გაწევრიანებისა. ამ მიმართულებით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში, თუმცა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ შეაფერხა ეს პროცესი. მას შემდეგ რაც აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წელს, დღის წესრიგში კვლავ დადგა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება, ბუნებრივია იმ ვითარებიდან გამომდინარე რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

საქართველოს სწრაფვა ევროპული დირებულებებისაკენ დასაბამს უძველესი პერიოდიდან იღებს. მუდმივად დასავლური და აღმოსავლური ფენომენის გადაკვეთა ქართულ სინამდვილეში თავისებურ ასახვას პოულობდა და შეიძლება ითქვას, თანამედროვე ქართული ნაციის ფორმირებაში სწორედ საუკუნეების მანძილზე არსებულმა ამ ჭიდილმა იქონია გაფლენა და გამოაწრთო ქართველი ერის ცნობიერება. ყველა ეპოქას თავისი გამოწვევა გააჩნია და ბუნებრივია არც აღნიშნული ეტაპი იყო გამონაკლისი. განსხვავებით 1918-1921 წლებისაგან, როდესაც ევროპაზე აღებული ორიენტაცია პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირისადმი სწრაფვით გამოიხატებოდა, XX საუკუნის 90-იან წლებში ამას ემატება ცნობიერების ცვლილებისაკენ სწრაფვა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში დასავლეთზე აღებული კურსი გამოიხატებოდა შემდეგი მიმართულებებით: ცნობიერების ცვლილება, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები.

თავი პირველი

ქართულ-ევროპული იდენტობის ასახულები

მართალია, XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი, მაგრამ ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო როგორ გამოიხატებოდა ევროპული ფასეულობების-კენ ქართველების სწრაფვა და როგორი იყო საზოგადოებრივი აღქმები.

საბჭოთა კაშირის დაშლის შემდეგ ქართველებში გამძაფრდა შეგნება საკუთარი თავის სხვის-გან გამიჯვნისაკენ, თავისი ადგილის დამკვიდრებაში სწრაფვისაკენ. რაც მთავარია ქართველთა წინაშე დადგა საკითხი შემდეგნაირად: რუსეთი, როგორც ცალკე განზომილება და მეორე, დასავლეთი. საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მოიაზრებდა. მის ევროპულობაში იგულისხმებოდა ის ფაქტი, თუ როგორ გამოიხატებოდა დასავლური ლირებულებების გაზიარება.

1992 წელს გაზეთი „ერი“ აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყანა არის და უნდა იყოს კიდევ ორიენტირებული ევროპისადმი, რომელიც, ცხადია, აღარც კრემლია და აღარც სხვა რამ იმპერიული ცენტრი. ევროპას გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მყარი სტრუქტურა, ტრადიცია და ამ ტრადიციაზე დაფუძნებული ინერცია. გიდრე საქართველო ევროპის მრავალასპექტიან პოლიტიკური უნდა შეისწავლოს ის საბაზისო სტრუქტურები, რომელიც ევროპის სახელწიფოთა პოლიტიკური ცხოვრება ემყარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველო უნდა დაეუფლოს ევროპის „პროფესიას“,

ევროპა მხოლოდ მაშინ გიგუებს, როცა იგრძნობს, რომ შენ პროფესიონალი ხარ, ან დარწმუნდება, რომ შენ სწავლობ ამ პროფესიას და რომ ისწავლი, ამის პოტენცია გაგაჩნია.¹

1997 წელს საქართველოს სახალხო დემოკრატიულ კავშირს ევროპეიზაციის პროცესი შემდეგნაირად ესმოდა: „დღეს საქართველოს წინაშე არის უნიკალური შესაძლებლობა, დაუბრუნდეს ევროპული ცივილიზაციის წიაღს. ევროპეიზმი ჩვენ გვესმის, როგორც ევროპული, ისტორიული და თანამედროვე კულტურულ-პოლიტიკური ფასეულობების ერთობლიობა. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ ევროპეიზმი უნდა იყოს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების განმსაზღვრელი უნივერსალური საფუძველი.

უნდა მოხდეს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ყოფის სხვა მხარეების ევროპეიზაცია, ევროპული ცივილიზაციის ნიშნით განვითარება.

უნივერსალური ევროპეიზაცია, როგორც:
საგარეო-პოლიტიკურ სფეროში – საქართველოს გაერთიანება ევროპის თანამეგობრობაში.

სოციალურ სფეროში – სამოქალაქო საზოგადოების შექმნა.

ეკონომიკურ სფეროში – ევროპული ტიპის „საყველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ მოდელირება.

კულტურის სფეროში – ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზით ეროვნული ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის, მხატვრობის, საერთოდ, კულტურის განვითარება, მისი თვითმყოფადი ინტეგრაცია ევროპის კულტურულ სივრცეში;

¹ გაზ. ერი, 1992, №1, გვ. 6

მეცნიერების სფეროში – დასავლური და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა დანერგვა-გაზიარების გზით ქართული მეცნიერების აღორძინება-განვითარება და ა.შ.²

1999 წელს ევროსაბჭოს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებ ზურაბ უგანიამ სიტყვით გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ევროპულ ორიენტაციას. მან განაცხადა: „მე ვარ ქართველი მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“... ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის სწრაფვა ევროპისაკენ, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური წრების სწრაფვა ევროპისაკენ, ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, ვინაიდან სამშობლოს მომავალს ვუკავშირებოდაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნავთსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან თჯახში.“³ ამ ფრაზით მან ხაზი გაუსვა საქართველოს სწრაფვას ევროპისაკენ.

1999 წელს ჟურნალი „იმიჯი“ წერდა: „ქართული დიპლომატის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს გაწევრიანება ევროსაბჭოში. პირველ რიგში, ევროსაბჭოში გაწევრიანებით ჩვენ კიდევ ერთხელ de facto da de jure დავამტკიცეთ ჩვენი მიკუთვნება ევროპის დიდი სახლი-სადმი. მეორე, ეს ფაქტი თავისთავად უმნიშვნელოვანესი არგუმენტია, რომლის მოშველიებაც ნებისმიერი დონის მოლაპარაკებას, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა, ერთიათად უმაგრებს საფუძველს. და მესამე, ევროსაბჭოში დამკვიდრებით სა-

² აწმუო შობილი წარსულისაგან, საქართველოს სახალხო-დემოკრატიული კავშირი, სამშობლო, რწმენა, თავისუფლება, 1997, გვ. 5-6

³ გაზ. სახალხო გაზეთი, 1999, №173, გვ. 3

ქართველოს ეხსნება გზა სხვა ევროპული და მსოფლიო სტრუქტურებისკენ, რაც, რაღა თქმა უნდა, საქართველოს სტაბილური განვითარების საუკეთესო გარანტია.⁴

ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვა შემდეგნაირად გამოხატა: „ჩვენ ევროპული სივრცის ნაწილი ვართ და ეს სივრცე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უპირობო აღიარების თვალსაზრისით... საქართველო გულწრფელად ისწრაფვის ევროპისაკენ, რათა საბოლოოდ შეუერთდეს მის ზნეობრივ და პოლიტიკურ ღირებულებათა საერთო სისტემის საფუძველზე.“⁵

მართალია, XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ ორიენტაცია დასავლეთზე აიღო, თუმცა ეს მარტივი გზა არ ყოფილა. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა უძველესი პერიოდიდან შეინიშნება, XX საუკუნის 90-იან წლებში ეს პროცესი უფრო ძლიერდება. პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა დასავლეთის დაინტერესებას საქართველოთი. მისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობის პოპულარიზებას დასავლეთის წარმომადგენელთა ფართო წრეებში. ფაქტობრივად, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე იდგა. გარდა, ზემოთ აღნიშნულისა, პოლიტიკური ელიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის შიგნით დასავლეთის უპირატესობის დამტკიცება, საზოგადოების დარწმუნება ევროპული სამყაროს უპირატესობაში. რადგან, დასავლეთის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა სხვადასხა სოციალურ ფენებში. აღნიშ-

⁴ ქურნ. იმიჯი, 1991, №11, გვ. 19

⁵ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №9, გვ. 1

ნულ საკითხს ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამდა, ნაწილი დადგებითად, ნაწილი კი უარყოფითად. ეს ტენდენცია მთელი 90-იანი წლების მანძილზე არსებობდა და შეიძლება ითქვას კამათი ამის შესახებ დღესაც გრძელდება. „როგორც ერთი სასულიერო პირი ამბობს, „სამწუხაროდ დღევანდელი ადამიანი მორგებულია ევროპულ სტილს და ივიწყებს ენას, სარწმუნოებას, ტრადიციებს!“ (დეკანოზი, რესპოდენტი №1). 1999 წელს „ჯვირის პალიტრაში“ ჩაწერეს ინტერვიუ ერთ-ერთ სასულიერო პირთან, რომელიც აღნიშნავდა: „ახლა ხალხი ფიზიკურადაც დაპატარავდა და ზნეობაზე, სულიერზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, უზნეობის გავრცელება, გამეფება – გაცილებით დიდი გაჭირვებაა, ვიდრე შიმშილი, ... ძველ დროში ღმერთის შიში ჰქონდა ხალხს. ყოველივე მანკიერი თანამედროვე დასავლური ღირებულებების ბრალია, თორემ განა „როდისმე გაგონილა საქართველოში მეფების დროს, რომ გათანასწორებული ყოფილიყო რელიგიები?“ (დეკანოზი, რესპოდენტი №1).⁶ აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ დასავლური ღირებულებებისაკენ სწრაფვას და დასავლურ პოლიტიკურ სივრცეზე ორინებირებული პოლიტიკის წარმოებას უარყოფითი შედეგები მოჰქონდა. უამრავი რელიგიური სექტა არსებობს ამერიკიდან, გერმანიიდან შემოსული. არავის არ ვზღდუდავთ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით – იმისთვის არის ეს ყველაფერი, შვილო, რომ აქ ხალხი გაირყვნას... ევრაზია ვართ, თუმცა ევროპელები ჩვენ არ ვართ. იცით რა არის? საქართველო არ უნდა სწავლობდეს სხვისგან რაღაცას, იმიტომ, რომ საქართველო დიდი კულტურაა.

⁶ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), თბილისი, 2013, გვ. 72

შეიძლება რაღაცა ვისწავლოთ – ყველა ადამიანები ვართ და ბუნებრივია – მაგრამ რაც ჩემთვის არის ვეტო, საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა და როცა ამერიკა სულ რამდენიმე საუკუნის შექმნილია, ის ვერ გასწავლის შენ... ამერიკა ხომ ერი არ არის. სხვადასხვა ეროვნების ხალხის ნაკრებია“ (დეკანოზი, რესპონდენტი №1).⁷

საქართველოს მიერ ეპროპაზე აღებული კურსი გარკვეულ სირთულეებსაც უქმნიდა ქვეყანას ეროვნული ტრადიციების დაცვაში. ასე მაგალითად, 1996 წელს გერმანიის წარმომადგენელი ირმგარდ ბროიერ-ჰირლი საქართველოს პრეზიდენტს უგზავნის შემდეგი შინარსის წერილს: „პირველ ყოვლისა მინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენს მიერ გაწეული სამსახურისათვის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას. რის შედეგადაც გერმანიის კვლავ გაერთიანება რეალობად იქცა.

დევნილ ქრისტიანთა დახმარების კომიტეტის ხელმძღვანელის ვალდემარ ზარდაჩუკისა და მისი მოადგილის პანს ოლეშისაგან, რომლებიც ჩემთვის სანდონი არიან, შევიტყვე, რომ თქვენს რესპუბლიკაში ევანგელისტი ქრისტიანები თავიანთი შეკრებებისას სერიოზულ დაბრკოლებებს განიცდიან თვით აკრძალვის ჩათვლითაც კი. თქვენი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს დემოკრატიასა და აღიარებს რელიგიის თავისუფლებას.

... ჩემი თხოვნაა თვენი მთავრობის მიმართ, რომ ევანგელისტ-ქრისტიანებს პქნოდეთ საშუალება თავისუფლად შეკრებისა და ერთად ჩვენი უფალის იქსო

⁷ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), თბილისი, 2013, გვ. 115

ქრისტეს მიმართ დოცვისა. ჩემი დიდი თხოვნაა ამ საქმესთან დაკავშირებით მიიღოთ ზომები.⁸

1996 წლის 27 ივნისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპარლამენტის ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის დელეგაცია ანტონიოს ტრაკატელოსის ხელმძღვანელობით... დელეგაცია შეხვდა პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელს გიორგი კობახიძეს. აგრეთვე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს. დელეგაციის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულების გარკვევა. უმთავრესი ამოცანა იყო ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბება.⁹

არსებულ მასალებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დასავლეთი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის გასაფართოებლად საქართველოს ხელისუფლებას ქართული, ეროვნული დირექტულებების ცვლილებასაც სთხოვდა. საქართველოში ჩამოსული დასავლეთის წარმომადგენლები არაერთხელ აღნიშნავდნენ ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ცვლილების აუცილებლობაზე. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა რელიგიური თავისუფლების მიმართულებით. სწორედ ამიტომ სამდგრელოებას საქმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩნდა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

⁸ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცხა), ფ. 765, აღწ. 1, საქ. №80, ფურც. 14-15

⁹ ურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №17, გვ. 3

მართალია, საქართველოს მთავარი მიზანი ეპროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო, თუმცა ამასთან ერთად მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რაც პირველ რიგში ქვეყნის ტრადიციებს უკავშირდებოდა. მაგალითად, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას დასავლეთზე ჰქონდა ადგებული ორიენტაცია, თუმცა ეროვნული დირექტულებების დაცვა მის უპირატეს მიზანს წარმოადგენდა. მას სურდა, იმ დასავლეთთან ურთიერთობა, რომელიც საქართველოს ისეთს მიიღებდა როგორიც იყო. იგი აღნიშნავდა: „ჩვენ არ დავუშვებდით, რომ საქართველო გამხდარიყო დასავლეთის კოლონია. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება სურს, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს მის ნება-სურვილს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი სამხედრო გადატრიალებისა. დასავლეთი იბრძის ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მათი მიზანია საბოლოოდ გაანადგურონ ერები და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო მთავრობით.“¹⁰

იგი დასავლეთის უფრო კრიტიკულ შეფასებამდეც მიდის. „დასავლეთის წყომას ჩვენს მიმართ, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკავთებით, რათა მას მთელი სიდრმით გაეცნობიერებინა, რომ მას გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რად-

¹⁰ ი. გვესელავა, საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები, II, ზვიად გამსახურდია დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე, თბილისი, 2008, გვ. 168.

გან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლება და არა ხალხები) ებრძვის ყოველგარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობაში უნდა განაგოს ქვეყნიერება და დამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.“¹¹

დასავლეთან მიმართებაში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობდა. ცნობილმა კინორეჟისორმა ოთარ იოსელიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ღმერთმა დაიფაროს საქართველო უვროპულ ცივილიზაციასთან მიახლოებისაგან, რადგან იგი უბრალოდ არ არსებობს. არსებობს ცივილიზაცია, როგორც საშუალო „მეშჩანის“ ცხოვრების წესი, არის საგადასახადო სისტემა, საგზაო წესები, სოციალური უზრუნველყოფა, ხოლო სხვა დანარჩენი არ არის. თუკი საქართველოში ჯერ კიდევ რაიმე დარჩა კულტურიდან, რაიმე წმინდა, ყველაფერი წაიშლება ევროპასთან მიახლოებისას. ამიტომ, სურათი საქმიანობისა და ვინ იცის, იქნებ საკუთარ თავში ჩაკეტვა საქართველოსთვის ყველაზე უკეთესი იყოს.“¹²

¹¹ ცხრა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, სამართლიანობის ადდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი, 1995, გვ. 17

¹² ალ. ჭავჭავაძე, რამ დაგვლუპა... რა გადაგვარჩენს, თბილისი, 2002, I, გვ. 118

ზვიად გამსახურდიას აზრით „ზოგიერთს და-სავლური ორიენტაცია პგონია დასავლეთის პორნოგ-რაფიული და სადისტური ფილმების კულტი, გან-გხერების „პეროკა“, დასავლური მოდების წამხე-დურობა, დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგო-მა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საქვთვი პო-ლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავან-ტიურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში, სა-ქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტების და საწარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისათვის და სხვა. ასეთ დასავ-ლურ ორიენტაციას ვგმობთ... დასავლეთის კულტუ-რა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზ-რევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის, რომ ჩვენის თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება და-სავლური, დია დემოკრატიული საზოგადოების აშე-ნება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ.“¹³

აგრეთვე: „დასავლურ უზნეობას და კულტურის სუროგატებს თავად დასავლეთშიც ჰყავთ მოწინააღ-მდეგენი. რატომ მათ არ ბაძავენ ჩვენში ესოდენ გამ-რავლებული მოტრფიალენი „დასავლური ცხოვრების წესისა? საქმე ის გახდავთ, რომ ამით შეგნებულად სურთ ქართული ქრისტიანული ცხოვრების წესისა და ზნეობის განადგურება, რათა უკუთ გადააგარონ და მოსპონ ქართველი ერი.“¹⁴

¹³ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურ-დია 1992-1993, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერი-სა“, თბილისი, 1995, გვ. 12

¹⁴ ზვიად გამსახურდია მართლმადიდებლობის შესახებ, თბილი-სი, 1999, გვ. 17-18

მართალია 1990 წლიდან საქართველომ ორიენტაცია ევროპაზე აიღო, თუმცა მთავარი იყო სწორი პოლიტიკური კურსის შემუშავება და ევროპული ფასეულობების იმ დოზით მიღება, რაც ქვეყნისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ზვიად გამსახურდიამ მთავარი ორიენტირი ეროვნული ცნობიერების განმტკიცებასა და აღორძინებაზე აიღო.

„რატომ ქმნიდით მაინცდამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება თქვენი თვალსაზრისით?

— სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს. სარწმუნოება და ეროვნებაა ის ძირითადი თვისებები, რომელიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფაა, ადამიანურ არსეს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს. ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან, იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას“¹⁵.

ზვიად გამსახურდიას განსაზღვრული პქონდა ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხიც და მას მთავარ როლს ანიჭებდა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებაში. „სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურზნეობრივი აგტორიტეტის უზენაესობასა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციების აღია-

¹⁵ ცხრა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი, 1995, გვ. 18

რებას. ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას. სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ერთურთის საქმეში.“¹⁶

გაზეთი „გზა მშვიდობისა“ 1991 წელს აღნიშნავდა: „საბედნიეროდ ჩვენ ყოველთვის არამარტო დამოუკიდებელი, დამოუკიდებლობის მდგომარეობისათვის პერმანენტულად მოღვაწე ერი ვიყავით, ყოველთვის შინაგანი მუხტით ვგრძნობდით, როგორი დიდი მისია ერგო ევრ-აზიის გასაყართან მდებარე ქვეყანას, სადაც დღემუდამ სამ ხატზე ლოცულობდნენ. მამული, ენა და სარწმუნოება ის უტყუარი საქმეველია ჩვენი სულისა, რომელმაც მოგვიყვანა დღემდე და გვატარებს ათასწლეულებს. განა შეიძლება ასეთი ერი არ იყოს თავისუფალი და განმგებელი.“¹⁷

მართალია, XX საუკუნის 90-იან წლებში გამოიკვეთა საქართველოს ევროპული ორიენტაცია და ხელისუფლება ცდილობდა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, თუმცა ქვეყნის შიდა პრობლემები უფრო ფართო მასშტაბის მოვლენების განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. ერთი რამ ფაქტია, საქართველოს ხელისუფლების მიზანი დასვლურ სტრუქტურებში გაწევრიანება და ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო. „შიდა პოლიტიკური კონფლიქტებისა და ხელისუფლების ცვლის მიუხედავად, დამოუკიდებლობის შემდეგ სა-

¹⁶ ოთხმოცდათერთმეტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, 1995, გვ. 80

¹⁷ გზა. გზა მშვიდობისა, 1991, №12, გვ. 1

ქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი მიმართულებები უცვლელია. ზვიად გამსახურდიას, რეალურად არ ჰქონია საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრის და გატარების დრო: მისი ხელისუფლება საქართველოს მიერ საერთაშორისო აღიარების მოპოვებამდე დაამხეს. რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს, ორივე მათგანის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა საერთაშორისო დონეზე შეერთებული შტატებისა და ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მოპოვება და საერთაშორისო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა; მთავარი ამოცანა კი, ნატოსა და ევროკავშირის წევრობის მოპოვებაა. ზოგადად, მთავრობაც და პოლიტიკური ელიტაც დასავლურ ინსტიტუტებში გაერთიანებას ქვეყნის უსაფრთხოების და განვითარების უმნიშვნელოვანეს გარანტიად მიიჩნევს. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის იდენტობას: ქართველები თავს ევროპელებად აღიქვამენ და სხვებისგანაც ამის აღიარებას ითხოვენ.“¹⁸

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მისი არსებობისთვის და მათ შორის, საქართველოსთვის აუცილებელია გარკვეული ღირებულებების ერთობლიობა. XX საუკუნის 90-იან წლებში მწვავედ იდგა საკითხი როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოს სახელმწიფო გრძელების აზროვნების და როგორც სუბიექტის გზა. საჭირო იყო გამოკვეთილიყო იმ ფასეულობების მნიშვნელობა, რაზეც საქართველოს მომავალი აიგებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული საზოგადოების და სახელმწიფოებ-

¹⁸ საქართველოს პოლიტიკური დანდშაფტი, პოლიტიკური პარტიები, მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 40

რიობის იდეა გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებდა და ეს ბუნებრივიც იყო.

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში სხვადასხვა პრობლემების მოგვარებასთან ერთად სახელმწიფოს ამოსავალ საკითხს წარმოადგენდა საზოგადოებაში ერთიანობის განცდის გაღვიძება და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება. წლების მანძილზე საბჭოთა სისტემაში ყოფნამ თავისებური დაღი დაასვა ქართველის ცნობიერებას. გაზეთი „ალიონი“ ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენ, მცირე და მტრებით გარშემორტყმულ ერს, ერთმანეთის-თვის ანგარიშსწორების არც დრო გაგვაჩნია და არც საშუალება, არც ზნეობრივი საფუძვლები გვაძლევს ამის უფლებას. ერთმანეთის ჩასაქოლად ქვაჩაბდუჯული ხელი უნდა ჩამოვუშვათ, ქვა გადავაგდოთ, ერთმანეთისკენ ნაბიჯი გადავდგათ, თორემ მტრის საკეთებელ საქმეს ჩვენვე გავაკეთებთ. პირველ ყოვლისა საჭიროა გვახსოვდეს, რომ ერის ინტერესები, მიზანი, რომელიც დღეს ერს ასულდგმულებს, განუზომლად დიდია პიროვნულ და პარტიულ ინტერესებთან შედარებით და ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რამ უნდა დავთმოთ.“¹⁹

ამ კუთხით საინტერესოა ჯერ კიდევ 1988 წელს ქართველთა ერთსულოვნების გამოხატულება, რაც საქართველოს თავისუფლებას ეძღვნებოდა. ერთიანობის განცდას დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის, ამიტომ ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი დადებითად შეიძლება განვიხილოთ. „1988 წლის 22-29 ნოემბერს თბილისში, მთავრობის სახლის კიბეებზე მიმდინარეობდა საპროტესტო შიმშილობა, რომელიც წამოიწყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 62 აქტივისტმა. ეროვნულ-დემოკ-

¹⁹ გაზ. ალიონი, 1991, №27, გვ. 1

რატიული პარტიის ამ აქციას მთელი საქართველო შეუერთდა. დღიდან გასაბჭოებისა საქართველოს არ ახსოვს მსგავსი ერთსულოვნება, ეროვნული სულის აღტყინება, რაც ამ ერთი კვირის განმავლობაში გამოვლინდა. უფრო მეტიც, 22-29 ნოემბრის აქცია უპრეცედენტო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. ვერცერთი ქართველი, ვერავინ ვინც თავის თვალით იხილა ეს ყოველივე, ვერასოდეს ამას ვერ დაივიწყებს, ვერც ცრემლის გარეშე მოახერხებს იმის გახსენებას, რაც ამ ერთი კვირის განმავლობაში ხდებოდა თბილისში, მთელს საქართველოში ვულოცავო ყველას, ჩვენს თავს, სრულიად საქართველოს ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს, ამ დღეებს, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.”²⁰

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის შესახებ ქართველთა ეროვნული იდეების შესახებ. ამასთან ერთად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორ აღიქმებოდა ერთიანობის განცდა XX საუკუნის ერთ-ერთ როტულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდში. 1991 წელს საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის დეკლარაციაში ვკითხულობთ: „დღეს, როგორც არასდროს ისე სჭირდება საქართველოს, ქართველ ერს ერთიანობა. დღეს, სწორედ ამ არნახული ტრაგედიის ჟამს უნდა აღდგეს ქართული სული, რათა გაათავისუფლოს ქვეყანა, ერი მონობისაგან, დაუბრუნოს ქართველ კაცს სახე კაცობრიობის და ღმერთის წინა-

²⁰ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დააღადგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტიკურ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 23

შე... ქართველი ერის მთადიანობას, ქართველი ხალ-
ხის კავშირს განსაზღვრავს ქართული სული, ქარ-
თული იდეოლოგია. ისევე როგორც ადამიანის აქტი-
ვობა და განვითარება განსაზღვრულია მისი სულით,
ასევე ნებისმიერი სოციალური ჯგუფის და განსა-
კურებით ერის აქტივობა და განვითარება განსაზ-
ღვლია ერის სულით და ეროვნული იდეოლოგიით.
ეროვნული იდეოლოგია არის ერის სულის გაცნობი-
ერება, იდეათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია
ეროვნულ ტრადიციებზე, ყოფა-ცხოვრებაზე, კულტუ-
რაზე.“²¹

ზგიად გამსახურდია აღნიშნავდა: „ჩვენი მარცხი
და კატასტროფა გამოწვეულია არა მარტო პოლიტი-
კური და სამხედრო დამარცხებებით, რომელიც გან-
ვიცადეთ ჯერ კიდევ ერეკლეს დროს და შემდგომში,
არამედ ეროვნული ცნობიერების დარღვევით, ეროვ-
ნული ცნობიერების დეზინტეგრაციით, რაც გამოიხა-
ტა სწორედ გადაგვარებაში, ეროვნულ ნიპილიზმი
და უწინარესად ყოვლისა კუთხებად დანაწევრება-
ში. კუთხებად დანაწევრდა არა მარტო საქართვე-
ლო, არამედ ცნობიერება დანაწევრდა კუთხებად.“²²

გაზეთ „არაგვში“ ვკითხულობთ: „ბევრჯერ და-
ლუპა საქართველო ქართველთა დაუფიქრებლობამ
და ალბათ ბევრჯერაც დაღუპავს. თითქმის ორასი
წელი ხომ არის, რაც სხვისი უდლის ქვეშ ვიტანჯე-
ბით, დღესაც იმ ჭკუასა და გონებაზეა ქართველთა
გარკვეული ნაწილი, რომ თანახმანი არიან კიდევ
დიდხანს ედგათ კისერზე მტრის უღელი. არადა
ლმერთმა ადამიანი თავისუფლებისათვის გააჩინა და
არა მონობისათვის. ზოგიერთი ქართველის შეგნება
იმ დონემდე დაეცა, ისე დაუჩლუნგდათ გონება, რომ

²¹ გაზ. სოფლის ცხოვრება, 1991, №63, გვ. 1

²² გაზ. აღდგომა, 1995, №1, გვ. 1

საერთოდ დავკარგეთ ფიქრის უნარი და ვერ მიმსვლარან რისთვის იხოცავენ თავს ქართველი ერის შეილები და რისთვის ებრძვიან გამძვინვარებულ „გველეშაპს...“

ქართველი წინაპარი სამშობლოში შემოსულ მტერს რომ დაინახავდა, უჭვში კი არ ვარდებოდა, დაამარცხებდა თუ არა მას, პირიქით ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ხმალი უნდა აეღო ხელში და ებრძოლა თავისი მამულის შენარჩუნებისთვის. დღეს კი ზოგიერთ ქართველს ეჭვი შეჰპარვია ერის აღორძინებაზე და ვერ გადაუწყვეტია იბრძოლოს თავისუფლებისათვის თუ ისევ ძველ ბიუროკრატებსა და ფუნქციონირებს ამოუდგეს მხარში... ნუთუ იმას დაფიქრება და დაეჭვება სჭირდება, რომ ყველა ქართველმა სამშობლოს თავისუფლებისათვის უნდა იბრძოლოს, გინდაც დამარცხებისთვის (დმერთმა ნუქნას) იყოს განწირული ეს ბრძოლა.²³

1990 წელს გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“ წერდა: „ქართველ ერს თავისუფლება სწყურია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რამეთუ თავისუფლებისაკენ მოგვიწოდებს ჩვენი სამიათასწლოვანი სახელმწიფოების სახელოვანი ისტორია, დიდი დავითის, თამარის, ილიას წმინდა აჩრდილები. არ არსებობს ძალა, რომელსაც ძალუმს შეაჩეროს ერის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. მაგრამ თავისუფლება იოლად არ მოდის, მას ძალისხმევა სჭირდება.“²⁴

1991 წელს გაზეთი „ეგრისი“ მოუწოდებდა საზოგადოებას: „თანამემამულენო! საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და შფოთიან ხანაში ყველა ჩვენთაგანის ვალია გამოიჩინოს პასუხისმგებლობა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

²³ გაზ. არაგვი, 1991, №36, გვ. 2

²⁴ გაზ. ამბროლაურის მოამბე, 1990, №134, გვ. 1

მხოლოდ ამ შემთხვევაში დავადწევთ თავს იმპერიის მარწუს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით მსოფლიოს ცივილიზაციული სამყაროს სრულფასოვანი წევრი. დაე, იყოს ჩვენი დევიზი სამოქალაქო თანხმობა, ურთიერთგაბება და მშვიდობა.“²⁵

ზემოთაღნიშნული მოწოდებები შემთხვევითი არ ყოფილა, საქართველოს ნამდვილად ესაჭიროებოდა ერთიანობისაკენ მოწოდება და სახელმწიფო ინიციატივი აზროვნების განვითარებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ეროვნული ცნობიერების გაძლიერებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდა ყოველთვის ეპლესიას და გამონაკლისი არც აღნიშნულ პერიოდში ყოფილა. 1992 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: „საქართველოს ეპლესია მუდამ იდგა და იდგება ერის გვერდით. მუდამ იყო და იქნება ეროვნული ეპლესია. ხშირად გვეკითხებიან ჩვენს სამდვდელოებას ვის მხარეს ხართ, რომელ პარტიას, ან რომელ სახელმწიფო მოღვაწეს უჭერთ მხარს? უნდა გაიგოთ, რომ საქართველოს ეპლესიას არა აქვს უფლება დაყოს ჩვენი ერი. არა აქვს იმის უფლება, რომ დადგეს რომელიმე ქართველის გაერდით. საქართველოს ეპლესია უნდა დადგეს მთელი ერის მხარეს, უნდა გააერთიანოს ერი. ეს არის ეპლესის მოვალეობა და სულ არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვინ იქნება სახელმწიფოს სათავეში. მთავარია ქართველი იყოს და საქართველოს საქმეები აკეთოს.“²⁶

1992 წლის საშობაო ეპისტოლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა საქართველოში მომხდარ შიდა დაპირისპირებაზე და

²⁵ გაზ. ეგრისი, 1991, №62, გვ. 1

²⁶ გაზ. ალიონი, 1992, №42, გვ. 2

უთანხმოებაზე. „მოსახლეობის ნაწილის გადიზიანება გამოვლინდა ეკლესიის მიმართაც. იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე ჟამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის ეთხოვათ გულმხურვალე ლოცვა დვორისადმი, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს. განა შეიძლება, ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლებილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად? ჩვენს წინ, რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველნი შევეგებებოდით მას, მაგრამ ჩვენს სამწყებოს, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვქონდა. განა ზნეობრივია, დედამ განასხვავოს შვილები ერთმანეთისგან, თუ ყველა ლონე უნდა იხმაროს მმათა შორის შუდლის დასაცხრობად?“²⁷

ქართული სახლემწიფოებრიობის სიძლიერის მთავარ გარანტად XX საუკუნის 90-იან წლებში ეკლესიასთან ერთად, სკოლა და ჯარი მოიაზრება. „ერი რომ აღდგეს, გაიწმინდოს და თავის პირვანდელ სახეს მიუბრუნდეს, პრველ ყოვლისა, სკოლის-თვისაა მისახედი. დასანგრევია საბჭოთა სკოლა, – ძლიერი საყრდენი ბოროტებისა და სიმახინჯისა. საბჭოთა სკოლაში მოზარდის გონებაში წინაპართა წარსულის მაგივრად დამპყრობლის, მამულის მომშლელის და გადამთიელის ქება-დიდება იბეჭდებოდა, დედის ტკბილ ალერსს, ღმერთის რწმენას და ანგელოზის სიწმინდეს მსჯვალავდა ანტიქრისტეს სახება. ყოველივე საბჭოური ინგრევა და საბჭოთა სკოლაც უნდა შეიცვალოს, ეს ხომ უმარტივესი მათემატიკური აქსიომაა. საბჭოთა სკოლის ეროვნული სკო-

²⁷ რა ხდებოდა თბილისში, თბილისი, 1992, გვ. 126

ლით შეცვლა უფრო მისაღები და მიზანშეწონილი არ იქნებოდა? სადაც არ არის.²⁸

სკოლის და ჯარის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ ყოფილა. ქვეყნის სიძლიერის მთავარი გარანტი სწორედ განათლებული საზოგადოება და ძლიერი ჯარია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაში მტკიცედ ჩამოყალიბებული ჯარი იძენს. „ჩვენმა ქვეყანამ თავისი ისტორიით დაამტკიცა ქართველი ერის მხედრული ნიჭი. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიაში შემავალი ეროვნული საჯარისო ფორმირებები დაიშალა, დავიწყებას მიეცა ქართული სამხედრო ტრადიციები. დროა, აღდგეს ქართული სამხედრო ფორმირებათა სიმბოლიკა, რიტუალები, სამოსი, შემუშავდეს სამხედრო ფიცი. თავდაცვის კომისიამ უნდა უზრუნველყოს ქართველ ოფიცერთა კადრების აღზრდა, შეიმუშაოს საჯარისო წესდება, სახწავლო ლიტერატურა და პროგრამები. უნდა აღდგეს და გადახალისდეს ქართული სამხედრო ტერმინოლოგია. კომისიის კომპეტენციებში შედის ალტერნატიული სამხედრო სამსახური.“²⁹

ეროვნული იდენტობის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ჯარის და ჯარისკაცის სულისკვეთების შეფასება და შესწავლა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთ „ალიონის“ უფრნალისტის გამოკითხვა ხაშურის მხედრიონთან. „ბიჭებს მოულოდნელად ვეკითხები: რა არის სამშობლო?

- მე მეკითხებით?
- ყველას გეკითხებით
- როგორ არ ვიციოთ, მაგრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად.

²⁸ გამ. გალი, 1991, №34, გვ. 3

²⁹ გამ. გალი, 1991, №23, გვ. 2

- დიახ ასე უცბად და დაუფიქრებლად
- ასე უცბად და დაუფიქრებლად სამშობლოს-
თვის სიკვდილი თუ შეიძლება, მაგრამ იმის თქმა რა
არის სამშობლო ძალიან ძნელია მპასუხობს ამირა-
ნი.“³⁰

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტა-
ციის გამოკვეთასა და განვითარებასთან ერთად, დი-
დი ყურადღება ექცევდა ეროვნული იდენტობისთვის
დამახასიათებელი ღირებულებების გამოკვეთას. მათ
შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეროვნული
ტრადიციების აღორძინებას. „ქართველი ხალხი მრა-
ვალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მუდამ მა-
ღალკულტურული და მაღალცივილიზებული გახ-
ლდათ. ამას ამტკიცებს ჩვენი ერის მდიდარი სულიე-
რი და მატერიალური საგანძური. დღეს დაგვეკარგა
კულტურა, ისე როგორც ბევრი სხვა რამე. ერთმა-
ნეთთან ურთიერთობაში გავუხეშდით. ახალი საქარ-
თველოს შენება კი წინაპრების წეს-ჩვეულების, ტრა-
დიციებით, ეროვნული ბუნების გარეშე წარმოუდგა-
ნელია“³¹

ერთიანობის განცდა საზოგადოების განვითარე-
ბის ყველა ეტაპზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვა-
ნია. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელი-
ტა მუდმივად ესწრაფვოდა ქართველთა შეგნებაში
ერთიანობის განცდის გაღვივებას. ამ მხრივ გამონაკ-
ლისის არც XX საუკუნის 90-იანი წლები იყო. „ქარ-
თველი კაცი უპირველეს ყოვლისა, კვლავ უნდა და-
უბრუნდეს თავის პირვანდელ სახეს, მან უნდა დაიბ-
რუნოს ის ზნე-ჩვეულება, რაც ოდიოგანვე იყო ქარ-
თველისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისება. ქარ-
თველმა კაცმა სიყვარული უნდა შეიძლოს, უნდა შე-

³⁰ გაზ. ალიონი, 1992, №89, გვ. 2

³¹ გაზ. ამბროლაურის მოამბე, 1992, №27, გვ. 2

იძლოს დანდობა საკუთარი ქმის, მოკეთის... ქართველმა კაცმა ბევრი რამეც უნდა აიტანოს. ისევ და ისევ საკუთარი თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ... ჩვენს ქვეყანას ახლა მხოლოდ ქართული სული გადაარჩენს, ქართული გონი, ქართული სულისკეთება... ნადდი, ჭეშმარიტი ქართული და არა გამოგონილი.“³²

გაზეთი „ივერია“ 1990 წელს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკა უკიდურესად ჩამორჩენილია. მისი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. ხელოვნურად არის გაზრდილი საკავშირო ეკონომიკურ სისტემაში მისი ინტეგრირებულობის დონე. პირადი ინიციატივისა და პირადი პასუხისმგებლობის ელემენტის გამოდევნამ ეკონომიკიდან გამოიწვია შრომითი ჩვევების გადაგვარება. რაც საბოლოოდ ზნეობრივ გადაგვარებაში გადაიზარდა, პატიოსანი შრომა არ არის მომგებიანი არც ეკონომიკურად და არც საზოგადოებრივი პრესტიჟის თვალსაზრისით, ორივე აზრით, ფასობს კანონის გვერდის ავლით ჩრდილოვანი ეკონომიკის და შავი ბაზრის მეთოდებით მოქმედება. ამის გამო დაცემულია კანონიერების, როგორც ასეთის პრესტიჟი. განათლების დონე დაბალი და პროვინციულია, ამასთან ტენდენცია აქვს შემდგომი დაცემისაკენ. პროფესიონალიზმი უაღრესად დაფიციტურია ცხოვრების უვალა სფეროში. ამის მიზეზია ცოდნის პრესტიჟის დაცემა და მოწინავე მსოფლიო აზროვნებასთან კონტაქტის დაკარგვა.“³³

1991 წელს გაზეთი „ეგრისი“ მოუწოდებდა საზოგადოებას: „თანამემამულენო! საქართველოს ისტორი-

³² გაზ. ოდიში, 1993, №30, გვ. 1

³³ გაზ. ივერია, 1990, №34, გვ. 25

ის ამ ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და შფოთიან ხანაში ყველა ჩვენთაგანის გალია გამოიჩინოს პასუხისმგებლობა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავადწევთ თავს იმპერიის მარწუხს და მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი წევრი. დაე, იყოს ჩვენი დევიზი სამოქალაქო თანხმობა, ურთიერთგაბება და მშვიდობა.³⁴

სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია II-ის 1999 წლის საშობაო ეპისტოლე: „ტოტალიტარული რეჟიმის დროს ადამიანი შეეჩია, რომ ყველა საკითხს ხელისუფლება წყვეტდა, პიროვნება კი მისი მექანიკური შემსრულებელი იყო. ახლაც მრავლად არიან ისეთნი, რომელნიც ძველებურად სახელმწიფოსგან ელიან მზამზარეულ რეცეპტებს და დროის მოთხოვნილების შესაბამისად ვერ მოქმედებენ. ეს არც არის გასაკვირი. ადრე კერძო ინიციატივა უცხო იყო საზოგადოებისათვის. ახლა კი, როცა დრო შეიცვალა და უამისოდ უკვე შეუძლებელია ცხოვრება, ადამიანებს უჭირო სწრაფი გარდატეხა.“³⁵

1999 წელს „ახალი ივერია“ წერდა: „ჩვენს საზოგადოებაში უნდა აღიზარდოს და გამოიწროოს მოქალაქეობის ახლებური თვალსაზრისი, რომელშიც ნაკლები იქნება რომანტიზმი და მითოლოგიზმი და მეტი – ეროვნული ცნობიერების საფუძველზე ჩამოყალიბებული ნაციონალიზმი, ნებისყოფა და ენერგია. ეროვნულ ცნობიერებას ქმნის კულტურა და ამიტომ კულტურაზე ზრუნვა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის პრიორიტეტი უნდა იყოს. საკუთარი

³⁴ გაზ. ეგრისი, 1991, №62, გვ. 1

³⁵ გაზ. აღორძინება, 1999, №2-3, გვ. 3

სახის არმქონე, კულტურაწარხოცილ საქართველოში ცხოვრებას ქართველობა ვერ შეგუვება.“³⁶

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო ეპიკომის მთავარი საფუძვლი ეროვნული იდეების აღორძინება-გაძლიერება და ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმართვა იყო. ამავდროეულად, თითქმის ყველა ურნალ-გაზე-თში ყურადება მახვილდებოდა ქართველების ერთო-ანობის აუცილებლობაზე.

„ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, რომელ-მაც სინამდვილედ აქცია ქართველი ხალხის მრავალი თაობის ნაოცნებარი, ახლა ნიჭს, ცოდნას და ენერგიას მტრის მოსაგერიებლად კი არა, ერთმანე-თის წინააღმდეგ ბრძოლაში ხარჯავს. არადა, ურთი-ერთშენდობა, მხარში დგომა და საერთო მტრის წი-ნააღმდეგ გამოლიანებული ენერგიით ბრძოლა არას-დროს ისე არ დასჭირვებია საქართველოს, როგორც დღეს სჭირდება.

... ჩემი კეთილი სურვილია: ნუ დაყოფთ ქარ-თველ ერს „ჩვენიანებად“ და „სხვისიანებად“. ჩვენ, ყველა ვჭირდებით საქართველოს. ჩვენ, ყველას შეგ-ვიძლია რადაც ძალა შევმატოთ განთავისუფლების გზაზე დამდგარ მრავალტანჯულ ქართველ ერს. ნუ შევჭამთ ერთმანეთს, ნუ დავღვრით ქართველთა სისხლს, ნუ ამოვსვრით გუშინდელ მეგობარს ლაფ-ში. ერთმანეთის კრიჭაში დგომას სჯობია ხელი ხელს ჩავკიდოთ მტკიცედ და მედგრად აღვუდგეთ წინ ჩვენი ერის გადაშენების მოსურნეს.“³⁷

1998 წელს ოქტომბერში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რადიონტერვიუში განაცხადა: „ნების-მიერი ერის სახელმწიფო ეპიკომი კულტურა, უწინარე-

³⁶ გაზ. ახალი ივერია, 1999, №1, გვ. 5

³⁷ გაზ. სამტრედიის მაცნე, 1991, №116, გვ. 1

სად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად აქვს შეგნებული თითოეულ მოქალაქეს საკუთარი ქვეყნისადმი გალდებულების უპირობოდ და უძველად შესრულების აუცილებლობა.“³⁸

XX საუკუნის 90-იანი წლები ერთ-ერთი რთული შესაფასებელია ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ მრავალი კარდინალური მნიშვნელობის საკითხი წამოწია წინა პლაზე. პირველ რიგში, მარტივი გადასალახი არ იყო საბჭოთა სისტემას მორგებული და მიჩვეული ცნობიერების შეცვლა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება. ბუნებრივია, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მხოლოდ ცნობიერების ცვლილება არ მომხდარა და გადასაჭრელი და მოსაგვარებელი იყო პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, რაც არანაკლები მნიშვნელობისაა ქვეყნის ცხოვრებაში, თუმცა საზოგადოების ცნობიერების ცვლილებას მთავარ პრობლემად მივიჩნევ. რადგან სახელმწიფოს არსებობის და სიძლიერის ერთ-ერთი გარანტი სწორედ საზოგადოებრივი აზრის და აზროვნების საკითხია. თუ საზოგადოება ერთიანი იდეით არ არის გამსჭვალული როგორია სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარება. შემთხვევითი არ იყო, რომ შეუსაუკუნეების საქართველოში და შემდეგაც, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მიზანმიმართულად ცდილობდა მოსახლეობის ცნობიერების განმტკიცებას ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი შემდეგი ფასეულობები იყო: სამშობლო, ენა, სარწმუნოება, ტრადიციები. ბუნებრივია, აღნიშნულ დი-

³⁸ გახ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №258, გვ. 1

რებულებებს მნიშვნელობა არც XX საუკუნის 90-იან წლებში პქონდა დაკარგული, თუმცა განსხვავებით წინა პერიოდებისგან, საქართველოს სჭირდებოდა ძლიერი და ორგანიზებული კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელიც, თავადაც გარევეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზე იყო. მაგალითად, XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს უფრო ძლიერი პოლიტიკური თუ კულტურული ელიტა ჰყავდა. ბუნებრივია, არც XX საუკუნის 90-იანი წლების ელიტა იყო მნიშვნელობას მოკლებული, თუმცა განსხვავებით ზემოთაღნიშნული პერიოდისგან, როდესაც გამოკვეთილი მტრის ხაზი არსებობდა და მიზანიც საერთო და გასაგები იყო, XX საუკუნის 90-იანი წლების მოდვაწებში მტკიცედ ჩამოყალიბებული მიმართულება არ არსებობდა. თვითონ მათში არ იყო ერთსულოვნება, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ქვეყნის მდგომარეობაზე. ეს განსაკუთრებით 90-იანი წლების I ნახევარში შეინიშნება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნული იდენტობისათვის დამახასიათებელი ფასეულობების განმტკიცებასთან ერთად აუცილებლობას წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკური ვითარების მოწესრიგება. ტრადიციულ ეროვნულ ფასეულობებს ემატება ევროპული ღირებულებების საქართველოში დანერგვის მცდელობა. რაც პირველ რიგში დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას უკავშირდებოდა. ამრიგად, ქართულ, ეროვნულ იდენტობაში იკვეთება ევროპული სივრცისათვის დამახასიათებელი ფასეულობების მიღების სურვილი, ბუნებრივია აღნიშნულის მთავარი მოთავე კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელიც, როგორც აღვნიშნე თავადაც ჩამოყალიბების სტადიაზე იმყოფებოდა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ

ეს პროცესი ყველასათვის თანაბრად მისაღები არ იყო.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის აღდგენამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის აუცილებლობა ქვეყნის წინაშე. მით უფრო, რომ საქართველო საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა გახდა და მის წინაშე ახალი გამოწვევები დადგა დღის წესრიგში. ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებასა და აღორძინებასთან ერთად საქართველოს წინაშე დამოუკიდებელი სახელმწიფო სათვისტოსათვის დამახასიათებელი სისტემის მიღებისა და დამკვიდრების საკითხი გამოიკვეთა. ეს პირველი რიგში არჩევნებში მონაწილეობას უკავშირდებოდა.

1992 წლის 15-23 ივნისს საქართველოს 16 რეგიონში ჩატარდა გამოკითხვა საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. როგორც ჩანს დოკუმენტში აფხაზეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები შეტანილი არ არის. „1992 წლის აპრილის თვესთან შედარებით 67 პროცენტიდან 85%-ე გაიზარდა მოსახლეობის ის რიცხვი, რომელიც თვლის, რომ ამჟამად საქართველოში მეტად რთული და დაბაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა. საქართველოში, პოლიტიკური დაბაბულობის დონე ყველა ასაკობრივ ჯგუფში შეფასებულია როგორც მეტად რთული და დაბაბული. 73%-დან (21 წლის მოსახლეობა) 87%-მდე (51-60 წლის ასაკობრივი ჯგუფები).

პოლიტიკური დაბაბულობის მაჩვენებლები დაახლოებით თანაბარია ყველა სოციალურ ჯგუფებში (83%-87%), გამონაკლისს შეადგენს სტუდენტობა – 76%. რეგიონების მიხედვით პოლიტიკური სტაბილიზაციის იმედი აქვთ გორის, მარნეულის, ახალქალა-

ქის მოსახლეობის ნახევარს. ქუთაისსა და თბილისში 41%, სენაკსა და მარტვილში 18%-21%.³⁹

როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებისადმი შემდეგნაირია: 1. მონაწილეობას მიიღებს – 61, 9%; 2. არ მიიღებს მონაწილეობას – 12, 8%; 3. არჩევანი ჯერ არ გაუპეტებია – 25%.⁴⁰

რეგიონების მიხედვით 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში მოსახლეობის შემდეგი რაოდენობა მიიღებს მონაწილეობას:

მიიღებს მონაწილეობას ქ. გორი	არ მიიღებს მონაწილეობას გორის რ-ნი	არ აქვთ გადაწყვეტილი ---
---	91%	83%
---	---	ბორჯომი
65%-67%	---	---
წალკა	65%-67%	5%-8%
---	ბაღდაძი	65%-67%
5%-8%	---	ქუთაისი
60%-61%	15%	---
თბილისი	60%-61%	15%
19%-20%	ახმეტა	45%
10%	---	ოზურგეთი
54%	13%	35%
მარტვილი	50%	30%
27%	სენაკი	18%
39%	33%	ქედა
---	---	24%
მარნეული	---	28%

³⁹ სეიცხა, ფ.767, აღწ. 1, საქ. №137, ფურც. 1

⁴⁰ იქვე, ფურც. 3

სოციალური ჯგუფების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ:

- ინტელიგენცია – 75%
- მოსამსახურეები – 65%
- პენსიონერები – 67%
- გლეხები – 58%
- ბიზნესმენები – 60%
- მუშები – 47%

დიასახლისები – 51%

უმუშევრები – 38%

სტუდენტები – 32%.⁴¹

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მონაწილეობის მსურველთა პროცენტული რაოდენობა შემდგება:

1. 21 წლამდე – 45%
2. 21-30 წლის – 48%
3. 31-40 წლის – 57%
4. 41-50 წლის – 67%
5. 51-60 წლის – 74%
6. 61-70 წლის – 78%
7. 71 წლის და მეტის – 86%

არჩევნებში მონაწილეობის მსურველიდან (მონაწილეობას დებულობს – 61, 9%) 66% კაცია, ხოლო 57%-ქალი.⁴²

ეროვნების მიხედვით მონაწილეობას მიიღებენ:

1. ბერძნები – 75%
2. რუსები – 70%
3. სომხები – 69%
4. ქართველები, აზერბაიჯანელები, ებრაელები – 58%.⁴³

⁴¹ სუიცსა, ფ.767, აღწ. 1, საქ. №137, ფურც. 4

⁴² სუიცსა, ფ.767, აღწ. 1, საქ. №137, ფურც. 5-6

⁴³ იქვე, ფურც. 8

თავი მეორე

ქართულ-დასავლური ურთიერთობები

ტრადიციული ქართული დიორებულებების აღორძინება-განვითარებასთან ერთად აღნიშნულ პერიოდში აქტუალური იყო ქართულ-დასავლური ურთიერთობის საკითხი. საქართველო პრეტენზიას აცხადებდა დასავლურ სახელმწიფოთა ოჯახში გაწევრიანებაზე. ეს პროცესი ცვლილებებისა და გარდაქმნების ფონზე მიმდინარეობდა.

საქართველო-დასავლეთის ურთიერთები სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. ეს იყო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული. მათ შორის მოლაპარაკებების პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ცალკეული რეგიონების, კერძოდ, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემათა მოგვარებას. განსაკუთრებულად აქტუალური აფხაზეთის საკითხი იყო. მთელი 90-იანი წლების განმავლობაში ამ თემას აქტუალობა არ დაუკარგავს. თუმცა, სამწუხაროდ, რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ქართული მხარე მუდმივად ცდილობდა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აგრეთვე მიმართავდნენ ცალკეული სახელმწიფოების ლიდერებს. გარდა იმისა, რომ საქართველოში ჩამოდიოდა სხვადასხვა დელეგაცია საკითხის ადგილზე შესწავლის მიზნით, აფხაზეთის თემა განიხილებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სხდომებზე. აღნიშნულ თავში შევეხები ქართულ-დასავლურ ურთიერთობებს პოლიტიკური მიმართულებით. ნაშრომში განვიხილავ აღნიშნული პრობლემის ძირითად საკითხებს, რამაც საბოლოო ჯამში საქართვე-

ლოს მდგომარეობაზე იქონია გავლენა და ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის დასავლურ სივრცეში დამკვიდრებას.

ბუნებრივია, ეს რთულად გასავლელი გზა იყო და არის საქართველოსთვის, მით უფრო ძნელადგადასალახი აღმოჩნდა XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო ახალი პრობლემების და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. გარდა საშინაო მდგომარეობის მოგვარებისა და მოწესრიგებისა, საქართველოს სჭირდებოდა მოკავშირე სახელმწიფოები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებას. თუმცა ეს არცთუისე მარტივად გადასაჭრელი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი პოზიციებს არ თმობდა, რაც ნათლად გამოჩნდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს. ეს პრობლემა არც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოხვდის შემდეგ მოგვარებულად და თამამდ შეიძლება ითქვას ეს საკითხი დღესაც მოელი სიმწვავით დგას საქართველოს პირისპირ.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოხვდის პერიოდიდან, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა დასავლეთთან ურთიერთობის დამყარებას, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებოთ.

XX საუკუნის 90-იან წლებში გახშირდა დასავლეთის წარმომადგენელთა სტუმრობა საქართველოში და პირიქით. ქართული პოლიტიკური ელიტის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ქვეყნის გადარჩნის გზების ძიება. წინა თავში აღვნიშნე პოლიტიკური და კულტურული ელიტის მცდელობაზე ქართული საზოგადოების სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების და დასავლური ფასეულობების იმ დოზით დანერგვის მცდელობაზე რაც საჭირო იყო. ზე-

მოთაღნიშნულთან ერთად არც პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები იყო ნაკლები მნიშვნელობის. ერთი მხრივ, საქართველოს ხელი-სუფლება ცდილობდა დასავლეთის დაინტერესებას საქართველოთი და მეორე მხრივ, დასავლეთი ეს-წრაფვოდა ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური, გეოს-ტრანსიული მნიშვნელობის გამოყენებას. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, საქართველოს სწრაფვა დასავლეთისადმი უძველესი პერიოდიდან შეინიშნება, თუმცა არც ერთ ეტაპზე კავშირი არ შედგა იმ მნიშვნელობით, რაც საქართველოს სურდა. ამ მხრივ, გამონაკლისია მეტნაკლებად XX საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც დასავლეთი მეტ ინტერესს იჩენს საქართველოსადმი. აქ შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, რომ დასავლეთის დამოკიდებულება მკვეთრი ნაბიჯებით არ გამოიხატებოდა, რაც სავსებით მართალია, თუმცა ჩვენთან შექმნილი ვითარების გათვალისწინებით დასავლეთის და საქართველოს მცდელობები ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით მაინც დადგებითად შეგვიძლია განვიხილოთ.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ XX საუკუნის 90-იანი წლები ერთ-ერთი რთული შესაფასებელია, რადგან მრავალი საკითხია გასარკვევი, რასაც გარკვეული პერიოდის შემდეგ უფრო მოეფინება ნათელი. თუმცა არსებული მონაცემების გათვალისწინებით გარკვეული დასკვნების გაკეთებას შევძლებ.

საქართველოსთვის, ყველა პატარა სახელმწიფოს მსგავსად, საერთაშორისო ურთიერთობების ქსელში საკუთარი ადგილის დამკვიდრება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. 1989-1992 წლები გადამწყვეტი იყო ეროვნული თვითშეგნების გამოკვეთასა და აღორძინებაში. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა დასავლეთთან ურთი-

ერთობის საკითხი. ამას მოწმობს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კო-მიტეტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის დეკლარაცია მიღებული 1989 წლის 17 აგ-ვისტოს გაფართოებულ სხდომაზე: „საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებე-ლია შემდეგი ღონისძიებების გატარება: უნდა შედ-გეს სპეციალური მიმართვები, რომლებიც გაიგზავნე-ბა ისეთ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგა-ნიზაციებში, როგორებიცაა, გაერო, ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელ-შეკრულების ორგანიზაცია, გაერთიანებული ქვეყნე-ბის მთავრობები. მოთხოვნილ იქნას საერთაშორისო მისიების ჩამოსვლა საქართველოში სახელმწიფოე-რივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დასმი-სა და განხილვის მიზნით. აგრეთვე, გაეროს ექსპერ-ტების ჩამოყვანა 9 აპრილისა და 15 ივლისის გენო-ციდის ფაქტების შესასწავლად.“⁴⁴ აღნიშნულის გა-მოხატულება ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამ-გეობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუმ-ლიარისადმი: „უმორჩილესად გთხოვთ არ დარჩეთ გულგრილი ანექსირებული ერის ბედის მიმართ. შექ-მნათ საერთაშორისო კომისია და გამოგზავნოთ ექ-სპერტები ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესასწავლად. (ანალოგიური ში-ნარსის წერილები გაეგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მი-ნისტრს მარგარეტ ტეტჩერს, საფრანგეთის რესპუბ-

⁴⁴ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალა-გეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენერამებ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 258

ლიკის პრეზიდენტს ფრანსუა მიტერანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს, მის უწმინდესობას რომის პაპს იოანე პავლე მეორეს).⁴⁵ აი, რას ვკითხულობთ აშშ სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მიმართ გაგზავნილ წერილში: „ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული ქართველი ხალხის სახელით მოგმართავთ თქვენ, სახელმწიფო მდივნეს ამერიკის შეერთებული შტატებისა, ქვეყნისა, რომელიც წარმოადგენს თავისუფლებისა და დემოკრატიის დასაყრდენს მთელ მსოფლიოში, საბჭოთა მხარესთან მოლაპარაკებისას განიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. აშშ საკონსულოს გახსნა თბილისში.
2. ამერიკული საინფორმაციო სააგენტოების საკორესპონდენტო პუნქტების გახსნა თბილისში, რაც სელს შეუწყობს ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების ობიექტურ გაშუქებას.
3. ქართველი და ამერიკელი ხალხების კულტურული, სამეცნიერო, შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავებისათვის აშშ კულტურული ცენტრის გახსნა თბილისში.
4. 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაპატიმრებული ქართველი პოლიტპატიმრების დაუყოვნებელ განთავისუფლებას.
5. 9 აპრილის ამბების გამოსაძიებლად საერთაშორისო კომისიის შექმნა.⁴⁶

⁴⁵ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 61, 62

⁴⁶ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 73

1989 წელს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი თეო-მურაზ სუმბათაშვილი მიმართავს თავისუფალ სამყაროს: „.... საქართველოს ტერიტორია დასტოვონ სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარმა. საქართველოში შემოყვანილ იქნეს გაერთიანებული ერების ჯარები. გაუქმდეს მარიონეტული ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და დემოკრატიული წესით არჩეული იქნეს ეროვნული ხელისუფლება.“⁴⁷

1989 წლის 17 მარტს ამერიკის სენატში განახლდა განხილვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხისა რესპუბლიკელი სენატორის ჯეფრი ჰელმისის მიერ (თავდაპირველად ეს საკითხი წამოაყენა 1975 წელს კონგრესმენმა ვაგონერმა, რომელმაც გააცნო კონგრესს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელიაის წერილი გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი). „სენატორმა ჰელმისმა და უილ-სონმა მოითხოვეს კონგრესისაგან განხილვა და კენჭისეურის ჩატარება მიმართვაზე, რომელიც ქართველმა დისიდენტებმა, ჰელისინკის კავშირის წევრებმა 1988 წელს გაუგზავნეს პრეზიდენტ რეიგანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ითქვა, რომ კონგრესმა კენჭი უნდა უყაროს მიმართვას ორი თვის მანძილზე, აგრეთვე შემდეგ წინადაღებებს:

1. მხარი დაუჭიროს ქართველ ხალხს ძალისხმევაში, რათა მიაღწიოს თავისუფლების აღდგენას.

⁴⁷ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. I, მასალები მოიძებს, ქრონოლოგიურად დააღადეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტიკემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 277

2. მიანიჭონ მათ უფლება თვითგამორკვევისა, ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესაბამისად, რომელსაც საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი.

3. მხარი დაუჭირონ საქართველოს მოთხოვნას ადამიანის უფლებების დაცვაში, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით, რომელსაც აგრეთვე ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმა.

4. მოუწოდონ საბჭოთა კავშირის მთავრობას გულისყურით მოეკიდოს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას და უზრუნველყოს მისი უფლება თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა დაცვა.⁴⁸

1991 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა მიმართა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს დახმარებისთვის: „რეფერენდუმს ახალი ძალით მოჰყვა პროვოკაციები მოსკოვის მხრიდან და მაშინ, როცა ქართველებისა და ოსების კონფლიქტი თითქმის მოგვარებული იყო, საბჭოეთმა ჯერ დემაგოგიური ინფორმაციებით „მოამწიფეს“ ნიადაგი, შემდეგ კი ჯარის საგანგებო ნაწილები შემოიყვანეს. შემზარავი ფაქტები ფაქტებს ემატებოდა, მაგრამ რაც ამ დღეებში მოხდა, ალბათ სახელს ვერ მოუნახავს ცივილიზებული სამყარო. 11 აპრილს სოფელ დვანში შეიჭრა საგანგებო დამსჯელი ჯარის 12 ჯავშანტრანსპორტიორი და დაწვეს ორი წმინდა გიორგის ეკლესია. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა და მისმა დემოკრატიულად არჩეულმა პირველმა კანონიერმა პარლამენტმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

⁴⁸ ოთხმოცდაოცრთმეტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდია, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი 1995, გვ. 54-55

დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ, ქრისტიანული სამყაროს ყველაზე უთვალსაჩინოესი წარმომადგენებლი სათანადოდ შეაფასებთ ამ გაუგონარ დანაშაულს ხალხისა და ღმერთის წინაშე, გვჯერა მხარში ამოუდგებით მცირერიცხოვან ქართველ ხალხს და მის თავისუფლებას შეავედრებთ მაღალ ღმერთს.“⁴⁹

1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. მხარეებს შორის მოლაპარაკების ოქმში შემდეგი საკითხებია განხილული.

1. 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის რსფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ:

2. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესახვაფლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებული მისამართის მიზნით.

⁴⁹ გაზ. ახალი ტალღა, 1998, №28, გვ. 1

ბის განსაიარდებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყონებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ადდგენა.

6. საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ამ ზარალის ასანაზდაურებლად.

7. შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს.⁵⁰

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ მიიღო ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ამ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ედგარ სავისაარი. საუბრის დროს საზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დაამყარონ მჭი-

⁵⁰ გაზ. მოძღვარი, 1991, №8, გვ. 2

დრო ურთიერთობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო პრობლემების ერთობლივი გადაჭრის მიზნით, რომლებიც თავს იჩენენ გარდამავალი პერიოდის პირობებში, როგორც ესტონეთში, ისე საქართველოში... აღინიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, სანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდეს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მტკიცე კონკრიტური დამოუკიდებლობა.⁵¹

1991 წელს აშშ-ს წარმომადგენელი ქეთ ბარტმანი აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შემდეგი შინაარსის წერილს წერს: „... ბედნიერი ვიქნებით ოქვეთან, ან თქვენს წარმომადგენელთან შეხვედრით, თუ გამოთქვამთ ამ ხალხთან (იგლისხმება ქართველები – ნ.ს.) შეხვედრის სურვილს და სხვა კუთხით შეხვდავთ მოვლენებს. შეხვდებით ადამიანებს, რომლებთაც თავისუფლება სწადიათ, ადამიანებს იმ ქვეყნიდან, რომელიც ვედარ მართავს თავის თავს. დელგაცია ჩამოდის 18 ოქტომბერს ატლანტაში და აქ დარჩება თვის ბოლომდე. მე ახლახან მივიღე ერთი თვის წინ გამოგზავნილი წერილი, სადაც ჩემი მეგობრები იტყობინებიან, რომ საქართველოშიც იჩინა თავი იმ დეფიციტმა, რომელიც კარგა ხანია მძვინვარებს მოსკოვში. ქართველები არ უნდა განიცდიდნენ ამგვარ ხელმოკლეობას, ვინაიდან მათ აქვთ საკმაო რესურსები ნორმალური ცხოვრების პირობების შესქმნელად.“⁵²

საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევას გარკვეული გამოხმაურებები მოჰყვა ევროპიდან. „რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა უკრაინის სახალხო მოძრაობა „რუხი“. მისმა პრეზიდენტმა ივანე

⁵¹ გაზ. ამბოლაურის მოამბე, 1990, №142-143, გვ. 1

⁵² გაზ. თავისუფალი საქართველო, 1991, №4, გვ. 2

დრამა მიულოცა ოა ზვიად გამსახურდიას საპატიო თანამდებობაზე არჩევა, გამოთქვა რწმენა, რომ მიზანშეწონილია გაღრმავდეს უკრაინისა და საქართველოს ხალხების ყოველმხრივი კავშირ-ურთიერთობა და პირობა დადო, რომ ძალ-დონეს არ დაიშურებს მისი განვითარებისათვის.

დეპეშა გამოაგზავნა შვეიცარიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ფრანსუა ლაშამ. მისალოც დეპეშაში ნათქვამია: დიდი სიამოვნებით შევიტყვე არჩევნების შედეგები საქართველოში. გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა თქვენი ბრწყინვალე საარჩევნო შედეგის გამო. რაც შესანიშნავად ადასტურებს ქართველი ხალხის მხარდაჭერას იმ პოლიტიკისას, რომელსაც თქვენ ახორციელებთ.⁵³

1991 წლის 2 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სახელმწიფო რეზიდენციაში მიიღო საქართველოში მყოფი ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარის სემ გიბონსის მეთაურობით. ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ საქართველო უკვე დიდი ხანია ელოდა ესოდენ საპატიო სტუმრების ვიზიტს, რომელმაც დასაბამი უნდა მისცეს საქართველოსა და აშშ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.⁵⁴

საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობები დასავლეთან დამოუკიდებლობის ადდგენის შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით გამოიხატებოდა. ასე მაგალითად, 1991 წელს საქართველოში იმყოფებოდა ამერიკული დელეგაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ვიზიტის მიზანს ორ ქვეყანას შორის ეკონომი-

⁵³ გაზ. აბაშა, 1991, №78, გვ. 1

⁵⁴ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1991, №171-172, გვ. 1

კური და ეკოლოგიური კავშირის განვითარება წარმოადგენდა.

ამავე წელს საქართველოს ეწვია დელეგაცია ლატვიის რესპუბლკიდან, რომლის მიზანს წარმოადგენდა ურთიერთობის გადრმავება და საბჭოთა კავშირის დაშლის და მისი გამოსვლიდან შემდეგ შექმნილი მოვლენების სტაბილიზაცია.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო დელეგაცია იტალიიდან. „საქართველოს პრეზიდენტმა დიდი მადლობა გადაუხადა დელეგაციის წევრებს ჩამობრძანებისათვის. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ დიდ კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებს, რაც ტრადიციულად აკავშირებს ქართველ და იტალიელ ხალხებს და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ურთიერთობები კვლავ აღსდგება და გაგრძელდება, ვინაიდან საქართველო ამ ურთიერთობებში ჩაებმევა, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა.“⁵⁵

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა დასავლეთან ურთიერთობის დამყარებას. ამას მოწმობს 1991 წლის 21 დეკემბერს გაეროს, მსოფლიოს ქვეყნებსა და პარლამენტისადმი გაგზავნილი მიმართვა, სადაც განვითარებულია აზრი საქართველოს საერთაშორისო აღიარებაზე. „დაბეჯითებით გთხოვთ დაუყონებლივ გამოგზავნოთ საქართველოში თქვენი ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. აქვე გვინდა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მსოფლიოს ქვეყნების მიერ ერთადერთი გზაა, რომელიც თავიდან აგვაცილებს და-

⁵⁵ იქვე, 1991, №213, გვ. 1

შაბულობის შემდგომ ესკალაციას. ვიმედოვნებთ გაითვალისწინებთ ჩვენს თხოვნას, გარწმუნებთ, რომ თქვენი მხრივ კეთილი ნების გამოვლენა და ოფიციალური წარმომადგენლების მოვლინება ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში შექმნილი დაძაბულობის შენელებას.“⁵⁶

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სწრაფვა დასავლური სამყაროსადმი ნათლად გამოკვეთილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ როგორც დასავლური სამყაროსადმი უარყოფითად განწყობილ პირად, თუმცა არსებული მონაცემები, როგორიც არის მისი მიწერილობანი უკროპის, აშშ-ს და გაეროს წარმომადგენლობებისადმი ადასტურებს ზვიად გამსახურდიას სწრაფვას დასავლეთისკენ. მაგრამ მისმა ხანძოკლე მოდგაწეობამ პრეზიდენტის პოსტზე საშუალება არ მისცა განეხორციელებინა ჩანაფიქრი. ამასთან, მთლად გამოკვეთილი არ იყო დასავლეთის პოზიცია საქართველოსადმი მათი ორაზროვანი განცხადებებიდან გამომდინარე. მაგალითად პრეზიდენტმა ბუშმა კიევში გამოსვლისას განაცხადა: „თავისუფლების სული აღორძინებას იწყებს უკრაინაში, რუსეთში, სომხეთში და ბალტის ქვეყნებში... თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობა. ამერიკელები მხარს არ დაუჭირენ მათ, ვისაც სურთ დამოუკიდებლობა იმის გამო, რომ ერთი ტირანია შეცვალონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან მათ, ვინც ქადაგებს დამდუშველ ნაციონალიზმს, რომელიც ემყარება მტრობას ერთი ხალხისა მეორის მიმართ.“⁵⁷

⁵⁶ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1991, №251, გვ. 1

⁵⁷ კონსტანტინე ზ. გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ, თბილისი, 1997, გვ. 108

1991 წლის 9 ივნისს საქართველოს დელეგაცია გაემზავრა სტრასბურგში თენციზ სიცუას ხელ-მძღვანელობით. ევროპარლამენტის წევრებს აინტერე-სებდათ მთავრობის დელეგაციის მოსაზრებები ევ-როპის თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს მომავალი ურთიერთობის, ევროპაში საქართველოს ადგილის შესახებ. საქართველოს დელეგაცია მიიღო ევროპარლამენტის პრეზიდენტმა ენრიკო ბარონ კრუ-სპომ, რომელთან ერთადაც განიხილეს საქართვე-ლოს სამომავლო განვითარების გზები. ევროპარლა-მენტის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა დახმარე-ბის აღმოჩენის შესახებ.

ზეიად გამსახურდიას სწრაფვას ევროპისაკენ მოწმობს მისი შემდეგი სიტყვები: ჩვენ მოწყვეტილი ვართ მთელ მსოფლიოს, ჩვენ არ ვართ ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში და ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი დღეს სწორედ ეს არის – მსოფლიოს ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვა და იმ კავშირების აღდგენა, რომელიც ჰქონდა საქარ-თველოს.⁵⁸

საქართველოს მისწრაფებას დასავლეთისაკენ მოწმობდა ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ორიენტირებული იყო რაც შეიძლება მეტი უცხოელი ექსპერტის საქარ-თველოში მოწვევაზე, ქვეყნის გაცნობაზე და შემდეგ-ში დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, 1990 წელს საქართველოში არჩევნების მეთვალყურედ ჩამოვიდა „საერთაშორისო სამართლის მადალპროფესიულ სპეციალისტთა და ექსპერტთა დი-დი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ აშშ, საფრანგე-თის, ბელგიის, გერმანიის, შვეციის, ავსტრალიის, ეს-

⁵⁸ ოთხმოცდაოერთმეტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდია, სამართლიანობის აღდგენის კავშირი, „ხმა ერისა“, თბილისი, 1995, გვ. 5

პანეთის, ფინეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ პარლამენტარები, კონგრესმენები და სენატორები. ცნობილი პოლიტოლოგები, იურისტები, სოციოლოგები, ისტორიკოსები და ეკონომისტები. აგრეთვე, საქართველოში საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.⁵⁹ სწრაფვა დასავლეთისაკენ განსაკუთრებით გააქტიურდა 1991 წლიდან. „საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიზანს როგორც გარდამავლ პერიოდში, ისე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წარმომადგენდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან, ხოლო 1991 წლის 9 აპრილის დეკლარაციის შემდეგ – ქვეყნის დეიურედ აღიარებისათვის ბრძოლა. საქართველოს ძირითადი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისაკენ იყო მიმართული, თუმცა საურველი იყო აგრეთვე ხელსაყრელი განვითარება აღმოსავლეთი ქვეყნებთანაც.“⁶⁰

1991 წლის 14 მაისს ირაკლი კაკაბაძე აღნიშნავდა: „თანამედროვე დასავლური სამყარო არამცოუ წინააღმდეგია, არამედ დაინტერესებული თავისუფალ საქართველოსთან ურთიერთობით. უპირველეს ყოვლისა ამას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგრადობა და საქართველოს ისტორიული მისია – იყოს ქრისტიანული და ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. თუკი ყველაფერი ისე წავა, როგორც საჭიროა, დარწმუნებული ვარ შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპა

⁵⁹ 6. თავართქილამე, საქართველოს საშინაო პოლიტიკა 1991-1995 წლებში, თბილისი, 2001, გვ. 14

⁶⁰ კონსტანტინე ზ. გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ, თბილისი, 1997, გვ. 42

და ისრაელი დიდ დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ ახალ მეგობარს.“⁶¹

1991 წლის 18 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას: „საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ესწრაფვის მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებას, ცნობს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში და მზად არის უმოკლეს ვადაში შეუერთდეს საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანებს კონვენციებს, დეკლარაციებს, პაქტებს, მოახდინოს მათი რატიფიკაცია. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მხარი დაუჭიროთ საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამით ხელი შეუწყოთ ქვეყანაში დემოკრატიის და სტაბილური სიტუაციის დამკვიდრებას. თქვენი მხარდაჭერის მკაფიო გამოვლინება იქნება საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოწვევა გაერთიანებული ორგანიზაციის მრავალმხრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.“⁶²

1991 წლის 29 მარტს, საქართველოს ლიდერი ზვიად გამსახურდია შეხვდა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს და მასთან ერთად საქართველოში ჩამოსულ ამერიკის დელეგაციას. ნიქსონმა განაცხადა, რომ „ჩვენი ვიზიტი არ არის ოფიცია-

⁶¹ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. II, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 213.

⁶² საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990), ტ. II, მასალები მოიძიეს, ქრონოლოგიურად დაალაგეს და გამოსაცემად მოამზადეს ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ, თბილისი, 2011, გვ. 297.

ლური ხასიათისა, მაგრამ ჩვენ პრეზიდენტის დავა-
ლებით ვართ ჩამოსული და გვევალება საქართვე-
ლოს პოლიტიკური ვითარების მისთვის გაცნობა.
თქვენგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სა-
ჭიროა დელეგაციების გაცვლას ინტენსიური ხასია-
თი მიეცეს, ურთიერთდამოკიდებულება საქართვე-
ლოსთან იქნეს არა ისეთი, როგორიც საბჭოთა კავ-
შირთან იყო. ეს იქნება არსებითად ახალი სახის
ურთიერთკავშირი. ამერიკის მხარე დიდად არის და-
ინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობით.⁶³
კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებით: „ნიქსონის
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაეყოლიებინა სა-
ქართველოს პრეზიდენტი, რათა ამ უკანასკნელს შე-
ეწყვიტა კონფრონტაციული კურსი გორბაჩოვთან. ეს
კი ნიშნავდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე
ხელის მოწერას, რომლის საჭიროებაზეც გორბაჩოვი
თავის გამოსვლებში უკვე ლაპარაკობდა. თუ როგორ
დასრულდა ეს საკმაოდ გულთბილი შეხვედრა, ჩანს ნიქსონის სიტყვებიდან, რომელიც მან უთხრა მასპინ-
ძელს: „მე ვხედავ, რომ თქვენ არ შეცვლილხართ.
თქვენ ისევ ის მამაცი კაცი ხართ, ამ ოცი წლის წი-
ნათ რომ იყავით.“ დიპლომატიურ ენაზე ეს ნიშნავ-
და, დიდი განსაცდელი გელითო წინ. ნიქსონს ახ-
სოვდა ბევრი რამ, რადგან დისიდენტური მოძრაობის
აღმავლობა საბჭოთა კავშირში მის პრეზიდენტობას
დაემთხვე.„⁶⁴

აღნიშნულ ვიზიტს ნოდარ ნათადე შემდეგნაი-
რად აფასებს: „... რიჩარდ ნიქსონი, სხვათა შორის

⁶³ ოთხმოცდათერთმეტი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, სამართლიანობის ადდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი 1995, გვ. 32

⁶⁴ კონსტანტინე ზ. გამსახურდია, დინების საწინააღმდეგოდ, თბილისი, 1997, გვ. 106

„საპარლამენტო ოპოზიციასაც“ შეგვხვდა კრწანის-ში... მაგრამ, ნიქსონის ჩამოსვლის მიზანი, ცხადია მხოლოდ ოპოზიციასთან საუბარი არ იყო. როგორც ახლა ვხედავ და როგორც „მრგვალებისაგან“ მიღებული ინფორმაციაც მიგვითოთებს, მისი (და, ალბათ არა მხოლოდ მისი) პირით საქართველოს პრეზიდენტს გადმოეცა რეგიონის, ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს ჩვენთან დაკავშირებული დანარჩენი ნაწილის მოწყობის რაღაც გარკვეული კონცეფცია, რომელიც საქართველოსთვის და, მაშასადამე საქართველოს პრეზიდენტისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ამ გეგმის სავარაუდო პუნქტები. არ გამოვრიცხავ (თუმცა, რასაკვირველია, არც ვამტკიცებ და არც დაბეჯითებით ვვარაუდობ), რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა დასავლეულიდან დასახმარებლად გამოწვდილი ხელიდან სწორედ ასეთი ან ამის მსგავსი გეგმა მიიღო წინადაღების სახით, მაგრამ იგი არ შეიწყნარა... და ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ბუშის სიტყვები, რომლებიც მას, გადმოცემით, ზ. გამსახურდის პოლიტიკის მიმართ უხმარია საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცუავსო - სწორედ ამ არჩევანს ეხება.“⁶⁵

1991 წლის 24 ივნისს აშშ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიამ შემდეგნაირად მიმართა: „ვიმედოვნებთ, რომ ამერიკელი ხალხი და აშშ-ს მთავრობა მიესალმებიან ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, რაც გამოიხატა მის მიერ სახელმწიფო ინიციატივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის დემოკრატიული წრეების,

⁶⁵ 6. ნათაძე, რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი), თბილისი, 2002, გვ. 176

პირველ რიგში აშშ-სა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო.“⁶⁶

1991 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიმართა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტა-რიკის 23-ე კონფერენციას და სხვადასხვა საკითხებთან ერთად მოითხოვა ერთა თვითგამორკევის საკითხის დაცვა და ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დასავლეთის ქვეყნებთან

როგორც ვხედავთ, საწყის ეტაპზე გამსახურდია გამოირჩეოდა აქტიურობით დასავლეთთან მიმართებაში. თუმცა 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტინს შემდეგ ამერიკამ პირდაპირ განაცხადა, რომ გამსახურდიას არასწორი პოლიტიკური კურსი პქონდა არჩეული. „ამერიკისა და საქართველოს იმუამინდელ ურთიერთობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი მოსკოვში 1991 წლის 11 ნოემბერს სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის განცხადებამ. მაშინ ბეიკერი გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შეხვდა და განაცხადა, რომ შტატები არ ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას.“⁶⁷

აშშ თანდათანობით აცხადებდა თავის ახალ მიღებობას ყოფილ და ჯერ კიდევ, იურიდიულად არსებული საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. „1991 წლის 12 დეკემბერს პრინცესონში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა თავისი კუთილგანწყობილება გამოხატა რამდენიმე რესპუბლიკის მიმართ: რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, სომ-

⁶⁶ გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999, გვ. 212

⁶⁷ ი. გვესელავა, საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები, II, ზვიად გამსახურდია დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე, თბილისი, 2008, გვ. 167

ხეთმა, ყირგიზეთმა „დემოკრატიული იდეალებისადმი მიღრეკილებების დემონსტრირება მოახდინეს,“ – აღნიშნავდა ჯეიმს ბეიკერი და ადასტურებდა, რომ მათ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდათ.

მაგრამ აქვე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ის რესპუბლეკებიც დაასახელა, რომლებსაც დასავლეთისაგან ასეთი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამგვარი რესპუბლიკების რიცხვი სულ ორი გახლდათ: – საქართველო და აზერბაიჯანი. ბეიკერმა განსაკუთრებული ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ და მის პერსონალურად დასახელებასაც არ მოერიდა: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იმის დადასტურებაა, თუ როგორ შეიძლება კომუნიზმის შემცვლელად მოვიდეს სხვა ავტორიტარული რეჟიმი. ხილულ მომავალში დასავლეთი არ აპირებს დახმარება აღმოუჩინოს ბაქოს და თბილისეს.“⁶⁸

ზვიად გამსახურდია ასე აფასებდა აღნიშნულ მოვლენებს:

„როგორ გგონიათ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის არსებობა შეწყდა, დასავლეთი შეიცვლის თავის თვალსაზრისს საქართველოზე თუ არა?

–ჯერჯერობით არ ჩანს, და არა მგონია, რომ ეს ასე სწრაფად მოხდეს.

–თქვენ საკმაოდ ცუდი დამოკიდებულება გაქვთ დასავლეთის ლიდერებთან?

–დიახ, ეს მათი ბრალია, რადგან ისინი არ არიან დაინტერესებული იმპერიის დაშლით. ეს ხომ

⁶⁸ ქ. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბილისი, 2006, გვ. 411

ცნობილია. ჩემი სახით კი ისინი ხედავენ კაცს, რო-
მელიც იმპერიის დეზინტეგრაციის მომხრეა.⁶⁹

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურ-
დია დასავლეთის მხარდაჭერას მოითხოვდა „ხუნ-
ტის“ შემდეგაც. „მე მივმართავ გაეროს, მსოფლიოს
ხალხებსა და მთავრობებს, ამხილონ ხუნტის მიერ
ადამიანის უფლებათა უხეშებ უხეში დარღვევები
საქართველოში, მოითხოვონ კონსტიტუციურად არჩე-
ული ხელისუფლების აღდგენა, აგრეთვე, ყველა სა-
შუალებით დაეხმარონ ქართველ ხალხს თავი დაად-
წიოს იმ მძიმე განსაცდელს, რაც მას თავს დაატყდა
სამხედრო ხუნტის ავანტიურისტული მოქმედების წყა-
ლობით.“⁷⁰ ასეთივე აზრს ავითარებს გამსახურდია
აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერისადმი მი-
წერილ წერილში: „აშშ ადმინისტრაციის მიერ დანა-
შაულებრივი რეჟიმის მხარდაჭერა ნიშნავს ამერიკის
საზოგადოების დემოკრატიული ტრადიციების ფეხ-
ქვეშ გათელვას, პელსინკის შეთანხმების და პარი-
ზის ქარტიის პრინციპების უარყოფას. ყოველივე ეს
ქართველი ერის აღშფოთებას იწვევს და აძლიერებს
ანტიამერიკულ განწყობილებებს; მოვითხოვ შეწყდეს
სახელმწიფო დამნაშავეთა მხარდაჭერა, ურთიერთო-
ბა უნდა დამყარდეს მხოლოდ საქართველოს რეს-
პუბლიკის კანონიერ ხელისუფლებასთან, რომელიც
ამჟამად სამშობლოდან განდევნილია.“⁷¹

⁶⁹ დ. შველიძე, პოლიტიკური დაპირისპირება და ეროვნული ხე-
ლისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992წ.წ.), თბილი-
სი, 2008, გვ. 6.

⁷⁰ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური
დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. I, ზვიად გამსა-
ხურდია, თბილისი, 2013, გვ. 13.

⁷¹ საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ოფიციალური
დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ. II, ზვიად გამსა-
ხურდია, თბილისი, 2013, გვ. 12.

ქურნალისტების კითხვას თუ რით აიხსნებოდა დასავლეთის ინტერესი კავკასიის მიმართ, შემდეგნაირად პასუხობდა: „ეს რეგიონი მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათაშორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისთვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის. რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწავლის გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში. ბოლოს და ბოლოს მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ, ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე, სწორედ ამ გეგმის ხორცშესხმისათვის – კავკასიის მეორე ლიბანად გადაქცევისთვის არის შევარდნაძე.“⁷²

1992 წელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების წელიწადი იყო. 30 იანვრისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო 24-მა ქვეყანამ. „1992 წლის 23 მარტს პორტუგალიამ, რომელიც მაშინ თავმჯდომარეობდა ეკროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, გამოაცხადა გაერთიანების წევრების მიერ საქართველოს კოლექტიური აღიარების შესახებ. ეს იყო ენერგიული ნაბიჯი საერთაშორისო იზოლაციის

⁷² ცხრა ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ წვიმად გამსახურდიასთან, სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, თბილისი, 1995, გვ. 19

გასარდვევად, რომელშიც ქვეყანა ყოფილმა რეჟიმმა მოაქცია:“⁷³

12 აპრილს თბილისში იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე კანცლერი ჰანს დიტრიხ გენშერი. 25 მაისს საქართველოს ეწვია აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. მას ახლდა გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი. დაიწყო ახალი ეტაპი ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში.

1992 წლის აპრილში საქართველოში მყოფმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა განაცხადა: „... მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ოქვენი ხალხი დაძლევს ყველა სიძნელეს დემოკრატიის გზაზე, რადგან თქვენთან არის დიდი კაცი, რომელსაც ახასიათებს დიდი ვაჟკაცობა, შორსმჭვრეტელობა, რომელიც შეძლებს გამოიყვანოს თქვენი ქვეყანა კრიზისიდან. გერმანელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მის როლს გერმანიის გაერთიანებაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თვითგამორკვევაში.“⁷⁴

საქართველოში ყოფნისას ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი, თან ჩამოვიტანე პრეზიდენტ ბუშისა და მთელი ამერიკელი ხალხის საუკეთესო სურვილები და დიდი მხარდაჭერა თქვენი დემოკრატიის წარმატებული განვითარებისათვის. თქვენ ძალზე მნიშვნელოვან გზას დაადგით. ჩვენ ვაპირებთ და ვიმედოვნებთ გვქონდეს ფართო და ძლიერი და ყველაზე კონსტრუქციული ურთიერთობა თქვენთან. პირადად ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალზე სასისარულოა შევხვდე ჩემს კარგ მეგო-

⁷³ ქ. შევარდნაძე, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბილისი, 2006, გვ. 314

⁷⁴ გაზ. აჭარა, 1992, №60, გვ. 1

ბარსა და კოლეგას ედუარდ შევარდნაძეს. იგი გაბეჭდული ლიდერია, რომელსაც იცნობენ და პატივს სცემენ პლანეტაზე მსოფლიო დემოკრატიულ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის.⁷⁵ 1992 წლის 1 ივლისს კი გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა პელმუტ კოლმა საქართველოს პრეზიდენტს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „დიდი ყურადღებით ვაღვენებ თვალყურს თქვენს მეცადინეობას – გაატაროთ საქართველოში ნამდვილად დემოკრატიული რეფორმები და საფუძველი ჩაუყაროთ თქვენი ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას. დიდი შეშფოთებით ვაღვენებ თვალყურს შეჯახებების გაგრძელებას სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე ქვეყნის სხვა მხარეებში. ეს კონფლიქტები საფრთხეს წარმოადგენს მთელი კავკასიის რეგიონისათვის.

მსურს დაუინებით გაგამხვდოთ, რომ ამჟამინდელმა სიძნელეებმა არ მოახდინოს გავლენა თქვენს მიზანზე – განავითაროს საფუძვლიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები და მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოთ კონფლიქტები სამხრეთ ოსეთში. თქვენი სამშვიდობო მოწოდებანი მოწინააღმდეგ მხარეების მიმართ და თქვენი ძალისხმევა შეთანხმებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღწევად უჩვენებენ ერთადერთ წარმატების მომტან გზას, რომ არ მოხდეს კონფლიქტების შემდგომი გამწვავება და გაეკალოს გზა მშვიდობიან განვითარებას.

თქვენი ქვეყნისა და კავკასიის რეგიონისათვის ამ გადამწყვეტ პერიოდში გისურვებოთ ყოველგარ წარმატებებს თქვენს პოლიტიკურ მუშაობაში. სიხა-

⁷⁵ გაზ. აგრარული გაზეთი, 1992, №6, გვ. 1

რულით მოველი ჩვენს შეხვედრას პელსინკში უშიშ-როებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე.“⁷⁶

ფაქტობრივად, 1992 წლიდან ახალი ეტაპი დაიწყო საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებში. „საქართველოს წარმომადგენელმა პირველად მიიღო მონაწილეობა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (ნაქსი) შეხვედრაში 1992 წლის 1 აპრილს, ხოლო საქართველოს სრული გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში მოხდა 1992 წლის 5 ივნისს ოსლოში გამართულ ნაქსი-ს წევრ-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე (დელეგაციის ხელმძღვანელი – საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩიკვაძე). ამგვარად, ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დასაწყისად ხწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს.“⁷⁷

1992 წლის აპრილში აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მისწერა წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს: „ვკისრულობთ ვალდებულებას გავუწიოთ მხარდაჭერა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დალისხმევას საქართველოში და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში იმის კვალობაზე, თუ როგორ იმუშავებთ საერთაშორისო საგალუტო ფონდთან იმ რეფორმათა ყოველმხრივი გეგმის ფორმულირებისათვის, რომლებიც იმსახურებენ ნდობას.

... ჩვენს მიერ გადადგმულ სხვა ნაბიჯებთან ერთად, ჩემი მიზანია ის, რომ ამერიკამ დაუჭიროს მხარი თქვენს ქვეყანაში დემოკრატიას და განმტკიცდეს

⁷⁶ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 1

⁷⁷ ზ. აბაშიძე, ნატო და საქართველო, უტოპიიდან რეალობისაკენ, თბილისი, 2000, გვ. 83

შემდგომი საერთაშორისო ძალისხმევა და კოორდინაცია.“⁷⁸

ამავე წლის აპრილში საქართველოში ჩამოვიდა ევროპული დელეგაცია. „ევროპის გაერთიანების კომისიის ტექნიკური დახმარების პროგრამის ხელმძღვანელის იოჰანეს ტერ ჰაარის მეთაურობით ჩამოვიდნენ პრივატიზაციის მიმართულების უფროსი მ. მინგარელი, ფინანსებისა და კადრების მომზადების მიმართულების ხელმძღვანელი ჯერმი ლესტერი, სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების და მათი განაწილების მიმართულების ხელმძღვანელი ვან დოორნი, ენერგიის მიმართულებისა – ჰანს ჰატემანი და ტრანსპორტის მიმართულების მიშელ გონტიერი. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია – საქართველოს-თვის ტექნიკური დახმარების პროგრამის საბოლოო ვარიანტის შემუშავება და მისი ხელმოწერა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის და ევროპის წარმომადგენლების მიერ.

„... ევროგაერთიანების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის ტექნიკური პროგრამის დაფინანსების შესახებ. ამ მიზნით ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იქნა 400 მილიონი ეკუს გამოყოფა.“⁷⁹

1992 წლის 8 ივლისს, საქართველოს დელეგაცია ე. შევარდნაძის მეთაურობით მონაწილეობდა ევროპის უშიშროებისა და ოანამშრომლობის საბოლოო აქტის ხელმოწერაში. შევარდნაძე შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰ. კოლს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჸ. მეიჯორს, საფრანგეთის პრეზიდენტს ფ. მიტე-

⁷⁸ გაზ. აჭარა, 1992, №57, გვ. 1

⁷⁹ გაზ. აჭარა, 1992, №58-59, გვ. 1

რანს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს ს. დემირელს და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს.“⁸⁰

სიტყვით გამოსვლისას ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „საქართველო დიდხანს ელოდა ამ დღეს. ჩვენი აქ ყოფნა ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. უპირველეს ყოვლისა კი ევროპის სულიერ სამყაროში დაბრუნებას. ბედუკუდმართმა ისტორიამ მოსწყვიტა იგი ევროპას, ეს ნიშნავს აგრეთვე საქართველოს შესვლას იმ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახში, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას წარმართავენ ჰელსინკის საბოლოო აქტის და ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტის პრინციპების საფუძველზე. უერთდება რა მათ, საქართველო ადასტურებს, რომ ერთგული იქნება ამ პრინციპებისა და განუხელად დაიცავს ჰელსინკის ყველა ნორმას.“⁸¹

1992 წლის 31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ საქართველო მიიღო ამ ორგანიზაციის 179-ე წევრად. ეს აქტი განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან საქართველოს მაშინ არ ჰყავდა ლეგიტიმური ხელისუფლება. ე. შევარდნაძის შეფასებით, ამ აღიარებით, „ფაქტობრივად, 1992 წლის 31 ივლისს დაიბადა ახალი საქართველო.“⁸²

1992 წელს ბულგარეთი გახდა 24-ე სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. მოსკოვში ბულგარეთის საელჩოს მიწვევით მას ეწვია საქართველოს დელეგაცია, რომელიც აგრეთვე შეხვდა თურქეთის და საბერძნეთის დელეგა-

⁸⁰ გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999, გვ. 340

⁸¹ გაზ. აგრარული გაზეთი, 1992, №8, გვ. 1

⁸² გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999, გვ. 341

ციას. საბერძნეთის ელჩმა განაცხადა: „მისი მთავრობა მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი საქართველოს რესპუბლიკის ინტეგრაციას ევროპის გაერთიანების სხვადასხვა სტრუქტურებში.“⁸³

საბერძნეთმა შესთავაზა საქართველოს დელეგაციას გაგზავნოს თავისი ექსპერტები, რათა მათ ხელი შეუწყონ ეკონომიკური რეფორმის და პრივატიზაციის განხორციელებაში, საბაზო ურთიერთობაზე გადასვლაში.

საქართველოს დელეგაცია მიიწვია თურქეთის საელჩომაც, რომელთანაც რესპუბლიკას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა დარგში. ელჩმა დაადასტურა თურქეთის მთავრობის მიერ საქართველოს დელეგაციის მიწვევა, რათა მან მონაწილეობა მიიღოს შავი ზღვის თანამეგობრობის ქვეყნების სტამბოლის შეხვედრაში... თურქეთის მხარემ განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს მონაწილეობას ნატოს სხვადასხვა დონისძიებები-კონფერენციებში, შეხვედრებში და სხვა.⁸⁴

ამდენად, წარმოდგენილი მასალა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო აქტიურად მიისწრავფოდა დასავლეთისაკენ და ეს მიმართება გამოიხატებოდა მის სრულუფლებიან წევრად გახდომაში. ბუნებრივია, ეს ორიენტაცია ეპოქის გამოწვევებიდან გამომდინარეობდა და პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ცვლილება-განვითარებაზე იყო დამოკიდებული.

1992 წლის 1 ივლისს ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა ქანცლერმა მისწერა საპასუხო წერილი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს: „დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი 1992

⁸³ გამ. ახალგორი, 1992, №7, გვ. 1

⁸⁴ იქვე, გვ. 1

წლის 22 ივნისის წერილისათვის, რომელიც მე გადმომცა თქვენმა საგანგებო რწმუნებულმა და მსურს გამოვიყენო შესაძლებლობა რათა კიდევ ერთხელ დავადასტურო ავსტრიის საქართველოსთან თანამშრომლობის მზადყოფნა. უკანასკნელ წლებში განხორციელდა რამდენიმე ერთობლივი პროექტი, რომლებიც შეიძლება ამოსავალ წერტილად ჩავთვალოთ მომავლის უფრო ფართო თანამშრომლობისათვის. მე ვიმედოვნებ რომ თქვენი დელეგაციის საუბრები ავსტრიის ბანკებთან კარგად ჩატარდა.

როგორც მე ვიცი თქვენ განზრახული გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა პელსინგის შეხვედრაში და ვიმედოვნებ რომ იქ გვექნება საშუალება პირადი საუბრისათვის, რაც კიდევ უფრო გააფართოებს ჩვენს მრავალმხრივ ურთიერთობებს.“⁸⁵

აშშ-ის წარმომადგენელი ლორენს იგლბერგერი შემდეგ აზრს ანვითარებს თავის წერილში: „ჩვენი კუთხიდან ისე ჩანს, რომ საქართველო და მთელი რეგიონი კრიტიკულ გზაჯვარედინზე დგანან, ვიცი, რომ პრობლემები რომელიც თქვენს ქვეყანას აქვს ზოგჯერ გაუსაძლისი ჩანს, მაგრამ მე მჯერა იმისათვის, რომ საქართველო გადაიქცეს სტაბილურ დემოკრატიად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რომ თქვენ განაგრძოდ კურსი, რომელიც დასახეთ, საქართველოს თქვენ ესაჭიროებით, ისევე როგორც ესაჭიროებით იმ ადამიანებს საზღვარგარეთ, რომლებიც ვიზიარებთ თქვენს მიზნებს. ბეიკერი გიგზავნით საუკეთესო სურვილებს და ჩემთან ერთად აღფრთვანებულია თქვენი ურყევობით მნელ დროში.“⁸⁶

როგორც ვხედავთ, დასავლეთისკენ აღებული გეზი გაგრძელდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფ-

⁸⁵ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 4

⁸⁶ გაზ. ახალგორი, 1992, №7, გვ. 32-33

ლებაში მოსვლის შემდეგაც. აღნიშნულის გამოხატულება იყო 1992 წელს გაეროში გაწევრიანება. არაერთი ევროპელი ლიდერის საქართველოში ჩამოსვლა და მხარდაჭერის გამოხატულება მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა. მათ შორის იყვნენ: აშშ სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრის გენერი. საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოს პირველი ელჩი გახდა გიუნტერ დალ-ჰოფი. ჰანს დიტრის გენერმა განაცხადა: „საქართველო მუდამ იყო ორიენტირებული ევროპაზე. ორჯერ საქართვლოს მწარედ გაუცრუვდა იმედი, როცა მხარდაჭერას ელოდა ევროპის ქვეყნებისაგან. მესამედ ასეთი რამ ადარ მოხდება. ამაში მინდა დაგარწმუნოთ მე და აღვნიშნო, რომ ეს პირადად თქვენი დამსახურებაა.“⁸⁷

1992 წელს საქართველოში იმყოფებოდა ევროპარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე ქრისტიან როვსინგი. მან განაცხადა: „ევროპარლამენტი მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს იმაში, რომ დაძლიოს ეკონომიკური სიძნელენი, მოიზიდოს რესპუბლიკაში კერძო ინვესტორები.“⁸⁸ 10 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კლარდ შევარდნაძემ მიიღო ბელგიის სამეფოს პარლამენტართა დელეგაცია ვალონიის პარლამენტის წევრის ადლენ მატიეს ხელმძღვანელობით. ბელგიის სამეფოს ვალონიის მხარის პარლამენტარები საქართველოში ჩვენს რესპუბლიკასთან დადებული სამეცნიერო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გასაფართოებლად 1990 წელს დადებული ხელშეკრულების გასაახლებლად ჩამოვიდნენ, რადგან საქართვე-

⁸⁷ გან. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, №60, გვ. 1

⁸⁸ გან. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, №65, გვ. 1

ლოში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროგრამების შესრულებას.⁸⁹

საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო საფრანგეთმაც, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „ის ფაქტი, რომ ახლა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სათავეში უდგას შევარდნაძე, მისი ქვეყნის დემოკრატიულ განზრახვათა გარანტია.“⁹⁰ 1992 წელს საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ქვეყანაში აშშ-ის საეჭჩოს გახსნა. ამ ფაქტს შემდეგნაირად ეხმაურება გაზეთი „თიანეთი“: „24 აპრილს სასტუმრო „მეტეხის“ ფლაგშტოკზე აფრიალდა ამერიკის დროშა, რომელმაც გვაუწყა, რომ თბილისში გაიხსნა აშშ საეჭჩო. ამიერიდან საქართველო და აშშ გამართავენ უშუალო დიალოგს, თვითონ გადაწყვეტინ თავიანთ სახელმწიფო ურთიერთობის საქმეებს, დასახავენ თანამშრომლობის სფეროებს, გაცვლიან სხვადასხვა დონის დელეგაციებს, დადებენ ხელშეკრულებებს, გადაწყვეტინ ამ სახელმწიფოებისათვის საინტერესო პრობლემებს.“⁹¹ აღნიშნულს წინ უძღვდა წერილი პრეზიდენტ ბუშის პოზიციის შესახებ, სადაც ნათქვამია: „აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გადაწყვიტა გადადგას სწრაფი ნაბიჯები საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად, რომლის დამოუკიდებლობა შეერთებულმა შტატებმა შარშან 25 დეკემბერს სცნო... ემყარება რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ მოქმედებას და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძესა და აშშ სა-

⁸⁹ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, №232, გვ. 1

⁹⁰ გაზ. განახლებული მესხეთი, 1992, №16, გვ. 1

⁹¹ გაზ. თიანეთი, 1992, №31-32, გვ. 1

ხელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს შორის პოლიტიკის, ეკონომიკის და უშიშროების საკითხებზე მოლაპარაკების შედეგებს, რომლებიც უმნიშვნელოვანესია აშშ-თვის, აშშ-ს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით დაინტერესებულია აშშ.⁹²

აღნიშნული ფაქტის შემდეგ საქართველო-აშშ ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა, რაც პირველ რიგში გამოიხატა ეკონომიკური კავშირების გაძლიერების თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კერძოდ, 1993 წლის 1 მარტს აშშ-ის ელჩმა საქართველოში, კენტ ბრაუნმა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. „ხელშეკრულების ძირითად მიზანს წარმოადგენს აშშ-ის მოქალაქეებს, კომპანიებსა და ქართულ მხარეს შორის უშუალო კომერციული კავშირების გაღრმავება ხელისმომწერ ქვეყანათა ტერიტორიებზე, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ აშშ ამგვარი ხელშეკრულების დადგებას დიდი სიფრთხილით ეკიდება, ხელს არ აწერს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც, მისი აზრით არადემოკრატიული ორიენტაციისაა.“⁹³

დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ როდრიკ ბრეიითვეითმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს. ელჩმა ედუარდ შევარდნაძეს გადასცა პრემი-

⁹² გაზ. განახლებული მესენი, 1992, №9, გვ. 1

⁹³ გაზ. მიმომხილველი, 1993, №11, გვ. 3

ერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის წერილი, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: „განსაკუთრებით მახარებს შესაძლებლობა, რომ მომავალში შემიძლია განვაგრძო ერთობლივი მუშაობა და განვავითაროთ საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა.“⁹⁴

1992 წლის 6 აგვისტოს საქართველოში ჩამოვიდა უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვიტოლდ ფოკინი. მან განაცხადა: „ჩვენ აქ სამუშაოდ ჩამოვედით, ჩვენი ამოაცანა ის არის, რომ მოვაგვაროთ ყოფილ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარღვეული კავშირურთიერთობა, სტაბილური გკონომიკური თანამშრომლობა ჩვენ ქვეყნებს შორის.“⁹⁵ 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში დიორდ ნანოვსკი. სტუმარს აინტერესებდა საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.⁹⁶

ევროპარლამენტთან საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურების თანამშრომლობის შემდგომ ინტენსიფიკაციას საფუძველი დაუდო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობის დამყარებამ. 1992 წლის 22 მარტს ევროკავშირმა სცნო საქართველო და ევროკავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. ბრიუსელში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ ზურაბ აბაშიძის ხელმძღვანელობით, ხოლო თბილისში გაიხსნა ევროკავშირის დელეგაციის მისია დენის კორბოის მეთაურობით.⁹⁷

⁹⁴ გაზ. თიანეთი, 1992, №31-32, გვ. 1

⁹⁵ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, №149, გვ. 1

⁹⁶ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, №152, გვ. 1

⁹⁷ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №35-36, გვ. 18

1992 წლის 17 აგვისტოს შეეიცარიის ფედერაციის პრეზიდენტმა რენე ფელბერმა საქართველოს პრეზიდენტს მისწერა წერილი, სადაც გამოთქვამს სურვილს შემდგომი თანამშრომლობის შესახებ: „ის ფაქტი, რომ თქვენი ქვეყანა უკვე შეუერთდა ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტის ჰოლანდიის ჯგუფს, არ წარმოადგენს არავითარ სირთულეს ჩვენს ქვეყნებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის საქმეში. ნება მომეცით ამ კონტექსტში შეგახსენოთ, რომ შეეიცარული დელეგაცია კალავ ეწვევა თბილის აგვისტოს მეორე ნახევარში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.“⁹⁸

საბერძნეთის წარმომადგენელი თომას კონტოგიანისი ედუარდ შევარდნაძეს წერდა: „... დიდ იმედს გამოვთქვამ, რომ მარად ჩამოვლით პირადად თქვენსა და მთელი ქართველი ხალხის დიდ მეგობრად, რომელთანაც ჩვენ დიდი რასობრივი, სარწმუნოებრივი და ხასიათობრივი მსგავსება გვაკავშირებს. ქართველი და ბერძენი ხალხი ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ. 864-ე წლიდან მოყოლებული, მდიდარი ისტორიული კავშირები აქვთ ერთმანეთთან და ერთურთსაც მარად უწევდნენ დახმარებას საჭიროების უამს.

მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი ქვეყნისათვის არსებული ეს მძიმე დრო სულ მალე იქნება დაძლეული და თქვენი ხელმძღვანელობით, ვისაც ესოდენ დიდ პატივს მოგაბეთ მთელი მსოფლიო, მშვიდობა და დემოკრატია მარადიულ ადგილს დაიმკვიდრებს თქვენს მარადტანჯულ მიწაზე. ჯერჯერობით კი, სანამ პირადად ვერ გეხმარებით შექმნილ სიტუაციაში, ნება მიბოძეთ ჩემგან მიიღოთ 100 000 დოლარის ჩეკი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი საჭიროების უამს.

⁹⁸ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 34

როებისამებრ საქართველოს საკეთილდღეოდ ამ მძიმე დროში.“⁹⁹

1992 წლის 9-10 ივნისს მიმდინარეობდა პელსინკის შეხვედრა, სადაც მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე. მან შეხვედრის დაწყებამდე წერილი მიიღო აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისგან, სადაც იგი ურთიერთობაშრომლობის შესახებ საუბრობდა. „პელსინკის შეხვედრის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოსთვის ის არის, რომ აქ ახდა ჩვენი ხალხის მრავალი თაობის ოცნება მისი ისტორიის საბედისწერო პერიოდში ევროპასთან შეწყვეტილი კავშირურთიერთობის აღდგენის შესახებ. საქართველო გახდა ევროპის პროცესის სრულუფლებიანი მონაწილე, ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შემუშავებასა და მიღებაში, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ევროპისა და მსოფლიოს ხალხთა ბედისათვის.“¹⁰⁰

1993 წელს აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ედუარდ შევარდნაძეს წერილი გამოუტავნა, რასაც შემდეგნაირად აფასებს გაზეთი „ეთერშია საქართველო“: „რადიო „ამერიკის ხმა“ იმოწმებს ამერიკულ პრესას და ამბობს, რომ საქართველოსათვის კრიტიკულ პერიოდში აშშ ყოველგვარი ეჭვები გაფანტა იმის თაობაზე, თუ ვის ემსრობა ვაშინგტონის ადმინისტრაცია“. ამერიკა მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელად ყოფნისას აშკარად პროდასავლურ ორიენტაციას გამოხატავდა.“¹⁰¹

საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო 1993 წლის 7-11 ოქტომბერს დანიის დედაქალაქ

⁹⁹ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 35

¹⁰⁰ გაზ. ქუთაისი, 1992, №66, გვ. 1

¹⁰¹ გაზ. ეთერშია საქართველო, 1993, №34, გვ. 1

კოპენაგენში გამართულ ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის წლიურ სესიაზე საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თამაზ გამყრელიძისა და კომისიის წევრის ზურაბ ანდრიაძის შემადგენლობით.¹⁰²

1993 წლის 20 აპრილს საქართველოში ჩამოვიდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის მოადგილის ანჯეი ანანიჩის მეთაურობით. მან ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და მისი ტერიტორიის ერთიანობას.¹⁰³

1994 წლის იანვარში საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს პარლამენტის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ირაკლი შენგელია. იგი აღნიშნავს: რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტს საფრანგეთში: საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს დღეს რუსეთთან ურთიერთობაში სჭირდება გარკვეული ბალანსის ფუნქციის ქონე მესამე ძალა – და ეს ძალა, დღეს იქნება თუ ხვალ, იქნება ევროპული გაერთიანება. რამდენადაც საფრანგეთი ამ გაერთიანების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია, მასთან ურთიერთობა განაპირობებს ხსენებული ბალანსის სიძლიერეს.

როცა ბალანსს გახსენებ, უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეში: ევროპის არც ერთი ქვეყანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მონაწილეობას არ მიი-

¹⁰² გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1993, №225, გვ. 1

¹⁰³ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1993, №81, გვ. 1

დებს სამხედრო თვალსაზრისით. მას დახმარება შეუძლია გაგვიწიოს, ვთქვათ, ეკონომიკური პროგრამების შესრულებაში, აგრეთვე, გარკვეული პოლიტიკური ხასიათის განცხადებებით. დახმარება შეიძლება სხვა სახისაც იყოს: სამხედრო მოსამსახურეთა წერთხა ნატოს ჯარების შემადგენლობაში, ოფიცრების მომზადება, ინტერპოლის მუშაკებისათვის გამოცდილების გაზიარება და ა. ვ.¹⁰⁴ 1994 წლის 18 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით ეწვია აშშ-ს. თეთრ სახლში პრეზიდენტ კლინტონან შეხვედრისას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და აშშ-ს პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ვაშინგტონის დეკლარაციასა და ხელშეკრულებას ინვესტიციების ორმხრივი წახალისების დაცვის შესახებ. აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აღნიშნა: „მე დავადასტურე, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას... აგრეთვე ამერიკა მხარს დაუჭერს საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ აღორძინებას, რაც კიდევაც აისახება ერთობლივ დეკლარაციასა და ორმხრივ ხელშეკრულებაში ინვესტიციების შესახებ, რომლებსაც დღეს მოვაწერ ხელი. ამის დასტურია აგერთვე 70 მილიონი დოლარი, რომელიც ამერიკამ გამოუყო საქართველოს.

... მთელი ისტორიის მანძილზე სქართველოში ხშირად ყოფილა ძნელი მომენტები და მე იმედი მაქვს, რომ ქართველი ხალხი ყველაფერს იღონებს უფრო სტაბილური მომავლის ასაშენებლად. საქართველო ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ მას ხელმძღვანელობს ისეთი გამოჩენილი პოლიტიკოსი, რო-

¹⁰⁴ გაზ. წყალტუბოს ქრისტიან-დემოკრატი, 1994, №2, გვ. 1

გორიც ედუარდ შევარდნაძეა. მთელი მსოფლიო უნდა ემადლიერებოდეს შევარდნაძეს იმისათვის, რომ შეწყდა „ცივი ომი“, მის წინაშე გალშია ყველა ქვეყანა.“¹⁰⁵

1994 წელს საქართველოში მყოფმა პანს დიტრიხ გენერალი განაცხადა: „ევროპა უსაქართველოდ არას-რულყოფილი იქნება. ვიცი, რომ საქართველოს თავისი მძიმე ისტორიის მანძილზე ევროპამ იმედი გაუცრუა. ამიტომ, სწორედ ახლად საჭირო, რომ ურთიერთობა ევროპის გაერთიანებასა და საქართველოს შორის მჭიდრო გავხადოთ.“¹⁰⁶

1994 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარებელი, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, რომელიც ეწვია საქართველოს, რათა კიდევ ერთხელ გამოეხატა სახელმწიფოს მეთაურისათვის მხარდაჭერა და პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინა საქართველოში მიმდინარე რეფორმებისათვის. მან აღნიშნა: „უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვარ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, ჩვენ მჭიდროდ ვმუშაობდით ძნელ დროს. იგი მამაცი, პრინციპული პიროვნებაა. დიდი იყო მისი წელილი მსოფლიოს გარდაქმნაში, რამაც შესაძლებელი გახდა ის, რომ მსოფლიოში შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები და რომ არა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მცდელობა პროცესები სხვაგვარად წარიმართებოდა.“¹⁰⁷

1994 წელს საქართველოს პარლამენტის დელგადაცია პირველად მიიწვიეს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წლიურ სესიაზე. 1996 წელს 21-23 აპ-

¹⁰⁵ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, №36, გვ. 1

¹⁰⁶ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, №42, გვ. 1

¹⁰⁷ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, №177, გვ. 1

რილს ლუქსემბურგსა და ბრიუსელში იმყოფებოდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. „ვიზიტის დროს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და ურთიერთობაში შესახებ.“¹⁰⁸

1994 წლის 4 მარტს თბილისში აშშ-ს საელჩოში გაიმართა საქართველოში აშშ-ს ელჩის კენტ ბრაუნის პრესკონფერენცია, რომელიც ამერიკაში ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის თემას მიეძღვნა. კენტ ბრაუნმა დაასახელა ორი მიზანი, რომელიც აშშ-ს ადმინისტრაციას გააჩნია ამ ვიზიტთან დაკავშირებით. 1. შევარდნაძისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დადასტურება. ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის და რეფორმების განვითარებით დაინტერესება 2. აშშ-ს პრეზიდენტსა და ქვეყნის წამყვან პოლიტიკოსებს სურთ მოისმინონ ედუარდ შევარდნაძის აზრი, როგორც საქართველოსა და კასპიის რეგიონში მოვლენებზე, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.

ელჩმა განაცხადა, რომ აშშ-ს საქართველოში აქვს შავიზღვისპირეთისა და საერთოდ კავკასიის რეგიონში მრავალწახნაგოვანი ინტერესები, რომელთაგანაც მთავარია დემოკრატიის განვითარება და სტაბილურობა საქართველოსა და კავკასიაში.“¹⁰⁹

10 მარტს ოტავაში გაიმართა მოლაპარაკებანი ედუარდ შევარდნაძესა და კანადის პრემიერ-მინისტრ კრეტიენს შორის, რის შემდეგაც ხელმოწერილი იქნა კანადურ-ქართული თანამშრომლობის დეკლარაცია მეგობრობასა და თანამშრომლობის შესახებ. კრეტიენმა განაცხადა: „ჩვენ კარგად გვესმის, რომ

¹⁰⁸ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №8, გვ. 38

¹⁰⁹ გაზ. რეზონანსი, 1994, №19, გვ. 1

მდგომარეობა საქართველოში ერთობ რთულია და გაგვაჩნია სურვილი დაგეხმაროთ მას. კერძოდ, კანადური ხორბლის იქ ჩატანით და ტექნიკური დახმარების გაწევით“. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობაზე.“¹¹⁰

1991 წლიდან დაწყებული ევროკავშირის მიერ საქართველოს დახმარებას ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ პროგრამა, რომელიც 1994 წლის 25 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება უპრეცედენტოა თავისი მასშტაბით. პროგრამის არსი: ევროკავშირმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის საჩუქრის სახით გამოყო 204 მლნ ეკუთხა დირებულების 75000 ტონა პროდუქცია. აქედან საქართველოს წილი შეადგენს 25000 ტონას.“¹¹¹

1995 წელს აშშ-ში მყოფ საქართველოს ელჩთან თედო ჯაფარიძესთან საუბარში პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა: „უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აშშ-მა 430 მილიონი დოლარის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება გაუწია საქართველოს. კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის. მე ვაფასებ ქართველ ხალხსა და პირადად ედუარდ შევარდნაძეს, რომ ასეთი წარმატებით ართმევს თავს პრობლემებს, მიუხედავად მნელი დროისა.“¹¹²

1996 წლის 2 ივნისს საქართველოს ესტუმრა დიდი ბრიტანეთის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ტიმოთი ეგარი. მან განაცხადა: „ჩვენი ვიზიტი ადასტურებს იმას, რომ ბრიტანეთი დიდ მნიშ-

¹¹⁰ გაზ. რეზონანსი, 1994, №22, გვ. 1

¹¹¹ გაზ. რეზონანსი, 1994, №35, გვ. 2

¹¹² გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994, №13, გვ. 1

ვნელობას ანიჭებს საქართველოსთან, ოფორტუნობის გამოიკურ თანამშრომლობას, ასევე ევროპა-აზიის სატრანსპორტო ხიდის ქმედითუნარიანობის გაძლიერებას.“¹¹³

1995 წლისთვის საქართველოს ორმხრივი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 90 სახელმწიფოსთან. 22 ქვეყანასთან შექმნილი იყო სამართლებრივი ბაზა, ორმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა სხვა-დასხვა დარგში განვითარებისათვის.¹¹⁴

1996 წლის 27 ივნისს საქართველოს ოფიცილა-ური ვიზიტით ეწვია ევროპარლამენტის ამიერკავკა-სიის ქვეყნებთან ურთიერთობის დელეგაცია ანტონიოს ტრაკატელოსის ხელმძღვანელობით... დელეგაცია შეხვდა პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელს გიორგი კობახიძეს. აგრეთვე საქართველოს კათალიკოს-პატ-რიარქს ილია II-ს. დელეგაციის მიზანი საქართვე-ლოში რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისა-დმი დამოკიდებულების გარკვევა წარმოადგენდა. აგ-რეთვე უმთავრესი ამოცანაა ეკონომიკური და სამარ-თლებრივი რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბა-ზის შექმნა და ადგილობრივი მმართველობის სტრ-უქტურების ჩამოყალიბება.¹¹⁵ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერვე დე შარეტი ედუარდ შევარ-დნაძისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: „ისევე როგორც თქვენ, მეც დარწმუნებული ვარ, რომ სა-ქართველოს და საფრანგეთს აქვთ ინტერესი მჭიდ-როდ ითანამშრომლონ სხვადასხვა სფეროში. თქვენ იცით, ბატონო პრეზიდენტო, რომ საფრანგეთს სურს

¹¹³ გაზ. რეზონანსი, 1996, №76, გვ. 1

¹¹⁴ გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999, გვ. 478

¹¹⁵ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №17, გვ. 7

განამტკიცოს თანამშრომლობა თქვენს ქვეყანასთან და წარმოდგენილი იყოს კაგაბასიის რეგიონში, რომელსაც მდიდარი მომავალი აქვს.

მე ბედნიერი ვიყავი გამეცნო ის საქართველო, რომელიც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი გამოცდილებით მიგყავთ განვითარებისა და აუგავებისაკენ. მე თქვენ დიდ წარმატებას გისურვებთ ამ გზაზე, რომელზედაც საფრანგეთი მზადაა თან გახლდეთ.“¹¹⁶

ამერიკის წარმომადგენელი ჩარლზ კერტისი აღმიშნავდა: „აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტი დაინტერესებულია საქართველოსთან მუშაობით, როგორც ადგილობრივი რესურსების პოტენციალის შეფასების, ასევე პოტენციური დასავლეთის ინვესტორების მოზიდვის საკითხში. ენერგეტიკის დეპარტამენტი სთავაზობს საქართველოს დახმარებას, „დასავლეთის მარშრუტის“ ნავთობისა და გაზის სავარაუდო პრეზენტაციაში მონაწილე პირთა მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც ჩატარდება აშშ-ში, ან ჰიუსტონში და ან სხვა საოთანადო ადგილას. ამ კონფერენციის ძირითადი მიზანია გამოიწვიოს აშშ-ის მრეწველობის მონაწილეობის გაზრდა საქართველოს ნავთობისა და გაზის შესაძლებლობის საკითხში. კონფერენციის პროგრამა და მასალები აღწერს ნავთობისა და გაზის საერთო შესაძლებლობებს საქართველოში, მიმოიხილავს ბიზნესისა და იურიდიულ საკითხებს და ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოაჩენს პროექტის საეციფიკურ მონაცემებს გეოგრაფიული რეგიონის გათვალისწინებით.“¹¹⁷

1996 წლის 7-8 ოქტომბერის საქართველოს ესტუმრა ევროკავშირის დელეგაცია: ფოკიონ ფოკიადი-

¹¹⁶ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №79, ფურც. 28

¹¹⁷ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №79, ფურც. 58-59

სი – ევროკომისიის პირველი გენერალური დირექტორიატის ამიერკავკასიისა და შუა აზიის სამმართველოს უფროსი. დევიდ რინგროუზი – ევროკომისიის პირველი გენერალური დირექტორიატის ამიერკავკასიისა და შუა აზიის სამმართველოს საქართველოს განყოფილების უფროსი. შესვედრაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხი, მათ შორის „აბრეშუმის გზის პროექტი“ და აგრეთვე სტუმრებმა გამოთქვეს აზრი, რათა „ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერონ დეკლარაციას, რომელშიდაც იქნება გამოხატული მათი ერთობლივი პოზიცია საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. ეს დეკლარაცია თან დაერთვება შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.“¹¹⁸ 1996 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის დელგადაცია – უნგრეთის რესპუბლიკის ელჩის, დიორდნანოვსკის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ეპისკოპოსი, პანანხალმის სააბატოს არქიაბატი ასტრიკ ვარსეგი, უნგრეთის რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის წევრი იოჟეფ ოლჩარი და უნგრეთის რესპუბლიკის საელჩოს ატაშე ციბორ მოდიარი. მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყნას შორის სამომავლო თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.“¹¹⁹

1996 წელს საქართველოში მყოფმა გერმანიის ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა კლაუს კინკელმა ედუარდ შევარდნაძეს მიმართა: „თქვენ დიდი წვლილი მიგიძლვით იმაში, რომ ევროპის ხალხები ისევ ერთად არიან – ქარ-

¹¹⁸ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №126, ფურც. 91

¹¹⁹ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №17, გვ. 10-11

თველი ერი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს... ჩვენ ვიცით, რომ წარმატება მხოლოდ საქართველოზე არ არის დამოკიდებული, ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო და თქვენს მოქალაქეებს – ჩვენ გერმანელები თქვენს გვერდით ვართ! თქვენ შეგიძლიათ ჩვენს მეგობრობას დაეყრდნოთ. გერმანია, როგორც საქართველოს მეგობრების ჯგუფის წევრი გაეროში, როგორც უშიშროების საბჭოს წევრი, ასევე პოლიტიკურ პარტიონებთან ორმხრივი შეხვედრების დროს ყველაფერს აკეთებს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში, გერმანია მომავალშიც დაეხმარება საქართველოს ევროკავშირის და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის საშუალებით.¹²⁰ ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო-გერმანიის ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძის მოსვლის შემდეგ ინტენსიურად ვითარდებოდა. ეს პირველ რიგში გამომდინარეობდა ედუარდ შევარდნაძის წვლილიდან, რაც გერმანიის გაერთიანების პროცესში შეიტანა. აღნიშნულის გამოხატულება იყო გერმანიის არაერთი ხელისუფალის ვიზიტი საქართველოში. 1996 წვლს ივნისში საქართველოში სტუმრად მყოფმა რომან ჰერცოგმა განაცხადა: „გერმანია დაინტერესებულია საქართველოში დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს აშენებით, ისევე როგორც კავკასიაში სტაბილურობის განმტკიცებით, რეგიონში თანამშრომლობის განვითარებით მშვიდობისა და ურთიერთნდობის საფუძველზე. ამიტომ იგი მხარს დაუჭერს კავკასიის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის გამიზნულ პროექტის განხორციელ

¹²⁰ გაზ. სახალხო გაზეთი, 1996, №9, გვ. 2

ლებას. აღნიშნულის გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ გერმანიამ საქართველოს 50 მილიონი მარკის ოდგნობას კრედიტი გამოუყო.“¹²¹ აგრეთვე მან აღნიშნა: „გერმანელები შევარდნაძეს გერმანიის გაერთიანების სიმბოლოდ თვლიან და მის წინაშე თავს ვალდებულად გრძნობენ. კლაუს კინკელის აღნიშვნით, მისი ვიზიტები სომხეთსა და აზერბაიჯანში, ხოლო მოგვიანებით საქართველოში, იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფო გერმანიის დიდ ინტერესს წარმოადგენს. მისი თქმით, გერმანია ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მთელ თავის ძალის-სმევას ამ მიმართულებით წარმართავს.

... მისი თქმით, საქართველოს ყოველთვის ევროპული ორიენტაცია ჰქონდა და გერმანია დაეხმარება მას ამ კურსის კვლავაც შენარჩუნებაში.

... კავკასიას, როგორც გეოპოლიტიკურ ხიდს ევროპასა და აზიას შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ევროპისა და მოსაზღვრე ისლამური სამყაროს სტაბილურობისათვის.“¹²²

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკავშირსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. ეს ფაქტი შემდეგნაირად შეაფასა ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარებმ, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუსანა ანიელიმ, რომელმაც ამ მოვლენას ისტორიული უწოდა: „ამ შეთანხმებით საფუძველი ეყრდნა ახალ ერას ევროკავშირისა და ამიერკავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. შეთანხმების ხელმოწერა იქნება ამ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სიმ-

¹²¹ გაზ. სახალხო გაზეთი, 1996, №65, გვ. 1

¹²² გაზ. რეზონანსი, 1996, №9, გვ. 1

ბოლო და ამასთან იმის დასტურიც, რომ თანამ-შრომლობის სულისკვეთებამ დაძლია ვიწრო ეროვ-ნული საზღვრები.“¹²³

საქართველოში გერმანიის ვიცე-კანცლერის კლა-უს კინკელის ვიზიტის გაგრძელებას წარმოადგენდა ბუნდესტაგის კავკასიის ჯგუფის დელეგაციის ჩამოს-ვლა საპარლამენტო თავმჯდომარის, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრის ვილი ვიმერის ხე-ლმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყ-ვნენ: სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენ-ტო ჯგუფის თავმჯდომარე დოქტორი დიტრიხ შპერ-ლინგი, რომელიც 20 წელია კავკასიის საკითხებზე მუშაობს; ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევ-რი დოქტორი ჰაინრიხ ლუმერი – გერმანიის ყოფი-ლი შინაგან საქმეთა მინისტრი; ქრისტიანულ-სოცია-ლისტური პარტიის წარმომადგენელი დოქტორი ვოლფ ბაუერი – ცენტრალურ აზიაში გერმანული ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე და ბუნდესტა-გის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ინგო ბიაკე-რი.¹²⁴ იგი აგრეთვე შეხვდა საქართველოს კათალი-კოს-პატრიარქს ილია II-ს და აღნიშნა, რომ მას რო-გორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს აინტერესებს საქართველოს ეკლესიის აზრი ევროპული ინტეგრაციის პროცესში საქარ-თველოს მონაწილეობის შესახებ. ილია II აღნიშნა: „მას შემდეგ, რაც საქართველომ თავი დაადწია ტო-ტალიტარულ რეჟიმს, ის სულ უფრო და უფრო უახ-ლოვდება ევროპას და ევროსტრუქტურების წევრი ხდება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მიესალმება ყოველივე ამას. იმედს გამოვთქვამთ, რომ თავად ევროპა, ევროპული საერთაშორისო ორ-

¹²³ გაზ. სახალხო გაზეთი, 1996, №44, გვ. 1

¹²⁴ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №1-2, გვ. 43

განიზაციები ხელს შეუწყობენ ამ პროცესის დაჩქარებას.“¹²⁵

1997 წლის 14 მაისს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რომში ჩავიდა და ქვეყნის მეთაურს შეხვდა. „საუბრის დროს ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მათს რეგიონებში სტაბილურობის დამყარებას, როგორც უმნიშვნელოვანეს პირობას. აღნიშნა, რომ თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ხელს შეუწყობდა საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოს გახსნა.“¹²⁶ იტალიამ მზადყოფნა გამოთქვა კურირება გაუწიოს საქართველოს ინტეგრაციას ეპროპულ სტრუქტურებში, განსაკუთრებით ევროსაბჭოსა და ნატოში. იტალიამ აგრეთვე მზადყოფნა გამოთქვა საკუთარი ინვესტიციების საქართველოში დაზღვევაზე. ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს ეკონომიკის, ინვესტიციების დაცვის, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის სფეროში.

აშშ-ის სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავჯდომარე მიჩ მაკკონელი, რომელიც 13 აგვისტოს მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, მიიჩნევდა, რომ საქართველომ უმოკლეს დროში შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოსადმი ამერიკის მთავრობის დამოკიდებულება და, რაც მთავარია, საფუძვლად დაუდო საქართველოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანხების მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებას. სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტი კვლავ განაგრძობდა

¹²⁵ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №17-18, გვ. 5

¹²⁶ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №110, გვ. 1

საქართველოსთვის ისეთ დახმარებას, რომელშიც
მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საქარ-
თველოს მოთხოვნები და პრობლემები.¹²⁷

1997 წლის 12 თებერვალს საქართველოში მყო-
ფი ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა
სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის წი-
ნაშე, საუბრისას მან ხაზი გაუსვა საქართველოს
განვითარების დინამიკას და დადებითად შეაფასა.
„საქართველო გეოგრაფიულად შეიძლება დაშორებუ-
ლია ბრიუსელთან, მაგრამ მისი საზრუნავი და ინტე-
რესები ჩვენთვის ახლოს დგას. კავკასია მნიშვნელო-
ვანი რეგიონია ევროპისათვის. აქვს უზარმაზარი სო-
ციალური და ეკონომიკური პოტენციალი, რომლის
რეალიზებაც შეიძლება.“¹²⁸

აგრეთვე მან ისაუბრა პრეზიდენტ შევარდნაძის
დამსახურებაზე: „პრეზიდენტი შევარდნაძე, როგორც
პარლამენტის თავმჯდომარე, მეთაურობდა ამ ქვეყა-
ნას მისი ჩამოყალიბების გადამწყვეტ წლებში. თქვენ
ნამდვილად გაგიმართლათ, გყოლოდათ ამ დროს
მმართველობის საჭესთან ესოდენ უდიდესი ფიგურა.
ის სარგებლობს საერთაშორისო პატივისცემითა და
სიყვარულით. როგორც მსოფლიოში აღიარებულმა
ლიდერმა, შევარდნაძემ უზრუნველყო საქართველოს
ღირსეული ადგილი საერთაშორისო საზოგადოების
შეგნებაში, მიუხედავად საქართველოს გეოგრაფიუ-
ლი დაშორებისა.“¹²⁹ მან აგრეთვე აღნიშნა: „კავკასი-
აში საყოველოთაო მშვიდობისა და სტაბილურობის
დამყარება არა მარტო რეგიონის ხალხების კეთილ-
დღეობის ამოცანას ემსახურება, არამედ უფრო ფარ-
თო მასშტაბის გლობალურ მიზნებსაც პასუხობს.

¹²⁷ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №196, გვ. 1

¹²⁸ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №7-8, გვ. 17

¹²⁹ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №7-8, გვ. 17

ამიერკავკასიის რეგიონი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული ფუნქციის გამო – უმოკლესი გზით დააკავშიროს ევროპა – ცენტრალური აზიის ვრცელი რეგიონი.“¹³⁰

1997 წელს საქართველოში სამუშაო გზიტით იმყოფებოდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ევროპის გაუწევრიანებელ ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავჯდომარის უან სეტლინუერის ხელმძღვანელობით. „საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესისა და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, საქართველოს აქტიურ მონაწილეობაზე ისეთ მსხვილ საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება და ცენტრალური აზია-კავკასია-დასავლეთ ევროპის სატრანსპორტო დერეფანი.“¹³¹ 1997 წელს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის მოადგილე გიორგი კობახიძე შეხვდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის წარმომადგენელს პეტერ ბორჩაკს. იგი ესაუბრა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და გადასცა პროექტი „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფო ფორმირების სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ შესახებ.¹³²

1997 წლის 10 აპრილს საქართველოში იმყოფებოდა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თეოდორ პანგალოსი, რომელიც მიიღო საქართველოს

¹³⁰ გაზ. სახალხო გაზეთი, 1997, №93, გვ. 5

¹³¹ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №11-12, გვ. 30

¹³² ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №13-14, გვ. 37

პარლამენტის თავმჯდომარებ ზურაბ უგანიამ. „ზურაბ უგანიამ სტუმარს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ქვეყანაში დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ. ისაუბრა ევროპული ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობასა და კერძოდ, ევროპარლამენტთან და ევროსაბჭოსთან ურთიერთობათა განვითარების საკითხებზე.“¹³³

1997 წლის 22-25 ივნისს პოლონეთის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარის მოადგილის, სტეფან იორჩევის მიწვევით საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პოლონეთში იმყოფებოდა. „შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყნის სტატუსისათვის განაცხადის მომზადება იყო.“¹³⁴

1997 წლის 8 სექტემბერს აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თ. ჯაფარიძე შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწეს, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისა და ევრაზიული სახელმწიფოების განყოფილების მთავარ დირექტორს კარლოს პასკუალს და ამავე განყოფილების კავკასიისა და ცენტრალური აზიის საქმეების დირექტორს ჯინ ელკაინდს. პ. პასკუალმა განაცხადა: „ამჟამად საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი რეგიონისთვის კრიტიკული მომენტი დგას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობაში იყოს შიგა კონსოლიდაცია, ვინაიდან მხოლოდ ამ პირობებში იქნება შესაძლებელი რესევორდან ზეწოლისათვის წინაღმდეგობის გაწევა. მან დაამატა, რომ აშშ-ს ადმინისტრაციაში სურთ მეტი

¹³³ იქვე, გვ. 38

¹³⁴ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №35-36, გვ. 4

იცოდნენ თუ რა ხდება საქართველოს მთავრობაში.“¹³⁵

1997 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ეწვია რუმინეთის სენატის თავმჯდომარე, პეტრე რომანი, რომელმაც განაცხადა: „ჩვენ ძალიან სერიოზულად ვფიქრობთ და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოსთან ურთიერთობებს, ჩვენ შორის არსებობს ხიდი – შავი ზღვა, რომელიც გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობებს ამ ურთიერთობის განვითარებისათვის. საქართველოს ნათელი მაგალითი აქვს, იგი წარმოადგენს უმოკლეს გზაჯვარედინს აზიასა და ევროპას შორის. ამ კონტექსტში თანამშრომლობის შესანიშნავი შესაძლებლობა არსებობს შავი ზღვის საპარლამენტო ასამბლეისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სახით.“¹³⁶

1997 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უვანიამ მიიღო მოლდოვას პრეზიდენტი პეტრე ლუხინსკი და ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარე თომას სავი მეუღლითურთ. თომას სავმა განაცხადა: „ესტონეთი მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროსაბჭოში და ამ თვალსაზრისით დახმარებას შეპირდა ქართველ კოლეგებს“.¹³⁷

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით ეწვია იტალიას. სადაც მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური დოკუმენტი გაფორმდა. იტალიამ მზადყოფნა გამოთქვა კურიორება გაუწიოს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში, განსაკუთრებით ეგროსაბჭოსა და ნატოში. ცნობილი გახდა, რომ იტალია

¹³⁵ სცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №571, ფურც. 131

¹³⁶ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №41, გვ. 29

¹³⁷ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1997, №46, გვ. 31

ცენტრალური ევროპის საპარლამენტოაშორისო ასამბლეაზე ხელს შეუწყობს საქართველოს მოწვევას დამკვირვებლის სტატუსით. გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები შავი და კასპიის ზღვის ერთობლივი ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნისაკენ. იტალია მზად არის დაიზღვიოს თავისი ინვესტიციები საქართველოში... ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს ეკონომიკის, ინვესტიციების დაცვის, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის სფეროში. იტალიასთან უმაღლეს დონეზე ხელი მოეწერა სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას... სულ ხელი მოეწერა 2 პოლიტიკურ და ეკონომიკურ დეკლარაციას, 20 შეთანხმებას და ოქმს სხვადასხვა სამინისტროებს და უწყებებს შორის. პრეზიდენტი შეხვდა იტალიელ ბანკირებს, მრეწველებს, ფირმების ხელმძღვანელებს.¹³⁸

1997 წელს ედუარდ შევარდნაძე პარიზში შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს უაკ შირაკს. საუბარი ეხებოდა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ განვითარებას. რასაც შედეგად მოყვებოდა სხვადასხვა კომპანიების საქართველოში მუშაობა და ინვესტიციების გაცემა. საფრანგეთის პრეზიდენტმა თანხმობა განაცხადა სადაზღვევო კომპანია „გოფასსმა“ დაეზღვია ივესტიციები საქართველოში.“¹³⁹

13 თებერვალს ედუარდ შევარდნაძე უკრაინაში გაემზავრა და პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას შეხვდა. მან განაცხადა: „უკრაინის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას კავკასიის დერეფნის შესახებ, უკრაინა ყოველთვის მზად არის, რომ მიესალმოს საქართველოს პრეზიდენტის სასარგებლო ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ

¹³⁸ გაზ. მაცნე, 1997, №21, გვ. 2

¹³⁹ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №28, გვ. 1

როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებას, ისე ჩვენი ქვეყნებისა და რეგიონების უშიშროების მტკიცე გარანტიის შექმნას.“¹⁴⁰

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ როჯერ ჯაკლინგმა თბილისში ყოფნისას განაცხადა: „რომ მისი ქვეყანა მტკიცედ ადგას საქართველოს დახმარების გზას და მზად არის, მას უფრო პრაქტიკული სახე მისცეს სამხედრო სფეროშიც, რომელიც ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე კარგად ჩამოყალიბებული ინსტიტუტია. უფრო კონკრეტულად, ეს იქნება თანამშრომლობა კადრების მომზადების, საზღვრების დაცვის, ერთობლივი წვრთნების, სამშვიდობო ბატალიონის ფორმირების საკითხებში. ბრიტანეთის სამხედრო უწყების წარმომადგენელს თან ახლავს სხვადასხვა სფეროს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ადგილზე გაეცნობა ამ მიმართულებით თანამშრომლობის კონკრეტულ პერსპექტივას.“¹⁴¹

1997 წლის 4 მარტს ევროკომისიის კავკასიასთან და ცენტრალურ აზიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა კორნელიუს ვითბრუდმა თბილისში ყოფნისას განაცხადა: „ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები სრულიად უჭერენ მხარს ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეფორმებს, რომელთა წარმატებით განხორციელება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მტკიცე გარანტს წარმოადგენს. ამასთან მან აღნიშნა, რომ ევროკავშირის ეგიდით საქართველოში მოქმედი „ტასის“ დახმარების პროგრამა, პირადად პანს გან დენბრუკის ინიციატივით წლეულს 14 მილიონი ეკუთხან 16 მილიონამდე გაიზრდება, რაც მისი შეფასებით

¹⁴⁰ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №37, გვ. 1

¹⁴¹ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №291, გვ. 1

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმათა კურსისადმი ევროპის თანამეგობრობის მხარდაჭრის კიდევ ერთ დასტურს წარმოადგენს.“¹⁴²

1998 წლის 10 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებ ზურაბ უგანიამ მიიღო აშშ-ს ვირჯინის შტატის სენატორი რესპუბლიკური პარტიის წევრი ჯონი უორნერი და სამხრეთ ევროპაში მოკავშირეთა ძალების მთავარსარდალი, აშშ-ს სამხედრო ფლოტის ადმირალი თომას ჯოზევ ლოპესი. ზურაბ უგანიას განცხადებით: საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების თანმიმდევრულობა და გარანტიები საქართველოს, როგორც ეპროპა-აზიის დამაკავშირებელ ხიდს, დასავლეთისათვის მეტად საიმედო პარტიორად აქცევს.“¹⁴³ საქართველოში მყოფმა დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა დაგ ჰანდერსონმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

1998 წლის 22 მაისს საქართველოში სტუმრად მყოფმა გერმანიის ბუნდესტაგის წევრმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრის გენერალმა განაცხადა: „სურვილი მაქს სათითაოდ ყველა ქართველთან მივიდე, მივესალმო და ვუთხრა: სწორედ ქართველი იყო ის, ვინც გერმანია გააერთიანა და ამას გერმანელი ხალხი არასოდეს დაივიწყებს.“¹⁴⁴

1998 წელს 18 მაისს აშშ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის სახელმწიფოთა განყოფილების მთავარმა დირექტორმა, აშშ პრეზიდენტის სპეციალურმა თანა-

¹⁴² გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №52, გვ. 1

¹⁴³ უკრ. პარლამენტის უწყებანი, 1998, №15, გვ. 3

¹⁴⁴ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №124, გვ. 1

შემწემ ელჩმა უილიამ კორტნიმ განაცხადა კოლუმბის უნივერსიტეტთან არსებული პარიმანის ინსტიტუტში: „პრეზიდენტ შევარდნაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს გაბეჭდული რეფორმები, რომელთა შედეგად საქართველომ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპით.“¹⁴⁵

ევროპარლამენტის ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობის დელეგაციის ხელმძღვანელის, ალექსანდროს ალავანოსის აზრით: „საქართველო უზარმაზარი პოტენციალის ქვეყანაა, სადაც არნახული სიჩქარით მიდის დემოკრატიზაციის პროცესი, ასეთი ქვეყანა აუცილებლად უნდა შეუერთდეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას და ამას ყველანაირად ხელს შეუწყობს ევროპარლამენტის დელეგაცია.“¹⁴⁶

ევროკომისიის წარმომადგენელმა პანს ვან დენ ბროკმა კი აღნიშნა: „ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან, როგორც რეგიონის ერთ-ერთ საკვანძო სახელმწიფოსთან თანამშრომლობას.“¹⁴⁷

23 ივლისს საქართველოში მყოფმა აშშ სახელმწიფო მდივანმა სტროუბ ტელბოტმა განაცხადა: „აშშ აღმინისტრაცია, პრეზიდენტი კლინტონი, სახელმწიფო მდივანი ოლბრაიტი და თავდაცვის მინისტრი კოენი სრულიად იზიარებენ და მხარს უჭრენ საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის ოცნებას, საქართველო იყოს ჭეშმარიტად თავისუფალი,

¹⁴⁵ გან. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №128, გვ. 3

¹⁴⁶ გან. საქართველოს გაზეთი, 1998, №34, გვ. 1

¹⁴⁷ გან. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №136, გვ. 1

დემოკრატიული და აყვავებული სახელმწიფო, რომელშიც დაისადგურებს მშვიდობა.“¹⁴⁸

1999 წლის 27 იანვარს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებ ზურაბ უვანიამ: „მე ბედნიერი ვარ და ვამაყობ იმით, რომ სწორედ ჩვენს ოობას ხვდა წილად პატივი ევროპის სასახლის ტრიბუნიდან წარმოეთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“.

კენჭისყრამდე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი მიხეილ სააკაშვილი: „ქართველი ერის დღევანდელი თაობა ვალდებულია ყოველი წინა ოობის სანუკვარი ოცნება განახორციელოს, დღეს აქ, ევროპის მთავარ საპარლამენტო დარბაზში, ჩვენთან ერთად სულხან-საბა თრბელიანის სული იმყოფება. სამი საუკუნის წინ მისი ყველა მცდელობა პასუხებაუცემელი დარჩა. დღეს სულხან-საბა თავისი ოცნების ასრულებას ჩვენთან ერთად ზეიმობს. საქართველო ბრუნდება იქ, სადაც ნამდვილად ღირსია იყოს.“¹⁴⁹

ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს პირველი ოფიციალური ოთხდღიანი ვიზიტით ესტუმრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ლორდი რასელ ჯონსტონი. მისი შეფასებით, იგი ჩამოვიდა ევროპის წევრ სახელმწიფოში, სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს და მათი ერთგულია. „უადრესად მოსარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები ჩემს მეგობრებთან.“¹⁵⁰ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრე-

¹⁴⁸ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1998, №186, გვ. 2

¹⁴⁹ ჟურნ. მიკრო-მაკრო ეკონომიკა, 1999, №2, გვ. 8-9

¹⁵⁰ იქვე, გვ. 6

ზიდენტად არჩევისას ლორდ რასელ ჯონსტონმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში კავკასია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად დაასახელა.

საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელის დენის კორბოის აზრით, საქართველოში, ევროპის საბჭოს პირობების თანახმად, უნდა განხორციელდეს სასამართლო და პენიტენციალური სისტემის რეფორმები, რომელთა განსახორციელებლად ევროპის საბჭომ უკვე შეიმუშავა დახმარების სპეციალური პროგრამა. როგორც დენის კორბოიმ განაცხადა, დღეს ევროკავშირში შესვლის კანდიდატები არიან: უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ესტონეთი და სლოვენია, რომელთა ევროკავშირში მიღების პროცესს შეიძლება 5 წელი დასჭირდეს.¹⁵¹ ამასთან, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევიანებასთან დაკავშირებით დენის კორბოიმ აღნიშნა: „საქართველოს-თვის ძალიან მნიშვნელოვან და მოსალოც მოვლენას ჰქონდა ადგილი. მნიშვნელოვანია საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება, რადგან ამით დასტურდება ფაქტი, რომ ევროპა საქართველოს ევროპულ ქვეყნად აღიარებს და სცნობს მის ტერიტორიულ მთლიანობას. ევროსაბჭოში გაწევრიანებით საქართველოს აქვს საშუალება დაიწყოს სვლა იმ დიდ გზაზე, რომელსაც შემდგომში, ალბათ 21-ე საუკუნეში დიდი, გაერთიანებული ევროპა დაერქმევა და ვინ იცის როგორი იქნება ეს ევროპა.“¹⁵²

1998 წელს აშშ-ის ელჩმა საქართველოში ქენეთ სპექსერ იალოვიჩმა გნაცხადა: „აშშ მთავრობა მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

¹⁵¹ ქურნ. მიკრო-მაკრო ეკონომიკა, 1999, №2, გვ. 9

¹⁵² ქურნ. ევროპული ინტეგრაცია, 1999, №3, გვ. 8

ეს ჩვენი პოლიტიკის საფუძველთა საფუძველია და ასე იქნება მომავალშიც. საბედნიეროდ, ჩვენ ერთსა და იმავე ღირებულებებს ვცემთ პატივს... პრეზიდენტმა კლინტონმა დამავალა, გავაღრმავო ისედაც მტკიცე და ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩვენს ქვეწებს შორის. განსაკუთრებით-ვაჭრობის, ინვესტიციების სფეროებში, ხელი შევუწყო ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას მეცნიერებისა და კულტურის, უსაფრთხოების დარგებში.“¹⁵³

1999 წლის 22 ივნისს ლუქსემბურგში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ინაუგურაციაზე აღნიშნა, რომ „სამხერეთ კავკასია ერთიანი ევროპის ის რეგიონი გახდება, რომელშიც ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და სტაბილურობა დაისადგურებს. აგრეთვე მან ხაზი გაუსვა აფხაზეთის საკითხს. საქართველო ელის, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ევროპული თანამეგობრობის უფრო სერიოზული ყურადღების საგანი გახდება.“¹⁵⁴

1999 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კონსტანტინე გირბეამ. მან განაცხადა: „აღმოსავლეთით თქვენი ქვეყანა და დასავლეთით – რუმინეთი მოწოდებულ არიან, საკვაბო როლი შეასრულონ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების დიდებულ პროცესში. ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების საერთო მიზანი და თანამედროვე ევროპის სტრუქტურებში, ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრირებისაკენ სწრაფვა ჩვენი მეგობ-

¹⁵³ ქურნ. ეპოქა, 1998, №21, გვ. 9

¹⁵⁴ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1999, №166, გვ. 2

რობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ყველაზე მყარი საფუძველია.“¹⁵⁵

როგორც აღნიშნე პირველ თავში, XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მთავარი გამოწვევა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებაა, რაც სამი მიმართულებით გამოიხატებოდა: 1. ცნობიერების ცვლილება, რაშიც შესაძლოა გაერთიანდეს რელიგიური და კულტურული კავშირები. 2. პოლიტიკური და 3. ეკონომიკური. საქართველოს კულტურული და პოლიტიკური სპეცტრი მთავარ მიზნად ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას ისახავდა, თუმცა ეს ყოველივე მარტივად მისაღწევი არ იყო. პირველ რიგში აუცილებლობას წარმოადგენდა დასავლეთის დაინტერესება საქართველოთი, როგორც გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული რეგიონის. აღნიშნულის მისაღწევად კი მთავარი იყო საჭირო გზების გამონახვა. 1999 წელს ზურაბ უვანია გაზეთ „ახალ ტალღასთან“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი ევროკავშირის სტრუქტურებთან სრული პარმონიზაციაა, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ევროკავშირში საქართველოს სრულფასოვანი წევრობით უნდა დაგვირგვინდეს. რაც შეახება ევროატლანტიკურ გაერთიანებას, ბუნებრივია ჩვენი ქვეყანა ყურადღებით აღევნებს თვალს ამ ალიანსის განვითარებას. ვფიქრობთ, ნატოს განვითარების მექანიზმები გარკვეული ფორმით ჩვენთვისაც უნდა ამოქმედდეს და უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება. მაგრამ როგორი იქნება თანამშრომლობის პერსპექტივა, ეს მომავალში უფრო ნათლად გამოიკვეთება.“¹⁵⁶

¹⁵⁵ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1999, №309-310, გვ. 1

¹⁵⁶ გაზ. ახალი ტალღა, 1999, №90, გვ. 3

ბუნებრივია, დასავლურ სივრცეში დამკვიდრება მეტად რთულ პროცესს წარმოადგენდა საქართველოსთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ისევ აქტუალური იყო და დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე ახალი გამოწვევები იდგა დღის წესრიგში. დასავლეთი ასე მარტივად არ აპირებდა ჩვენი ქვეყნის ევროპულ გარემოში დამკვიდრებას. საქართველოს წინ რთული და მრავალმხრივი გზა ჰქონდა და აქვს გასავლელი. და ეს მხოლოდ პოლიტიკურ სტაბილურობას არ გულისხმობდა. ადნიშნული ეხებოდა საზოგადოებას, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ მდგომარეობას. 1999 წელს ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავდა: „ევროკავშირში გაერთიანებისათვის საქართველოს 40 წელზე ნაკლები დრო დასჭირდება. ვადების პროგნოზირება დღეს რთულია. ბუნებრივია, ევროკავშირში შესვლა ურთულესი პროცესია. რაც პრაქტიკულად დაასრულებს საკუთარ ოჯახში – ევროპაში საქართველოს დაბრუნებას. ევროკავშირის წევრობა გულისხმობს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა ევროპულ სტანდარტებს, რაშიც მოსახლეობის კეთილდღეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და პროგნოზირება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და სიცოცხლისუნარიანობა იგულისხმება.“¹⁵⁷

ევროკავშირში დასამკვიდრებლად საქართველოს მნიშვნელოვანი გამოცდების ჩაბარება უწევს და უწევდა. ზემოთადნიშნულთან ერთად, დემოკრატიული ფასეულობების ქვეყანაში დამკვიდრება ერთერთი მთავარი პირობა იყო საქართველოს ევროინტეგრაციისათვის. ეს კარგად გამოჩნდა 1998 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ

¹⁵⁷ გაზ. ახალი ტალღა, 1999, №90, გვ. 3

ჟვანიას აშშ-ში ვიზიტის დროს, რომლის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ს ხელმძღვანელობის დარწმუნება საქართველოს დემოკრატიზაციაში.

ამდენად, XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული და წინააღმდეგობებით სავსე ეტაპია. ერთი მხრივ, საქართველო ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო და მეორე მხრივ, მის წინაშე დგება მთელი რიგი პრობლემები, რაც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადისათვალი.

მართალია, საბჭოთა სისტემამ შეწყვიტა არსებობა და მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოები დამოუკიდებლობას აღწევენ და მათ შორის საქართველო, თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის არცოუისე მარტივი იყო ახალი ცხოვრების დაწყება ახალი სტატუსით. ეს ყოველივე კი, ბუნებრივია თავისებურ ასახვას პოულობდა საქართველოზე. იმ ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში რთული ვითარება სუფევდა და მრავალი პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა, რთული იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის წარმართვა. ამიტომ, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები დადგებითი კუთხით შეგვიძლია განვიხილოთ.

როგორც აღნიშნე, საქართველოს უძველესი პერიოდიდან მოყოლებული პქონდა სწრაფვა ევროპასთან დაკავშირებისა, XX საუკუნის 90-იანი წლები კი ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. დასავლეთი სულ უფროდაუფრო მეტ დაინტერესებას იჩენს საქართველოსადმი. რა განაპირობებს დასავლეთის ამგვარ დამოკიდებულებას? თავდაპირებელად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას პქონდა მცდელობა დასავლეთთან ურთიერთობის დამყარებისა, თუმცა, როგორც აღინიშნა ეს კავშირი არ შედგა. სიტუაცია რადიკალურად იცვლება ედუარდ შევარდნაძის ხე-

ლისუფლებაში მოსვლის შემდეგ. როგორც წარმოდგენილი მასალა აჩვენებს, დასავლეთი რადიკალურად ცვლის დამოკიდებულებას შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ და უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმით გამოირჩევა, რასაც თავად ედუარდ შევარდნაძის პერსონის მიმართ პატივისცემით ხსნიან.

რაც გარკვეულწილად ლოგიკურია. ედუარდ შევარდნაძემ დიდი როლი ითამაშა ცივი ომის შემდგომი პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებაში და ამას დასავლეთი ხშირად უსვამდა ხაზს, განსაკუთრებით გერმანიის წარმომადგენლები. ისინი შევარდნაძეს ბერლინის კედლის დანგრევის და „გერმანიის გაერთიანების მთავარ სიმბოლოდ“ თვლიდნენ. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო.

ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთი ახალი შემართებით გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე. მის მიზანს ხომ საბჭოთა იმპერიის დასუსტება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდა აშშ. ამ უკანასკნელის მიზანი ევროპულ სივრცეში დამკვიდრება და საბჭოთა გავლენის შემცირება იყო, რაც მიზანმიმართულად ხორციელდებოდა ცივი ომის პერიოდში. აშშ-ის ფინანსურმა დახმარებამ ევროპის სახელმწიფოებისადმი ხელი შეუწყო II მსოფლიო ომის შედეგად მიყენებული ზარალის შემცირებას. დასავლეთ ევროპა სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა და ამასთან, აღმოსავლეთ ევროპა ცდილობდა საბჭოთა რეჟიმის გავლენისაგან განთავისუფლებას. დასავლეთის მიზანი მსოფლიო თავისუფალი ყოფილიყო საბჭოთა რეჟიმისგან წარმატებით დასასრულს უახლოვდებოდა. ამ მიმართულებით კი გორბაჩოვის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო დასავლეთის იდეის საბოლოო განვითარებას.

აღნიშნული მოვლენების პარალელურად დასავლეთი და განსაკუთრებით აშშ ინტერესდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებით, მათ შორის კი საქართველოთი. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდგბარეობა ახალი განხილვის საგანი ხდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველო მუდმივი დაინტერესების საგნად ექცია ევროპისათვის. მას მოწმობს მისი სიტყვები 1997 წელს სტრასბურგში, ევროსაბჭოს სამიტზე გამოსვლისას: „ჩვენ შემოვდივართ ევროპაში, რათა შევესისხლხორცოთ მის ცხოველ გაზს ლერწად და მტევნად. შემოვდივართ, რათა შევმატოთ ჩვენი წვლილი ევროპული კულტურის მხსნელ მისიას და ვპოვოთ მასში გზა საკუთარი ხსნისა.“¹⁵⁸

¹⁵⁸ გაზ, სახალხო გაზეთი, 1999, №179, გვ. 3

თავი მესახი

ერთულ-დასავლური ეკონომიკური ურთიერთობაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინებისთვის გზების ძიება. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რასაც საბოლოო ჯამში საქართველოს გაძლიერება უნდა მოყოლოდა შედეგად. ხელისუფლების მიმართულება ევროპაზე აღებული პოლიტიკური და ამასთან, ეკონომიკური კურსის წარმოება იყო.

ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებისთვის აქტიური მოღვაწეობა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო და მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა მთელი ათი წლის განმავლობაში. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს სრულფასოვანი განვითარებისათვის ეროვნული ეკონომიკის განვითარება აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ელიტის მოღვაწეობა ამ მიმართულებით წარიმართა. პრობლემის საფუძვლიანი მოგვარებისათვის ჯერ საწყისი მიზეზების გამოვლენა იყო საჭირო. ამიტომ ჯერ კიდევ 1990 წელს გაზეთი „ივერია“ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკა უკიდურესად ჩამორჩენილია. მისი პროდუქცია არაკონკურენტუარიანია მსოფლიო ბაზარზე. ხელოვნურად არის გაზრდილი საკავშირო ეკონომიკურ სისტემაში მისი ინტეგრირებულობის დონე. პირადი ინიციატივისა და პირადი პასუხისმგებლობის ელემენტის გამოდევნამ ეკონომიკიდან გამოიწვია შრომითი ჩვევების გადაგ-

ვარება. რაც საბოლოოდ ზნეობრივ გადაგვარებაში გადაიზარდა, პატიოსანი შრომა არ არის მომგებიანი არც ეკონომიკურად და არც საზოგადოებრივი პრესტიჟის თვალსაზრისით, ორივე აზრით, ფასობს კანონის გვერდის ავლით ჩრდილოვანი ეკონომიკის და შავი ბაზრის მეთოდებით მოქმედება. ამის გამო დაცემულია კანონიერების, როგორც ასეთის პრესტიჟი. განათლების დონე დაბალი და პროვინციულია, ამასთან ტენდენცია აქვს შემდგომი დაცემისაკენ. პროფესიონალიზმი უაღრესად დეფიციტურია ცხოვრების ყველა სფეროში. ამის მიზეზია ცოდნის პრესტიჟის დაცემა და მოწინავე მსოფლიო აზროვნებასთან კონტაქტის დაკარგვა.¹⁵⁹

საქართველო განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ევროპული სამყაროსადმი სწრაფვით გამოირჩეოდა. ეს გამოიხატებოდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური კუთხითაც. განსაკუთრებულად აქტიურობდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები. „რესპონდენტთა შედარებით ახალი თაობა თავს ახალი ფორმაციის წარმომადგენლად მიიჩნევს, რომელიც უპირისპირდება ძველს. ისინი აღიარებენ, რომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მენტალიტეტი თვით პოლიტიკურ წრეებშიც ახლა იკიდებს უცხს და რომ მიმდინარეობს აშკარა თუ ფარული დაპირისპირება პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის. რესპონდენტთა ამ კატეგორიას მიაჩნია, რომ დასავლური იდეალები მხოლოდ მხარს უმაგრებენ ქვეყნის დამოუკიდებლობას. მათი აზრით, ის ქართველები, ვინც აშშ-ში თუ დასავლების სხვა ქვეყნებში განათლება-მომზადება მიიღო, არც კი უშვებდა იმას, რომ საქართველო შეიძლება რუსეთის კოლონიად იქცეს. ამერიკაში მიღებული განათლება ეხ-

¹⁵⁹ გაზ. ივერია, 1990, №34, გვ. 25

მარება ქართველ სპეციალისტებს ელაპარაკოს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, როგორც იტყვიან „მათ ენაზე“, დაამყარონ მათთან ის კონტაქტები და ურთიერთგაგება, რომლის დამყარება გაჭირდებოდა შესაბამისი განათლების გარეშე.¹⁶⁰

1992 წლიდან საქართველოში დემოკრატიის მხარდამჭერი საერთაშორისო პროგრამების აქტიური განხორციელება დაიწყო და მას შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა. 1994-1996 წლებში საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა (როგორებიც არიან: აშშის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ევრაზიის ფონდი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი) საკუთარი წარმომადგენლობები გახსნეს საქართველოში და დაიწყეს სისტემური და სტუქტურული დახმარება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში. „მართალია, ქვეყანაში განვითარებული და სხვა გარე მოვლენების შესაბამისად დასავლეთის ქვეყნებიდან მომდინარე დახმარების პრიორიტეტები იცვლებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ გამოხატა დადებითი განწყობა და დახმარების სურვილი საქართველოს მიმართ. ძირითადი დონორი ქვეყანა შეერთებული შტატები იყო, რომლის მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოში სხვადასხვა პუმანიტარული, განვითარებისა და დემოკრატიული დახმარების პროგრამების განსახორციელებლად 1992 წლიდან მოყოლებული ერთ მილიარდ დოლარზე მეტი გამოყო. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს დახმარება ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტს შეადგენდა, საიდანაც

¹⁶⁰ გაზ. რეზონანსი, 1996, №28, გვ. 7

საშუალოდ 20 მილიონი დემოკრატიული პროგრამების განსახორციელებლად იხარჯებოდა.“¹⁶¹

1992 წლიდან 2000 წლამდე აშშ მთავრობამ საქართველოს 733 მილიონი დოლარის დახმარება გაუწია. „2000 წელს კონგრესმა „თავისუფლების მხარდამჭერი აქტის“ ფარგლებში კიდევ 108, 4 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ქანცხა იალოვიჩის განცხადებით, საქართველო მესამე აღვგილზეა აშშ-ის მხრიდან ერთ სულ მოსახლეზე მიღებული დახმარების მიხედვით... ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად აშშ-ის მთავრობა საქართველოსთვის კორუფციასთან ბრძოლაში დახმარებას მიიჩნევს, რისთვისაც ამერიკული სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნაა საჭირო.“¹⁶² ბუნებრივია, აღნიშნული ქმედებები საქართველოსთვის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ახლად მოპოვებული იყო და მთელი რიგი რეფორმები იყო განსახორციელებელი, მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, თუმცა, სამწუხარო ფაქტია, რომ ქვეყანას არსებობა პუმანიტარული დახმარების მეშვეობით უწევდა.

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში ქვეყნის პოლიტიკა მიმართული იყო სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამების განხორციელებაზე. აშშ-ის შემდეგ მეორე მთავარი დონორი ევროპის კავშირი იყო, რომელმაც მთელი რიგი პროექტები განახორციელა. მათ შორის ყველაზე მასშტაბური იყო ტრადიციული განვითარების პროგრამები: „ECHO-ს პუმანიტარული დახმარება (92 მილიონი ევრო 1992-2002

¹⁶¹ საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, მიღწევები, გამოწევები და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 228

¹⁶² გაზ. ეკო-დაიჯესტი, 2000, №92, გვ. 1

წლებში), საკვების უსაფრთხოების პროგრამა (59 მილიონი ევრო 1992-2000 წლებში), გასი-ის ეროვნული პროგრამა (84 მილიონი ევრო). მთლიანად ეკროკავშირის დახმარებამ 370 მილიონი ევრო შეადგინა (ტასი-ის პროგრამის გათვალისწინებით).¹⁶³

1993 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღქვსანდრე ჩიკვაიძემ და აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში კენტ ბრაუნმა საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.

1992 წლის 29 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ევროპისა და შუა აზიის რეგიონში ოპერაციების სამმართველოს უფროსის ვაფიკ გრაისის წერილი მიიღო, სადაც იგი აღნიშნავს: „... როგორც განვიხილეთ, საქართველო დგას ეკონომიკის ეფექტურად გარდაქმნის დიდი სიძნელების პირისპირ. ჩვენი საუბრისას აღვნიშნეთ, რომ მსოფლიო ბანკი მზად არის აღმოგიჩინოთ ყოველნაირი შესაძლო დახმარება და ხელი შეგიწყოთ შემდგომი ზრდის საფუძვლის შექმნაში. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ აღნიშნული დახმარება გაგვიწიონ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ჩამოაყალიბებს ბიუროს, რომელიც:

1. უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, ან პირდაპირ დაქვემდებარება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ გამტარებელს;

¹⁶³ საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, მიღწევები, გამოწევები და პერსპექტივები, თბილისი, 2006, გვ. 228

2. უფლება ექნება განსაზღვროს უცხოური და-
ფინანსების დონისა და წყაროების პრიორიტეტები,
მათი სექტორალური განაწილება და უცხოეთის
დახმარების პრიორიტეტების თანამიმდევრობა;

3. უფლებამოსილი იქნება დაადგინოს უცხოე-
თის ტექნიკური დახმარების პრიორიტეტები, ეკონო-
მიკური და დარგობრივი კოორდინირების ჩათ-
ვლით.“¹⁶⁴

1992 წლის 9 ივლისს ქალაქ ართვინის მუნიცი-
პალიტეტის თავმჯდომარე ყადირ ხალვაში თავის
წერილში ეფუარდ შევარდნაძისადმი შემდეგ აზრს
ანვითარებს: „მთელი ართვინი გულითადად მოგე-
სალმებათ ოქენე, თანამედროვეობის უდიდეს სახელ-
მწიფო მოღვაწეს, რომლის სახელთან მჭიდროდ
არის დაკავშირებული მსოფლიოში დემოკრატიის
განვითარება. ამ ძნელბედობის უამს ბეჭინიერია ქარ-
თველი ხალხი, რომ ოქენე ბრძანდებით მისი წინამ-
ძღვლი და დიდი გარანტი... უახლეს დროში საქარ-
თველოს მთავრობის მხარდაჭერით შევქმნით ერთობ-
ლივ საწარმო „ინტერბაგირგზას“ და გავხსნით ჩვენს
წარმომადგენლობას თბილისში. გვინდა განვავითა-
როთ ურთიერთ სასარგებლო თანამშრომლობა სო-
ციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ძირი-
თად დარგებში.“¹⁶⁵

ევროპის თანამეგობრობის კომისიის წარმომად-
გენელი ჟაკ დელორი ედუარდ შევარდნაძესადმი მი-
წერილ წერილში 1992 წლის 19 სექტემბერს აღნი-
შნავდა: „დიდ მადლობას მოგახსენებოთ ოქენეს მიერ
1992 წლის 12 მაისს გამოგზავნილი წერილისათვის,
რომელიც ეხებოდა ევროპის თანამეგობრობის მიერ
საქართველოსათვის 70 მილიონი ეკიუს გამოყოფას.

¹⁶⁴ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 17

¹⁶⁵ იქვე, ფურც. 27

ევროპის თანამეგობრობაში ეს ნაბიჯი გადადგა იმ მიზნით, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა შეძლონ დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შეიძინონ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკვები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამედიცინო აღჭურვილობა. კომისია სრულიად გეთანხმებათ იმაში, რომ ეს ოპერაციები რაც შეიძლება მაღლ უნდა დაიწყოს. ამის გამო კომისიის ხელმძღვანელები 1992 წლის 29 ივნისს შეხვდნენ თქვენი მთავრობის წარმომადგენლებს. შეხვედრა ყველა-სათვის სასარგებლო გამოდგა და მიღწეული იქნა შეთანხმება ოპერაციის პირობებთან დაკავშირებით. იმედია, რომ შეთანხმებაზე ხელის მოწერა მოხდება უახლოეს მომავალში და საქართველოს გადაუცემა ეს ფულადი დახმარება.

ევროპული გაერთიანება მთლიანად მხარს უჭერს ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების სწრაფვას ააშენონ დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფოები და თვლის, რომ ამის მისაღწევად უმთავრესი პირობა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა. უახლოეს მომავალში კომისია მოელის საქართველოსთვის 1250 მილიონი ეკიუს სესხის გამოყოფის შეთანხმების გაფორმებასა და ხელმოწერას.¹⁶⁶

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის საქართველოში სტუმრობა და ფინანსური დახმარების აღმოჩნისთვის მზადყოფნის გამოთქმა. „1995 წლის 5 მაისს თბილისს ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი მიშეღ კამდევიუ. იგი შეხვდა ე. შევარდნაძეს და ო. ფაცაციას. მისი და-

¹⁶⁶ სუიცსა, ფ. 767, აღწ. 1, საქ. №120, ფურც. 67

პირების მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შემუშავებული სამწლიანი პროგრამის მიხედვით, კვლავ განაგრძობს საქართველოსადმი ფინანსურ დახმარებას.“¹⁶⁷ როგორც აღვნიშნე, 1996 წლის იანვარში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი, ბუნდესტაგის წევრი კლაუს კინკელი, რომელიც შეხვდა და ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს და ქვეყნის ოფიციალური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. კლაუს კინკელთან ერთად ჩამოსული იყვნენ გერმანელი ბიზნესმენები, რომლებიც გაეცნენ აქაურ მდგომარეობას, შეისწავლეს საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობანი და წამოაყენეს წინადადებები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მათი მონაწილეობის შესახებ.¹⁶⁸ კლაუს კინკელმა 1996 წლის 24 იანვარს საქართველოს პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „... კავკასიას, როგორც გეოპოლიტიკურ ხიდს ევროპასა და აზიას შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ევროპისა და მოსაზღვრე ისლამური სამყაროს სტაბილურობისათვის. კავკასიის სახელმწიფოთა ინტერესები მჭიდროდ არის გადახლართული რუსეთის, თურქეთისა და ირანის ძალთა გადაკვეთაზე არსებული დაბაბულობის გელში.“¹⁶⁹ 1997 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარებ ზურაბ ჟვანი-

¹⁶⁷ გ. მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, თბილისი, 1999, გვ. 479-480

¹⁶⁸ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №1-2, გვ. 43

¹⁶⁹ ჟურნ. პარლამენტის უწყებანი, 1996, №1-2, გვ. 46

ამ მიიღო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი ჟაკ ლე ლაროზიე. მხარეებმა ისაუბრეს იმ კონკრეტული პროექტების შესახებ რომელთა განხორციელებასაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აპირებს. „პერძოდ, უკვე გაიხსნა 12 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი, რომელიც სამ ქართულ ბანკზე განაწილდა. კრედიტი მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად არის განკუთვნილი. შესაძლოა, ინგესტიციების ჩადება ფოთის პორტში სარკინიგზო ტერმინალისა და ხორბლის საცავის მშენებლობაში, სამომავლოდ კი ნავთობსადენისა და რუსეთ-თურქეთის გაზსადენის მშენებლობაში.“¹⁷⁰

1996 წლის 14 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო წერილი იტალიაში საქართველოს ელჩის ბეგლარ თავართქილაძისაგან, სადაც აღნიშნულია იტალიის ეკონომიკური დახმარების შესახებ: „იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს სახელით პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ იტალიის მთავრობამ გამოყო საქართველოსათვის უსასყიდლოდ 3 მილიარდ 200 მილიონი ლირის ღირებულების (2 მილიონ აშშ დოლარზე მეტი) პურის ფქვილი. გარდა ამისა საქართველოში გამოიგზავნება დაბლოებით 1 მილიონი დოლარის ღირებულების ზეთი, 800 ათას დოლარზე მეტი ხორცის კონსერვი და 650 ათასი დოლარის ბრინჯი.“¹⁷¹

საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ნიკო ლეკიშვილისადმი ვ. ჩეჩელაშვილის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ: „1994 წლის ნოემბერში საქართვე-

¹⁷⁰ ქურნ. პარლამენტის უწყებაზი, 1997, №11-12, გვ. 5

¹⁷¹ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №50, ფურც. 101

ლოში გამოგზავნილი იქნა 915.000 ამერიკული დოლარის დირებლების 6. 850 ტონა ხორბალი.¹⁷²

გერმანიის ფედერაციულმა მთავრობამ საქართველოს მთავრობას ორჯერ გამოუყო გრძელვადიანი 0, 75 კრედიტი. პირველი კრედიტი გამოიყო „სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობის შესახებ“ 1993 წლის სამთავრობათაშორისო შეთანხმების საფუძველზე – 30 მლნ გერმანული მარკა, რომელიც დაიყო სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის ხელშეწყობის პირველ (10 მლნ. გერმანული მარკა) და მეორე, (20 მლნ. გერმანული მარკა) პროგრამად... 1995 წელს მოხდა სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის ხელშეწყობის მეორე პროგრამის (20 მლნ გერმანული მარკა) რეპროგრამირება ენერგეტიკის სექტორზე. ქართული და გერმანული მხარეები შეთანხმდნენ, რომ 11 მლნ გერმანული მარკა მოხმარდებოდა თბილისის ენერგოქსელის აღდგენით სამუშაოებს, ხოლო 9 მლნ გერმანული მარკა იქნებოდა სარეზერვო ფონდი თბილსრესისათვის.¹⁷³

1996 წლის 14 მარტს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი კარლ-დიტერ შპრანგერი ედუარდ შევარდნაძისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „მე განზრახული მაქვს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში გამოვყო თქვენს ქვეყნას მიმდინარე წლისათვის 50 მილიონი გერმანული მარკა შემდგომი გადაუდებელი დახმარების სახით ენერგოსექტორის ხელშეწყობის მიზნით. ბიუჯეტთან დაკავშირებით ამისათვის პულებელი წინა სამუშაოები უპავ დაწყებულია.“¹⁷⁴

¹⁷² სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №50, ფურც. 121

¹⁷³ იქვე, ფურც. 233

¹⁷⁴ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №73, ფურც. 91

საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის ურთიერთობა დაიწყო 1993 წელს. „ამჟამად საქართველოში (1996 წლისთვის – ნ.ს.) მომზადებულია და ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული 7 პროექტი: მუნიციპალური, საინსტიტუციო განვითარების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და საკრედიტო საინვესტიციო ფონდის. მომზადების სტადიაშია განათლების, გარემოს დაცვის პროექტები. უახლოეს მომავალში მუშაობა დაიწყება ჯანდაცვის მეორე და კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის პროექტების მოსამზადებელ სამუშაოებზე.“¹⁷⁵

ევროკომისიის ოგმჯდომარე უაკ სანტერი ედუარდ შევარდნაძისადმი მიწერილ წერილში 1996 წლის 19 სექტემბერს აღნიშნავს: „.... ევროკავშირმა, ისევე როგორც აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობით, ასევე პუმანიტარული დახმარების ოფისის (ეკო) მეშვეობით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია კვების, სამედიცინო და ენერგეტიკულ სფეროებში. 1995 წლიდან ეკო-მ დაიწყო დაახლოებით 14 მილიონი ეკიუს ღირებულების პუმანიტარული დახმარების პროექტების დაფინანსება. ხოლო ამჟამად შესწავლის პროცესშია 2 მილიონი ეკიუს ღირებულების დახმარების პროექტი. ეს უკანასკნელი გამოყენებული იქნება საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სასწრაფოდ შესაძენად სოციალურად კველაზე მეტად დაუცველი პირებისა და ოჯახებისათვის.

გარდა ამისა, ტასისის პროგრამის ჩარჩოებში კვლავ გრძელდება ტექნიკური დახმარება თქვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისადმი, ისევე როგორც გაგრძელდება სურსათით უზრუნველყოფისათ-

¹⁷⁵ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №77, ფურც.

ვის მხარდაჭერის პროგრამა 18 მილიონი ეკიუს რაოდენობის საბიუჯეტო დახმარების სახით.“¹⁷⁶

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პ. ზალდასტანიშვილის 1996 წლის 23 სექტემბრის ანგარიშში საქართველოს პრეზიდენტისადმი განხილულია 1996 წლის 9 სექტემბრის ბრიუსელის შეხვედრა „ტასისის“ 1996-1999 წლების პროგრამასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია: „ტასისის პროგრამასთან თანამშრომლობის პრიორიტეტებად მიჩნეულია: 1. ინფრასტრუქტურის განვითარება 2. კერძო სექტორის მხარდაჭერა 3. ადამიანთა რესურსების განვითარება. გარდა ამისა, თანამშრომლობა გაგრძელდება კ.წ. „ფასილიტების“ (მექანიზმების) საშუალებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მრჩეველთა ინსტიტუტების გამოყენებას, რეფორმათა ხელშეწყობას და სხვა.“¹⁷⁷ აღნიშნულ შეხვედრაზე ევროკომისიის მხრიდან სხდომას ესწრებოდნენ ფ. ფოტიადისი – ამიერკავკასიის ცენტრალური აზიისა და მონცოლეთის განყოფილების უფროსი, დ. რინგროუზი – ამიერკავკასიის განყოფილების კურატორი, ლ. ოუდი – შუა აზიის განყოფილების უფროსი ენერგეტიკის დარგში და სხვები. პროექტების დაფინანსების მიზნით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 15, 23 მლნ ეკიუ, ხოლო რეზერვმა – 0, 77 მლნ ეკიუ.

1996 წელს ამერიკულმა კორპორაციამ „ლოკალმარტინმა“ გამოთქვა დაინტერესება საქართველოსთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა. ამ მიზნით ა.წ. 3-8 ივლისს საქართველოს ვიზიტით ეწვევა კორპორაციის დელეგაცია მისი ევროპული რე-

¹⁷⁶ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 60

¹⁷⁷ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №109, ფურც. 19

გიონის პრეზიდენტის რობერტ კლიფორდის ხელმძღვანელობით... კორპორაცია „ლოკიდ – მარტინი“ აშშ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ წყვეტს... კორპორაციას საქართველოსთან თანამშრომლობა წარმოუდგენია რამდენიმე ფორმით:

—ინვესტიციები (როგორც მსხვილი, ისე მცირე მასშტაბის)

—საქართველოში სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოება (ერთობლივად ან ქართული საწარმოების მიერ)

— საქართველოს პროდუქციის შესყიდვა

— თანამშრომლობა ახალი ტექნოლოგიების ათვისების, ნოუ-ჰირსა და მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით დარგებში.¹⁷⁸

1996 წლის 17-18 ივნისს ენევაში მსოფლიო სავჭრო ორგანიზაციის გენერალურ საბჭოს სხდომას ესწრებოდა საქართველოს დელეგაცია მ. უკლებას ხელმძღვანელობით. სხდომაზე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს დადებითი შეფასება მიეცა. საუბრის დროს აღინიშნა, რომ მსო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სრულუფლებიან ჩართვას ამ ორგანიზაციის საქმიანობაში და გაუწევს მას სათანადო ტექნიკურ დახმარებას ამ მმართულებით. „17 ივლისს საქართველოს დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა გაეროს-ს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის (UN/ECE) გენერალური დირექტორის მოადგილესთან პატრისია ფერენჩისთან. შეხვედრაში მონაწილეობას დებულობდნენ UN/ECE-ის რეგიონული მრჩეველები პ. ჩიბა, ე. ნადეჟდინი და კაპელ-ფერარი... ამავე დღეს გაეროს ევროპისათვის

¹⁷⁸ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №109, ფურც. 66-67

ეკონომიკური კომისიის შტაბ-ბინაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. უკლებამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ჩართვას ისეთ მნიშვნელოვან ტრანსევროპულ სატრანსპორტო პროექტებში, როგორიც არის ტრანსევროპული (ჩრდილოეთი – სამხრეთი) საავტომობილო მაგისტრალისა (TEM) და ტრანსევროპული – სამხრეთი სარკინიგზო მაგისტრალის (TER) პროექტები.“¹⁷⁹ ასევე სქართველოს დელეგაცია შეხვდა შვეიცარიის წარმომადგენლებს დედაქალაქ ბერნში, სადაც განიხილეს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მიწვეულ იქნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) 1999 წლის წლიურ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა შვეიცარიაში, დავოსში 28 იანვრიდან 2 თებერვლამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით მან მიიღო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პრეზიდენტის, პროფესორ კლაუს შვაბის მიწვევა 1998 წლის 29 სექტემბერს. „მოგმართავთ, რათა მოგიწვიოთ 1999 წელს დავოსში (შვეიცარია) ჩვენს ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც განხილვის მთავარი მონაწილე. ეკონომიკის არამდგრადობის ზრდის თვალსაზრისით, ეს წლიური შეხვედრა მოხდება განსაკუთრებულად კრიტიკულ დროს და ფასდაუდებელი შესაძლებლობა მოგეცემათ თქვენ და თქვენი რანგის ხელმძღვანელებს შეაფასოთ არსებული პრობლემები და მოახდინოთ მათზე სათანადო საერთაშორისო რეაგირება.“¹⁸⁰

¹⁷⁹ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №128, ფურც. 97-98

¹⁸⁰ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №575, ფურც. 34-35

აშშ-ს დახმარების თანხები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, ძირითადად გამოიყოფოდა აშშ-ს „თავისუფლების მხარდაჭერის აქტის“ საფუძველზე. 1999 წლისათვის აღნიშნული დახმარების საერთო მოცულობამ შეადგინა 84, 3 მილიონი დოლარი (შედარებისათვის, 1998 წ. ეს თანხა შეადგენდა 97. 5 მილიონ დოლარს). გარდა ამისა, ტრადიციული და საქართველო როგორც დსთ-ს სხვა ქვეყნები იღებენ დამატებით დახმარებებს აშშ-ს უწყებრივი პროგრამების მეშვეობით. საქართველოსთვის გაწეული დახმარება შეეხო სოფლის მეურნეობას, სოციალურად დაუცემლ პირებს.“¹⁸¹

ქვეყანაში თავის საქმიანობას ახორციელებენ ისეთი მსხვილი და ცნობილი სადაზღვევო კომპანიები, როგორებიცაა „პერმესი“ (გერმანია), „კოფასი“ (საფრანგეთი) და „ოპეკი“ (აშშ). საქართველოში პროექტების დასაზღვევად მზად არის აგრეთვე „საჩე“ (იტალია). აღსანიშნავია საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისათვის. სულ უფრო იკვეთება საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო და სავაჭრო ხიდის მნიშვნელობა.“¹⁸²

1996-1997 წლებში თავისი კაპიტალი საქართველოში დააბანდა საზღვარგარეთის 37 სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, კორეა, ისრაელი, რუსეთი, თურქეთი, ავსტრალია და სხვა) ფირმებმა. ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროსა და დარგში წარმატებით ფუნქციონირებს უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით შექ-

¹⁸¹ ოქვე, ფურც. 78

¹⁸² სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №578, ფურც. 198

მნილი 160-ზე მეტი საწარმო. აგრეთვე, ადსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოში დაფუძნებული 1500-მდე სააქციო საზოგადოების აქციათა 20% უცხოელ ინვესტორთა საკუთრებაა.“¹⁸³

საქართველოში მიმდინარე რეფორმების შედეგი-ანობაზე ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის კავკასიის ჯგუფის ხელმძღვანელმა ფოკიონ ფოკიადის-მა ბაკურ გულუას სახელზე გამოგზავნილ წერილში: „დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე აგრარულ რეფორმებს. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ თანმიმდევრული რეფორმების მეშვეობით შეძლებს საქართველომ გადალახოს სურსათის დეფიციტი და აღიდგინოს პოზიცია, როგორც ახალი და გადამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანმა მწარმოებელმა. ძალზედ სასიამოვნოა ამ რეფორმათა შედეგების დანახვა ქვეყანაში სურსათით უზრუნველყოფის სიტუაციის გაუმჯობესების სახით.

1998 წლის მარტის შემდეგ ჩვენ ვგეგმავთ ერთი წლით გავაგრძელოთ რარპ-1 პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რეფორმებს.“¹⁸⁴

საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა 1999 წელს მყოფმა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ პენრი კისინჯერმა. მან აღნიშნა, რომ „ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მიესალმება მნიშვნელოვან ფუნქციას რეგიონში – ერთმანეთთან დააკავშიროს ეგროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები.“¹⁸⁵

¹⁸³ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №578, ფურც. 215

¹⁸⁴ გაზ. აგროინფორმი, 1997, №13, გვ. 2

¹⁸⁵ ქურნ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, 1999, №1, გვ. 42

დასავლეთის დახმარება საქართველოს მიმართ ეკონომიკური სწავლების დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობითაც გამოიხატებოდა. „1997 წლის 1 ნოემბერს დაიწყო და 1998 წლის 1 აგვისტოს დამთავრდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ფაო-ს მიერ აგრარული პოლიტიკის ანალიზის სწავლების პროგრამა „სასწავლო კურსები სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა გაზრდისათვის, რომელიც მოიცავდა 6 სასწავლო კურსს, თითოეული 2-3 კვირის ხანგრძლივობით 25 მსმენელისთვის, პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 120 მსმენელმა. პროგრამა მოიცავდა:

1. აგრარული პოლიტიკის ანალიზს
 2. მარკეტინგისა და სურსათის წარმოების პოლიტიკას
 3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით საგარეო ვაჭრობა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციები, სავაჭრო კანონები და რეგიონალური ინტეგრაცია.
 4. აგრარული საინკუსტიციო პროექტების მოზადება და შეფასებას.
 5. სასოფლო-სამეურნეო ფინანსებისა და კრედიტების პოლიტიკას.
 6. აგრარული რეფორმა, ფერმერული რესტრუქტურიზაცია და წყლის მენეჯმენტს.“¹⁸⁶
- 1997 წლის 2-4 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა საერთოევროპული კონფერენცია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნათა შესახებ. კონფერენციაზე გამოსვლისას ზურაბ ქვანიამ აღნიშნა: „ევროკავშირმა ასეულობით მიღიონი ეკიუ გამოყო 1992-1997 წლებში საქართველოს დასახმარებლად და

¹⁸⁶ გაზ. აგროინფორმი, 1998, №37, გვ. 2

უმძიმეს პერიოდში ამით ფაქტობრივად გადაარჩინა საქართველოს მოსახლეობა ეროვნულ კატასტროფას. ამჟამად კი პუმანიტარული დახმარება იცვლება ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამებით და თანასწორულებით.“¹⁸⁷

1997 წელს ბრიუსელის შეკრებაზე განიხილეს საქართველოს საკითხი. „რა მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის ბრიუსელის შეხვედრას? ჩვენ, როგორც ტრანსკავკასიის დერეფნის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს, ძალზე დიდი მისია გვეკისრება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე სხვა სახელმწიფოებისათვის სტრატეგიული დანიშნულების პროგრამების, მათ შორის ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების რეალიზაციაში. ეს სახელმწიფოებია: ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, აგრეთვე შავი ზღვის აუზისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნები... ბრიუსელში პირველად ყველა მონაწილის, მათ შორის ევროკავშირის ხელმძღვანელთა გამოსვლაში აღინიშნა, რომ ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება რუსეთისა და საქართველოს ნავსადგურებით მოხდება. ამრიგად, საქართველო პირველად დაფიქსირდა, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, მასთან ერთად კი სუვსის ტერმინალის უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენთვის ასევე საგულისხმო იყო ისიც, რომ საქართველო ამ შეხვედრაზე პირველად მოიხსენიეს არა მარტო ადრეული ნავთობის, არამედ გაზის ტრანზიტის ქვეყნადაც, საიდანაც ნავთობი და გაზი მიეწოდება უკრაინას, საბერძნეთს, ცენტრალური ევროპისა და ბაქტრიას ქვეყნებს.“¹⁸⁸

1996-1997 წ.წ. და 1998 წლის I ნახევრის ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველო-გერმანიის ურთი-

¹⁸⁷ გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1997, №249, გვ. 3

¹⁸⁸ გაზ. ახალი ტალღა, 1997, №13, გვ. 2

ერთობაში შემდეგი იყო: „საქართველოდან 1996 წელს ექსპორტირებულ იქნა 4,4, მლნ აშშ დოლარის დირებულების საქონელი, 1997 წელს – 5, 8 მლნ, ხოლო 1998 წლის I ნახევარში – 1, 9 მლნ. იმპორტმა შეადგინა: 1996 წელს 24, 4 მლნ აშშ დოლარი, 1997 წელს – 35 მლნ და 1998 წლის I ნახევარში იმპორტირებულ იქნა 8, 5 მლნ აშშ დირებულების პროდუქცია. საქართველოდან ძირითადად ექსპორტის სახით გადის: ბოსტნეული, ხილი, კაკალი, თხილი. ასევე ექსპორტზე გადის: სასუქები, პლასტმასები და მათი ნაკეთობანი. გერმანიიდან შემოდის: ხერბალი, შაქარი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ელექტრომანქანები და მოწყობილობა, სამკურნალო საშუალებები, ალუმინის ფოლგა, მსუბუქი ავტომობილები.“¹⁸⁹

1998 წლის 16 დეკემბერს ათი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი) პარაფირებულ იქნა ათენში „ინოგარის“ ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო სისტემის ინსტიტუციონალური ჩარჩოს შესახებ შეთანხმება... „ინოგარის“ მიზანია დაეხმაროს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მოახდინონ ნავთობისა და გაზის რეგიონალური ვაჭრობის რესტრუქტურიზაცია, აგრეთვე მოახდინოს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მობილიზაცია, რათა მოხდეს არსებული სისტემის მოდერნიზაცია, ტექნიკური საშუალებების გამოყენების რაციონალიზაცია, დაცულ იქნას უსაფრთხოება და გათვალისწინებულ იქნას გარემოსდაცვითი პირობები.“¹⁹⁰

¹⁸⁹ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №593, ფურც. 147

¹⁹⁰ სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №724, ფურც. 48

1999 წელს სექტემბერში ევროკავშირის „ტრასეგ-კას“ პროგრამაში მონაწილე სახელმწიფოების მეთაურებმა ხელი მოაწერეს ძირითად მრავალმხრივ შეთანხმებას საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ევროპა – კავკასიია – აზიის დერეფანის განვითარებისათვის. შეთანხმების მიზანია:

1. ევროპის, შავი ზღვის, კავკასიის, კასპიის ზღვისა და აზიის რეგიონებში გაონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობისა და სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარება;

2. საერთაშორისო ბაზარზე საავტომობილო, საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტის, აგრეთვე სანაოსნო ტრანსპორტის შეღწევადობისათვის ხელის შეწყობა;

3. მოძრაობის უსაფრთხოების, ტვირთის დაცულობისა და გარემოსდაცვითი პირობების უზრუნველყოფა;

4. სატრანსპორტო პოლიტიკის, აგრეთვე ტრანსპორტის სფეროში სამართლებრივი ჩარჩოების ჰარმონიზაცია;

ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის თანაბარი საკონკურენციო პირობების შექმნა.¹⁹¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკრავშირისაგან იღებდა დახმარებებს, მას გარკვეული დავალიანებაც დაუგროვდა. ამიტომ საქართველომ ვალდებულება აიღო 1998 წლიდან 2002 წლამდე დაეფარა 110 მლნ ეკიუს ოდენობის კრედიტის ნაწილი (60 მლნ. ეკიუ) შემდეგი გრაფიკით:

- 10 მლნ ეკიუ 1998 წელს
- 11 მლნ ეკიუ 1999 წელს
- 13 მლნ ეკიუ 2000 წელს
- 13 მლნ ეკიუ 2001 წელს

¹⁹¹ იქვე, ფურც. 50

– 13 მლნ ეკიუ 2002 წელს.¹⁹²

1997 წელს ყაზახეთში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისას, შეიკრა კიევი-თბილისი-ბაქო-ალმა-ათის მძღვრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ჯაჭვი, რაც გადამწყვეტი ფაქტორია ევრაზიის დერეფნისა და ეწ. აბრეშუმის გზის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის.¹⁹³

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ურნალ „ექსპერტის“ მონაცემებით 1996 წლისათვის საქართველოში რეგისტრირებული იქნა 98. 2 მილიონი დოლარის პირდაპირი და უცხოური ინვესტიციები. „მსხვილ ინვესტორებს შორის აღსანიშნავია კორპორაცია „დეუ“ (კორე) – 8. 99 მლნ დოლარი; კომპანია „მარტინ ბაუერ გმბჰ“ (გერმანია) – 3. 87 მლნ დოლარი; „სოვტური“ (ირლანდია) – 12. 75 მლნ დოლარი და ა.შ.“¹⁹⁴

მართალია, დასავლეთი საქართველოს გარკვეულ ეკონომიკურ დახმარებას უწევდა, თუმცა მასაც გააჩნდა საკუთარი მოთხოვნები ჩვენი ქვეყნის მიმართ, ეს პირველ რიგში საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარეობდა და მეორე, დაეკმაყოფილებინა საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები: მოეწესრიგებინა გადასახადების აკრეფა და საგადასახადო სამსახურის ეფექტურობის ამაღლებისთვის შეეწყო ხელი. ეს საკითხები აქტუალური იყო 1999 წელს ზურაბ უვანიას და საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს – აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს განმკარგულებელ დირექტორთან

¹⁹² სუიცსა, ფ. 765, აღწ. 1, საქ. №724, ფურც. 51-52

¹⁹³ ურნ. იმიჯი, 1997, №5-6, გვ. 14

¹⁹⁴ ურნ. ექსპერტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, 19997, გვ. 7

მიშელ კამდებიუსთან შეხვედრაზე ვაშინგტონში. აღნიშნული ფონდის მხრიდან ამ საკითხებით დაინტერესება სავსებით ბუნებრივი იქნ, რადგან საქართველოს 330 მლნ დოლარის დახმარება გაუწია.¹⁹⁵

1998 წელს გაზეთი „სახალხო გაზეთი“ წერდა: „ევროკავშირი განაგრძობს საქართველოს დახმარებას განსაკუთრებული ფინანსური მხარდაჭერის გზით და სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის სახით. ისევე, როგორც ეს ტასისის პროგრამით ხორციელდება. ტასისი 1989-1999 წლების სამოქმედო გეგმით საქართველოსთვის ტექნიკური დახმარების გასაწვად გამოყოფილია 16 მლნ ეკიუ. გალის უკანასკნელი მოვლენების გამო კი ევროკავშირის ჰუმანიტარულმა ოფისმა იძულებით ადგილნაცვალ 4 ათას ოჯახს მიაწოდა სურსათი, გამოყო 2 მლნ ეკიუ წყლით მომარაგებისა და სანიტარული ქსელების შეკეთების პროექტებისათვის და ამჟამად მუშაობს დამატებითი თანხების გამოყოფაზე. დღემდე ევროკავშირმა საქართველოს გრანტის სახით გამოუყო 200 მლნ ეკიუ, 1992-1993 წლებში კი 113 მლნ ეკიუ სურსათითა და მედიკამენტებით მომარაგებისათვის.“¹⁹⁶

ედუარდ შეგარდნაძე საკმაოდ იმედიანად იყო განწყობილი დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაზე საქართველოს მიმართ. მისი აზრით: „საქართველოს მომავლის გათვალისწინებით ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ კიდევ გაიზრდება. დღეს ჩვენ მსოფლიო ბანკის დახმარებაზე ვსაუბრობთ. დღეს ევროკავშირი მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი გაერთიანებაა და მისთვის აბრეშუმის გზა, TRACEKA-სა და სხვა პროექტების განსახორცი-

¹⁹⁵ ქურნ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, 1999, №1

¹⁹⁶ გაზ. სახალხო გაზეთი, 1998, №142, გვ. 3

ელებლად საქართველო ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაა. ჩვენ ამ გამოცდილებას თუ უნარიანად მოვაბამთ თავს, დარწმუნებული ვარ, ევროკავშირი საქმაოდ გულუხვი იქნება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და განვითარების საქმის მიმართ. თანხების მოზიდვის საკითხი სრულიად რეალურია და არა მარტო კულტურის სფეროში.“¹⁹⁷

2000 წელს პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე, კომიტეტის წევრები შეხვდნენ საქართველოში მსოფლიო ბანკის მისიის ხელმძღვანელს მიშელ რიბუს. როგორც მან აღნიშნა შეხვედრაზე, „მსოფლიო ბანკისა და საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური ბლოკის კომიტეტის თანამშრომლობა, ისევე როგორც ეკონომიკური რეფორმისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, წარმატებულად მიმდინარეობს და მისივე შეფასებით, საქართველო თავის ეკონომიკურ პოლიტიკას, რიგ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, მეთოდურად და წარმატებით ახორციელებს.“¹⁹⁸

ამდენად, როგორც განხილული მასალიდან ჩანს, საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დამოკიდებული იყო დასავლეთის დახმარებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები სხვადასხვა სფეროებთან ერთად, ბუნებრივია, ეკონომიკურ ვითარებასაც შეეხო. სახელმწიფოს განვითარებისთვის და გაძლიერებისთვის ეკონომიკური სტაბილურობის შექმნა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

¹⁹⁷ ქურნ. ეპოქა, 1998, №21, გვ. 11

¹⁹⁸ ქურნ. პარლამენტის უწყებანი, 2000, გვ. 1

დასკვნა

მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დასავლური ორიენტაცია აირჩია, თუმცა ფაქტი იყო, რომ დასავლური სამყარო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას არ აპირებდა საქართველოს მხარდასაჭერად, მიუხედავად ამ უკანასკნელის დიდი სურვილისა. როგორც აღვნიშნე, ქართული პოლიტიკური სპექტრი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა დასავლეთოან ურთიერთობის განსავითარებლად. ამ მხრივ ადსანიშნავია, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზეიად გამსახურდიას მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაზედაც ვისაუბრეთ ნაშრომში, თუმცა მცდელობებს რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. ეს პირველ რიგში გამომდინარებდა იქიდან, რომ დასავლეთი ჯერ კიდევ უწევდა ანგარიშს რუსეთს, რომელიც კავკასიის და მათ შორის საქართველოს დათმობას არ აპირებდა. ეს ნათლად გამოჩნდა ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილის დროს, როდესაც ეროვნულ მოძრაობას მიიმე დარტყმა მიაყენა. ამით მან ფაქტობრივად ხაზი გაუსვა საკუთარ პოზიციას საქართველოსთან მიმართებაში. ეს პოლიტიკური კურსი გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. საქართველოს სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაგან წინ ეღობაძოდა რუსეთის მკვერი პოზიცია თავის გავლენაში პყოლოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო. სწორედ ამიტომ რუსეთმა აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციის თვალსაზრისით, რაც „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში შექმნილი დაძაბული მდგომარეობით გამოიხატებოდა. რუსეთის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ხე-

ლისუფლების მიერ ადებულ დასავლურ კურსს შეგები არ მოყოლოდა.

მიუხედავად რუსეთის მიზანმიმართული ქმედებებისა აღნიშნული პოლიტიკური კურსი შეფერხებულიყო, საქართველოს ხელისუფლება მტკიცებ ადგა დასავლურ ორიენტაციას. ეს ფაქტი გამოიხატებოდა, როგორც ზვიად გამსახურდიას, ასევე ედუარდ შევარდნაძის ამ მიმართულებით მოღვაწეობით.

როგორც აღვნიშნე, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სახელმწიფოთა მუდმივი დაინტერესების ობიექტი იყო. საქართველოს მიზანი კი ერთი იყო: დასავლური სამყაროს საქართველოთი დაინტერესება და მასთან ურთიერთობის დამყარება-განვითარება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. საქართველოს უძველესი პერიოდიდან მოყოლებული გააჩნდა მისწრაფება დასავლეთისაკენ, თუმცა ეს კავშირი არ შედგა არც ერთ ეტაპზე იმ დოზით და იმ მასშტაბით, რაც საქართველოს სურდა. ამ მხრივ გამონაკლისია 1918-1921 წლები და XX საუკუნის 90—იანი წლები, როდესაც ურთიერთობა მეტნაკლები ინტენსივობით განვითარებას აღწევს.

2. XX საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოს სწრაფვა დასავლური სამყაროსაკენ ახალ მასშტაბებს იძენს. აქ შეიძლება ორი ეტაპი გამოვყოთ: 1. ზვიად გამსახურდიას და 2. ედუარდ შევარდნაძის დამკიდებულება დასავლეთისადმი. პირველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად და მიზანმიმართულად ცდილობდა კავშირის დამყარებას დასავლეთთან. ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა საქართველოს ევროპულ სივრცეში გასვლა-დამკვიდრება. რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი საქართველოს ახალი ფორმით აღორძინებისა და ეს ფუნდამენტი გამაგრებული უნდა ყოფილიყო

დასავლურ სახელმწიფოთა მხარდაჭერით. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზეიად გამსახურდიას მხრიდან გადადგმული ნაბიჯები მოწმობს ქვეყნის მიზანსწრაფვას: რუსეთის ნაცვლად დასავლეთი გამხდარიყო მთავარი პოლიტიკური მოქავშირე. თუმცა, ეს კავშირი არ შედგა.

რადიკალურად იცვლება დამოკიდებულება მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რომლის ორიენტაცია ასევე დასავლური გახლდათ. დასავლური სამყარო მეტ დაინტერესებას იჩენს საქართველოს მიმართ, რაც პირველ რიგში ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ ფიგურას უკავშირდებოდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველომ შეძლო ევროპასთან დაემყარებინა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები. საქართველო გახდა დსტ-ს წევრი. ამას გარდა, საქართველო საინტერესო გახდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა: გაერო, რომლის წევრი გახდა 1992 წელს; აქტიური ნაბიჯები გადაიდგა ევროკავშირთან ურთიერთობაში, რასაც მოწმობს ნაშრომში განხილული მასალები. 1999 წელს კი საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველომ ახალი ნაბიჯები გადადგა დასავლეთისაკენ მიმართ გზაზე. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, დიდი აბრეშუმის გზის პროექტი, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობა.

3. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დასავლეთისგან ეკონომიკური მხარდაჭერის მოპოვება. მართალია, ეს კავშირი გამოიხატებოდა დასავლეთის მხრიდან პუმანიტარული დახმარების სახით, თუმცა ქვეყნაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ეს ნამდვილად საჭიროებას წარმოადგენდა. ნაშრომში განხილულია, რა სახის დახმარებები

მოდიოდა დასავლეთისგან, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია ისეთ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსათვის, როგორშიც საქართველო იმყოფებოდა.

4. გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისა, XX საუკუნის 90-იან წლებში გარკვეული ცვლილება განიცადა საზოგადოებამ ცნობიერების თვალსაზრისით. დასავლურ სივრცეში დამკვიდრებისკენ სწრაფვა მარტივი არ ყოფილა საქართველოსთვის. ქვეყანას გარკვეული სტანდარტების მიღება უწევდა. დასავლეთის მთავარ მოთხოვნას საქართველოს მიმართ დემოკრატიული პროცესების განვითარება წარმოადგენდა. ფაქტობრივად, საქართველო XX საუკუნის 90-იან წლებში ახალი ნაბიჯების გადადგმას იწყებდა დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე.

Summary

The period of the 90s of the XX century is marked as one of the most complex and comprehensive phases in the history of Georgia. After the Soviet Union collapse, the restoration of Georgia's state independence outlined many problems of high significance at the top of the government's political agenda.

First of all it should be noted, that Georgia became presidential country, with president as the head of state; its age-long statehood model changed, paving the way for new perspectives and challenges. This meant that new era had come. However, restoration of the country's independence could not solve problems straight away. On the contrary, Georgia had to establish itself in the new environment in a quite different way.

Historical difficulties, continually accompanying the country, were not surprising for this period either. On the contrary, they were more expressive and chaotic. As long as not only years, but even centuries mean nothing to history, it was extremely difficult to begin new life in such a short period of time, especially when the process of firmly established public mentality change was accompanied by endless struggles.

These are years of independent Georgia, are distinguished as full of anarchy, confrontation, tension and straggle for formation of Georgian nation. The following issues are highlighted here: the post-soviet period, restoration of Georgian state independence, election of the first president, civil war, Eduard Shevardnadze at a power. In fact, century events were happening during these ten years.

Since ancient times, Georgia claimed and tried to become a member of the European family. Some steps were taken in this direction in the years of 1918-1921, during the era of the Georgian Democratic Republic; however, the soviet occupation

interrupted this process. After attainment of independence in 1991, Europe-oriented policy making was still among the top priority issues in the Georgian political agenda, taking into consideration the current situation.

Georgia's aspirations towards European values, come from the ancient times. Constant simultaneous impact of Asian and European phenomena found a reflection on Georgian reality and it may be said, that this long fight had its influence on formation of modern Georgian nation's consciousness. Every era has its own subject to challenge and this period was naturally no exception, in contrast to the years of 1918-1921, when European orientation meant nation's aspiration toward political and economic cooperation with Europe. Therefore, the western Course referred to the following directions: awareness change, political and economic relations.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge